ლიბერალი
№ 55 / 6 - 12 დეკემბერი / 2010

ორი აზრი: რამდენად სამართლიანია წყლის ტარიფის გაძვირება? გვ. 08
პარფიონოვის ჯადოსნური ხელი გვ. 10
ემიგრანტების დაბრუნება აფხაზეთში გვ. 12
უძალო ეუთო გვ. 28
მერის პრიორიტეტები არჩევნებამდე და შემდეგ გვ. 30
ბიზნესი შავი ზღვის პირას გვ. 34
მანდატურის სკოლა გვ. 36
მედიაკრიტიკა: ხათუნა ბერძენიშვილი vs გიორგი არველაძე გვ. 47
საშა ვალცი – უფრო მეტი, ვიდრე ვალსი გვ. 49

ფასი 2 ლარი
ISSN 1987-7528
9 771987 752008

"ვიკილიქსის" მასალები და

მსოფლიო დიპლომატიის 9/11

გვ. 14-27

ლიბერალი

№ 55 / 6 - 12 დეკემბერი / 2010

ილუსტრაცია: რუსუდან ბერიძე

ნომერში:

02 რედაქტორის სვეტი
04 ლიბერალის ვებგვერდიდან
06 მოკლედ
08 **ორი აზრი**
რამდენად სამართლიანია წყლის ტარიფის გაძვირება?
გურამ ჩალაგაშვილი VS ლევან ვეფხვაძე
მეზობლები
10 პარფიონოვის ჯადოსნური ხელი
კონფლიქტები
12 ემიგრანტების დაბრუნება აფხაზეთში
მთავარი თემა
14 ყველაზე დიდი კონსპირატორი მთავრობებს აშიშვლებს
19 რა წერია საიდუმლო მასალებში **საქართველო Wikileaks-ში**
24 გულუბრყვილო დიპლომატია
28 **პოლიტიკა**
უძალო ეუთო
თბილისის ბიუჯეტი
30 მერის პრიორიტეტები არჩევნებამდე და შემდეგ
34 **ეკონომიკა**
ბიზნესი შავი ზღვის პირას
36 **განათლება**
მანდატურის სკოლა
საზოგადოება
40 ნარჩევი გირჩები
44 **თვალსაზრისი**
რას ვაქცევთ ყურადღებას
მარკ მალენი
45 ჯულიან ასანჟი – სამოქალაქო აქტივიზმის გმირი
გიორგი ცხადაია
47 **მედიაკრიტიკა**
ხათუნა ბერძენიშვილის კომედი შოუ VS გიორგი არველაძის ჰორორ სთორი

კულტურა
49 საშა ვალეცი - უფრო მეტი, ვიდრე ვალსი
სპორტი
51 ჯანოო
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
52 ცრუ-გოელრო

გარეკანზე:

მსოფლიო დიპლომატიის 9/11

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

რედაქტორის სვეტი

ლონდონის მეტროში, წინა კვირის ორშაბათ დილას, ყველა გაზეთს ფურცლავდა და რაღაცას წარბებშეკრული ჩაკირკიტებდა. რამდენიმე საათში „ნოთინგ ჰილის“ ყავახანებშიც ამაზე ბჭობდნენ. „It's extraordinary, isn't it?“ – ჩამესმოდა ყურში ხასგასმული ინგლისური ჟღერადობა და ბოლომდე თითქოს ვერავინ ვაცნობიერებდით, რა მასშტაბის საინფორმაციო სკანდალთან გვქონდა საქმე.

28 ნოემბერს „გარდიანმა“, 4 სხვა გაზეთთან ერთად, „WikiLeaks“ - ის მასალების ბეჭდვა დაიწყო. 28 ნოემბრიდან მოყოლებული, WikiLeaks-ის მიერ გამოქვეყნებული 250 ათასზე მეტი საიდუმლო დოკუმენტი ნომერ პირველ საკითხავად იქცა. მასალაში, რომელიც თანდათანობით ხდება ხელმისაწვდომი, სხვადასხვა სახელმწიფოების მოქალაქეები საკუთარი ქვეყნების შესახებ ცნობებს პოულობენ და ცდილობენ, ამერიკელ დიპლომატთა ათი ათასობით წერილში გაფანტული ფრაგმენტებისგან აქამდე გასაიდუმლოებული რეალობა შექმნან.“ (ნომრის მთავარი თემა, გვერდი 14-27)

„WikiLeaks-ის წევრები საკუთარ თავს მებრძოლებს უწოდებენ, მაგრამ ამტკიცებენ, რომ არ ჰყავთ ერთი კონკრეტული მტერი. მტერი მათთვის ყველა ის მთავრობა და კომპანიაა, ერთად აღებული, რომლებიც ორმაგი სტანდარტებით თამაშობენ, დანაშაულს კი დემოკრატიული იმიჯის მიღმა ფარავენ."

„WikiLeaks-ის დამფუძნებელი, ჯულიან ასანჟი ამბობს, რომ კაცობრიობის უმთავრესი ბრძოლა სინათლესა და სიბნელეს, ბოროტსა და კეთილს, რწმენასა და სკეფსისს შორის კი არ მიმდინარეობს, არამედ – მოქალაქესა და ინსტიტუციას შორის.“ ჭეშმარიტად!

ეს მასალები კიდევ დიდ ხანს იქნება განსჯის, კრიტიკისა თუ პოლიტიკური სპეკულაციების საგანი, მაგრამ ერთი რამ უდავოა – ამ ინფორმაციით შეიარაღებული მოქალაქეები ინსტიტუციებთან უფრო თანასწორ „ბრძოლას“ გამართავენ. ეგ არის რომ, არ უნდა დაეზაროთ და ლონდონელებივით გაზეთებიც უნდა იკითხონ. ჩვენ კი, აბა, სად გვაქვს კითხვის დრო?

შორენა შავერდაშვილი

შესწორება

„ლიბერალის“ 54-ე ნომერში დაიბეჭდა ფოტორეპორტაჟი 24 ნოემბერს გამართული „ქართული პარტიის“ ყრილობიდან. ერთ-ერთ ფოტომინაწერში აღნიშნული იყო, რომ, ***„დარბაზში, სადაც ყრილობა გაიმართა, ჟურნალისტები არ შეუშვეს. ლიდერების გამოსვლებს მედიის წარმომადგენლები ფილარმონიის ფოიეში დამონტაჟებული ეკრანიდან ადევნებდნენ თვალს.“***

ვაზუსტებთ, რომ დარბაზში არ შეუშვეს მხოლოდ ფოტოგრაფები და ოპერატორები. ჟურნალისტებს დარბაზში მუშაობის საშუალება ჰქონდათ.

რედაქციისაგან

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი, ნანა საჯაია** / ვებგვერდის რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**
ჟურნალისტები: მაია წიკლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, ანიტა თვაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონტრიბუციები: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, ლევან იზორია, ნანა საჯაია, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, მოლი კორსო, ლექსო ჩქარეული, ემილ სულეიმანოვი, ირაკლი კობახიძე, დინარა ჩაჩუა, გიორგი ლომსაძე, ქეთი ქანთარია
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ლონღაძე**
გამოცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

„ლიბერალის“ სააგტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

მოსწავლეები სისტემის წინააღმდეგ

მივესალმები ამ მოსწავლეების გამბედაობას! ყველა სკოლა ასე უნდა მოიქცეს, ვის დირექტორებსაც უსუსური საბაბებით დაატოვებინეს თანამდებობები. შაშკინის საქციელი და ავტორიტარული განცხადებები კი უკვე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

თიკო

როგორ გაიყიდა „ქავკასუსი"?

კიდევ დარჩა ბიზნესები (მსხვილი) რომლის წილშიც მთავრობა არ ზის?

მიხეილ კალანდაძე

სააკაშვილის გადატვირთვა

ღმერთმა დაიფაროს თქვენი აბზაცი როდესმე რეალობაში განხორციელდეს, საქართველოს რუსეთი არ სჭირდება!!!

Giorgi

გამოირეცხეთ ტვინი „ჟიზნენი" ისტორიებით

ამავე ლოგიკით იღებენ ინდოეთში ამდენ „სატაშფანდურო" ფილმებს

დათო ლობჟანიძე

ამბოხი მამათა და დედათა...

დარწმუნებული ვარ, არაფერი „ზემოდან", მაგათ „ხელის ბიჭობა" სისხლში აქვთ გამჯდარი.

მაკო

ამბოხი მამათა და დედათაი რომ შედეგიანად დამთავრდეს, საჭიროა ოპოზიციური მოძრაობის ორი მთავარი და საკმაოდ არგუმენტირებული მიმართულების 1. ხელისუფლების შეცვლა საარჩევნო გარემოს შეცვლის გზით, 2. ხელისუფლების შეცვლა მასობრივი საპროტესტო გამოსვლების გზით – სინთეზი: მასობრივი საპროტესტო გამოსვლების მთავარი მოთხოვნა უნდა იყოს საარჩევნო გარემოს შეცვლა.

ანზორ აბჟანდაძე

კარგია, რომ ე.წ. მიუწერეთ „ოპოზიციურ" არხებს, რადგან გაუგებარია, რატომ ეძახიან დღეს მაესტროს და კავკასიას „ოპოზიციურ" არხებს. მათი საინფორმაციოები არის ბევრად დაბალანსებული, ვიდრე სამთავრობო არხებისა. თუნდაც ავიღოთ, სიუჟეტები სახალხო კრებაზე: მაესტროს და კავკასიის სიუჟეტებში კარგად ჩანდა ოპოზიციონერი პოლიტიკოსების უპასუხისმგებლობაც, ამ დროს ისიც აჩვენეს, თუ რა რაოდენობის ხალხი იყო მისული აქციაზე, განსხვავებით, სახელისუფლებო არხებისგან, რომლებმაც თქვენც კარგად გაქვთ აღწერილი, როგორ „გააშუქეს" ეს მოვლენა.

მარი

რედაქტორის სვეტი – სამოქალაქო სიმამაცე

ასე შორს ვერ გავფრინდებით? უკვე ვერ გავფრინდით. უკვე უფსკრულის ფსკერზე ვართ, საიდანაც ვერანაირი მოდერნიზებული სახელმწიფო (?) ვეღარ ამოგვათრევს. მე პირადად, ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქე, დღითიდღე ვკარგავ ოპტიმიზმის ნაგლეჯებს და სასოწარკვეთაში ვვარდები. მე მგონი, ეს ყველაზე უარესი რამაა, რისი დაშავებაც სახელმწიფოს შეუძლია ადამიანებისთვის.

სტუმარი

როდესაც ჩიორა თაქთაქიშვილთან და სხვა პატიოსან სტუდენტებთან ერთად თსუ-ში ანტიკორუფციულ მოძრაობაში ვერთვებოდი 2002 წელს, რომელიც შემდეგ სტუდენტურ თვითმმართველობაში და სულ ბოლოს კმარაში გადაიზარდა (რომლის წევრი არასოდეს ვყოფილვარ), ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ვინმე იძულებული გახდებოდა ჩიორაზე ასეთი რამ დაეწერა. რა ცუდია: პოზიციების ცვალებადობა თუ ასე ცვლის ადამიანებს. გული მწყდება :(

ირაკლი ვაჭარაძე

მართალი ხარ, შორენა, პასუხისმგებლობა ყველას ეკისრება. თუმცა დაჩიავებული, სიღარიბის ზღვარზე მყოფი ხალხით მანიპულირება, ხომ ძალიან ადვილია. ამ ბოლო დროს ვფიქრობ, რომ ღირსება და კუჭი ძალიან მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული:((

სტუმარი

წიგნიერება საქართველოში

ვისაც არა აქვს თანდაყოლილი ინტელექტუალური პოტენციალი? რა ვუყოთ იმ ბავშვებს? გადავყაროთ? :) თუ მივცეთ გარკვეული უნარ-ჩვევები რაც კითხვასთანაა დაკავშირებული? რა ვქნათ? ეს კვლავაც გადაუწყვეტელი დილემაა.

ისე კი მსოფლიო მასშტაბით „წიგნის მკითხველთა" რაოდენობა საშინლად და პროგრესულად შემცირდა და მცირდება.

Daltoniki

ერის უპატივცემულობა

„მოკლედ, ჩემი შეხედულება ასეთია: ნაწვალები, წერა-კითხვის უცოდინარი და ცხოვრებით შეჭირვებულ-შეწუხებული შპიონი ბევრს ვერაფერს დაგაკლებს, საშიშები ჯეიმს ბონდის იერის მქონენი, არისტოკრატულ წრეებსა თუ სამთავრობო სიმაღლეებზე მბრწყინავი (ან შეფარულად მბრწყინავი) ჯეელები გახლავთ." ოჰ, ეს სისხლისმსმელი, სისხლისმსმელი ჯენტლმენები.

შოთა გ.

რატომ უპატივცემულობა? ჩვენნაირებს გვიგზავნიან. პრინციპი (სავარაუდოდ) ასეთია: ჯაშუშის გამორჩევა საშუალო მოქალაქისგან ადვილი არ უნდა იყოს. გადით ქუჩაში და დაითვალეთ პირველი ასი გამვლელიდან რამდენი შეგხვდებად ტაკოშვეაშლილი.

ალეკო მ.

ჯაშუში კინოში გყავთ ნანახი მემგონი მართლაც. ჯერ ერთი ამერიკაში მასეთი ხალხია, რაც ქალი შეუგზავნეს, მასეთი ქალები ირევიან და ჯდება ტიპაჟში და ჩვენთან სერიოზულ ადგილებზე ეგეთი ბიძები არიან და ისეთები მოარგეს ზუსტად.

ბურჯო

ეტლი, ომბოჩს მოწყალება

ნინო ბექიშვილის ბლოგი

სამ დეკემბერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო დღეა. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რატომ აღინიშნება ეს დღე მაინცდამაინც სამ დეკემბერს. რა მოხდა მნიშვნელოვანი, რატომ დაანესა გაერომ. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს – ერთი დღეა, როცა შეგვიძლია, სოლიდარობა გამოვუცხადოთ მათ, ვისი შესაძლებლობებიც ჩვენთან შედარებით შეზღუდულია.

ჩემთვის სახელმწიფოს და საზოგადოების შეფასების ყველაზე კარგი ინდიკატორი ის არის, თუ როგორ ექცევა საზოგადოება და სახელმწიფო იმათ, ვის უფლებებსაც ყველაზე მეტად სჭირდება დაცვა; ისინი ბევრნი არიან, მათ შორის – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც.

სიმართლე რომ ვთქვა, ამგვარი დღეები ცოტა მაღიზიანებს კიდეც. ოღონდ მხოლოდ დღევანდელი კონტექსტიდან გამომდინარე. მიხვდებით რატომაც – ჩინოვნიკებს ეძლევათ ჩინებული საშუალება იმისთვის, რომ ეს დღე სათავისოდ გამოიყენონ, კეთილი ბიძიებისა და დეიდების მანტიები მოირგონ და მაგალითად, ჩამოარიგონ ეტლები, რომელებიც მათ, ვისაც სიარული არ შეუძლია, ისედაც ეკუთვნით – სოციალური პაკეტი ამ დახმარებას ითვალისწინებს. ტელევიზიაც, როგორც წესი, მარტო იმას აშუქებს, რასაც ჩინოვნიკები აკეთებენ ხოლმე – გამოდის, რომ მედიაც ჩინოვნიკების პიარის საქმეს ემსახურება.

არ ვიცი, შეიძლება თუ არა სახელმწიფო იყოს ადამიანზე, მოქალაქეზე ორიენტირებული და ადამიანი აინტერესებდეს. ამგვარ სახელმწიფოში არასდროს მიცხოვრია და აბა, საიდან უნდა ვიცოდე. ის ქვეყანა კი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, მაგალითად, უსინათლოთათვის და სმენადაქვეითებულებისთვის ცალკე გეტოებს აშენებდა. ახლაც შემორჩენილია თბილისის განაპირას, ფონიჭალაში ამგვარი დასახლება. იქ დღესაც ცხოვრობენ უსინათლოები.

ადამიანი რაღაც ცოდნებით არ იბადება – თანდათან სწავლობს. თუკი არავინ ასწავლა, შეიძლება ბევრი რამ, მათ შორის, ყველაზე მთავარიც კი ვერც ისწავლოს. „ყველაზე მთავარი", ჩემი ფიქრით, ყველაზე მარტივიცაა – ყველა ადამიანი თანასწორია და ყველას თანაბარი უფლებები აქვს. ეს ყველაზე „მარტივი" ძალიან რთული სასწავლი აღმოჩნდა. შორს წასვლა არ მჭირდება, ამას როგორც დედა ისე ვამბობ – საკმაო ძალისხმევის გაღება დამჭირდა, სანამ ჩემს შვილებს გავაგებინებდი, რომ მაგალითად, ჩინელი, რომელიც ჩემი სახლის წინ ვაჭრობს, ზუსტად ისეთივე ადამიანია, როგორიც გვერდით მაღაზიაში მდგარი ქართველი. ჩინელი სხვანაირია, წვრილი თვალები აქვს და პურის

მაგივრად ბრინჯს ჭამს, ამიტომ, ის ჩვენზე რაღაცით ნაკლებია – ეს ან ამგვარი რამ, ან თვითონ იფიქრეს, ან ვიღაცამ უთხრა ჩემს შვილებს. ვიღაც ვერ დადის, ვერ ხედავს, არ ესმის, ან ჩვენთან შედარებით ნაკლებად სხარტად აზროვნებს – განსხვავებულია, აქაც ზუსტად იგივე მოდელი მუშაობს, რაც ჩინელებთან მიმართებაში. საზოგადოების უმეტესობაც მათაც შიშით შეჰყურებს, შიშით და ხანდახან – თანაგრძნობითაც. ყურადღება, თანაგრძნობა და სითბო ნებისმიერ ადამიანს სჭირდება. იმათ, ვისი შესაძლებლობებიც შეზღუდულია, ზუსტად ისევე, როგორც ნებისმიერ ჩვენგანს – მეტად არა. რაც შეეხება სოლიდარობას, ეს ჯერ ქართველებმა ვერ ვისწავლეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში შევძლებდით და გავაპროტესტებდით იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის გარემო სრულიად მიუწვდომელია და ის სიკეთეები, რითაც ჩვენ, დანარჩენები ვსარგებლობთ – გადაადგილების, სწავლის, გართობის, მუშაობის უფლება, მათ სრულიად შეზღუდული აქვთ.

როცა თბილისის მერი ან ჯანმრთელობის მინისტრი ეტლებს, როგორც მოწყალებას ისე არიგებს, ტელემაყურებელს უნებურად უჩნდება განცდა, რომ ის, ვისაც ეტლი მიუტანეს, მოწყალებას ითხოვს. ასე მყარდება სტერეოტიპი, რომლის დანგრევასაც მერე წლობით მუშაობა დასჭირდება. ის ადამიანი კი, ვისაც გადაადგილების საშუალება შეზღუდული აქვს, გარემოებების გამო იძულებულია ვიღაცის პიარ–კამპანიის ნაწილად იქცეს.

ამასწინათ ფეისბუკზე ერთ ჩემ ძველ ნაცნობს, აფხაზეთის ომის ვეტერანს ველაპარაკე, რომელმაც ამ ომში ფეხი დაკარგა. შემომჩივლა, ადრე სახელმწიფო პროთეზებს აფინანსებდა, ახლა დაფინანსება შეწყდა, ფული ვერ მოვაგროვე და გატეხილი პროთეზით სიარული ძალიან მიჭირსო. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა. მიუხედავად ყველაფრისა, მეგონა, რომ სახელმწიფო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების ვეტერანებს სამედიცინო მომსახურებას, მით უმეტეს, პროთეზს უფინანსებდა. მიხვდებით, რატომაც ვიფიქრე ასე, თუმცა, შევცდი. გმირთა მოედანზე აღმართული უგემოვნო მემორიალიც სწორედ იმავე პიარის ნაწილია, რასაც 3 დეკემბერს და სხვა ამგვარ დღეებში ტელეეკრანებიდან უკვე წლებია, ვხედავთ.

ადრე, ერთ ქართულ გაზეთში ომის ვეტერანის ინტერვიუ წავიკითხე. ამბობდა, ომში სიკვდილი ფუფუნებაა, ომის ინვალიდობა გაცილებით უარესიაო. ცხადია, ბოლომდე ვერ გავუგე ამის მთქმელს, თუმცა, დღემდე ჩამრჩა ეს ფრაზა. კარგი ცხოვრებისგან ასეთ რაღაცებს არ ამბობენ.

ფოტო: ნინო ბურჯანაძის ნოუთი

შალვა ნათელაშვილი „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისში აფეთქების შემდეგ

აფეთქებების ორგანიზატორთა ვინაობის პირველი ვერსიები

28 ნოემბერს ჯავახიშვილის ქუჩაზე მომხდარ აფეთქებას ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ ორგანიზებული პოლიტიკური ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია მიანიჭა.
„ლეიბორისტები“ მიიჩნევენ, რომ ეს ხალხის დაშინებას და ამ გზით ძალაუფლების შენარჩუნებას ისახავდა მიზნად.
„მუხიანში მომხდარი აფეთქება მხოლოდ ყურადღების გადატანის მიზნით განხორციელდა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ამერიკის კონგრესის და ევროპარლამენტის დეპუტატთა ჯგუფს ვთხოვოთ ჩამოსვლა და ფაქტებით დავუმტკიცებთ, რომ მათი ნაქები მეგობარი – სააკაშვილი კლასიკური ტერორისტია,“ – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.
აფეთქებების ფაქტს გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, მისი აზრით, დივერსია მოწყობილია ქვეყნის ფარგლებს გარეთ ან შიგნით მყოფი იმ ძალების მიერ, რომელთაც საქართველოს არასტაბილურ სახელმწიფოდ წარმოჩენა სურთ.
ჯავახიშვილის ქუჩაზე, „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისის წინ, აფეთქება 28 ნოემბერს, 01:30 საათზე მოხდა, რასაც ამ პარტიის აქტივისტი, 65 წლის ნინო გორდეზიანი ემსხვერპლა. დაშავებულია ერთი ადამიანი, დაზიანდა მიმდებარე საცხოვრებელი სახლები და „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისი.
მეორე აფეთქება მუხიანის I მიკრორაიონში, ნონეშვილის ქუჩის მე-13 კორპუსში არსებულ მაღაზიასთან, 02:56 საათზე მოხდა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა დაზიანებულია თავად მაღაზია და საცხოვრებელი კორპუსის ფანჯრები.
ადგილობრივი მცხოვრებლების განცხადებით, აფეთქება მაღაზიის კიბეზე დამონტაჟებულმა ასაფეთქებელმა მოწყობილობამ გამოიწვია.
შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტიკური სამსახურის მიერ აფეთქების ადგილებზე ჩატარებული ექსპერტიზის პირველადი შედეგების თანახმად, ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე ტიპის ნივთიერება აფეთქდა. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც აფეთქების მოწყობისთვის ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თავისუფალი ტურისტული ზონა ანაკლიაში

ქობულეთის შემდეგ, თავისუფალი ტურისტული ზონა ანაკლიაში შეიქმნება. განცხადება ამის შესახებ პრეზიდენტმა 30 ნოემბერს გააკეთა. ოქტომბერში მიღებული კანონპროექტის თანახმად, ქობულეთსა და ანაკლიაში მშენებარე სასტუმროები გადასახადებისგან ნაწილობრივ გათავისუფლდებიან. „ინვესტორი, რომელიც 100—ნომრიან სასტუმროს ააშენებს, კაზინოს გასახსნელად საჭირო 5 მილიონი ლარის ოდენობის სალიცენზიო მოსაკრებლისგან გათავისუფლდება“, – განაცხადა პრეზიდენტმა. ანაკლიაში ძირითად ინფრასტრუქტურულ პროექტებს მთავრობა განახორციელებს.

"ეროვნული ფორუმი" ირაკლი მელაშვილმა დატოვა

„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ირაკლი მელაშვილმა, პარტია დატოვა. სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, გადაწყვეტილება, სახალხო კრებასთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობას უკავშირდება. მელაშვილის წასვლაზე კომენტარი ნინო ბურჯანაძემაც გააკეთა. მისი თქმით, მელაშვილს „ეროვნული ფორუმი“ დაატოვებინეს, „ეს მისი გადაწყვეტილება არ იყო“ – განაცხადა ბურჯანაძემ.

მედვედევი პუტინს დაენია

რუსეთის მოქმედი პოლიტიკოსების ახალ რეიტინგში, სხვაობა ამ ქვეყნის ორ ლიდერს – პრეზიდენტ მედვედევსა და პრემიერ პუტინს – შორის რეკორდულად მცირეა. ნოემბრის რეიტინგში 9,46 პროცენტით ისევ პრემიერ-მინისტრი პუტინი ლიდერობს, პრეზიდენტი მედვედევი კი მას მხოლოდ 0,07 პროცენტით (9,39პროცენტი) ჩამორჩება. ოქტომბრის მონაცემებით, მათ შორის სხვაობა 0,27 პროცენტს შეადგენდა.

ილოჩის ეკლესიის ხესელი ხეებიდან

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ოფიციალური წერილით მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებს აფხაზეთში, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაზე განხორციელებული ვანდალური აქტის გამო. მინისტრი მოითხოვს, რომ ორგანიზაციებმა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული საშუალებები, რათა შეაჩერონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მიზანმიმართული განადგურება.
სამინისტროს ინფორმაციით, აფხაზეთში მე-11 საუკუნის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ე.წ. სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, სრულიად დაირღვა ძეგლის პირვანდელი სახე. ტაძარზე რუსული გუმბათის დაშენებამ და ფასადის თეთრად შეღებვამ ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი თავისებურებების მოშლა გამოიწვია.

მოლდოვას საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტებმა გაიმარჯვეს

მოლდოვაში პოლიტიკური კრიზისი კვლავ გრძელდება. 28 ნოემბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ვერც ერთმა პარტიამ ვერ დააგროვა პრეზიდენტის ასარჩევად საჭირო უმრავლესობისთვის (61 საპარლამენტო ადგილის) აუცილებელი ხმათა რაოდენობა.
ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიხედვით, არჩევნებში კვლავ კომუნისტები ლიდერობენ. 4-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერი სულ ოთხმა პარტიამ გადალახა: კომუნისტური პარტია – 40 პროცენტი, ლიბერალ დემოკრატები – 28, დემოკრატიული პარტია – 12 და ლიბერალური პარტია – 9 პროცენტი. კომუნისტური პარტიის ლიდერები 28 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს ეჭვქვეშ აყენებენ და ხმების გადათვლას მოითხოვენ. ჯერჯერობით უცნობია, ვისთან ერთად ჩამოაყალიბებენ კომუნისტები საპარლამენტო კოალიციას.

ციფრები

10,6%-იან
ინფლაციას ვარაუდობს ეროვნული ბანკი წელს.

3,8
მილიარდ დოლარს შეადგენს საქართველოს საგარეო ვალი.

123
მილიონით ნაკლებია 2011 წლის თბილისის ბიუჯეტი წლევანდელთან შედარებით.

2018
წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში რუსეთში ჩატარდება.

სიტყვები

„რუსეთთან უთანხმოების მაგალითი საქართველოა.“
ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი BBC-სთან საუბარში

„ინვესტორებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით აქ, ანაკლიაში!“
პრეზიდენტი სააკაშვილი ანაკლიის თავისუფალი ტურისტული ზონის პრეზენტაციაზე

„ნებისმიერი დირექტორი, რომელიც არ უზრუნველყოფს თავისი მოვალეობის შესრულებას, მკაცრად დაისჯება“
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი სკოლის დირექტორებზე

„რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტს ვერ ვხედავთ.“
რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ეუთოს ასტანის სამიტზე

ორი აზრი

მომხრე
გურამ ჩალაგაშვილი
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე

ჰამდენად საჭიროა წყლის ტარიფის გაძვირება?

მოწინააღმდეგე
ლევან ვეფხვაძე
პარლამენტის ვიცე სპიკერი

კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურმა“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიაში წყლის ტარიფის მომატების თაობაზე განაცხადი ამ წლის ივნისში წარმოადგინა. განაცხადში გაანგარიშებული იყო ის ხარჯები, რაც კომპანიას ფუნქციონირებისათვის სჭირდებოდა და ტარიფის გაზრდას 6 ლარამდე ითხოვდა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კომისიამ სატარიფო გაანგარიშების და კანონმდებლობის შესაბამისად გამოთვალა, გაითვალისწინა სახელმწიფოს მიერ კომპანიის მიმართ აღებული ვალდებულება და ამ ყველაფრის საფუძველზე დაადგინა ახალი ტარიფი. წყალი 75 თეთრით გაძვირდა, ანუ ჩვენ კომპანიის მოთხოვნის ნახევარი დავაკმაყოფილეთ მხოლოდ.

ახალი ტარიფი სპეციალური მეთოდოლოგიით, სხვადასხვა კომპონენტის გათვალისწინებით გამოვთვალეთ. ამ კომპონენტებს შორისაა სხვადასხვა გარემოება და ვალდებულება, კერძოდ – მიმდინარე ხარჯები, რაც კომპანიას ფუნქციონირებისათვის სჭირდება; თბილისის მასშტაბით სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესება; წყლის ხარისხის ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რომ უსაფრთხო იყოს ჯანმრთელობისთვის; ინვესტიციების ჩადება და სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება.

რადგან კომპანიასთან დადებულ ხელშეკრულებაში არსად წერია, რომ ტარიფის გაზრდა არ შეიძლება, ყველაფერი კანონთან შესაბამისობაში განხორციელდა.

ახალი ტარიფი 6 წლის ვადით დადგინდა და მხოლოდ კომისიას შეუძლია მისი მომატების ან შემცირების საკითხი განიხილოს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ კომპანიამ დაიცვას ყველა პირობა და ვალდებულება, რომელიც აიღო, მათ შორის ისიც, რომ მოსახლეობას წყალი გრაფიკით აღარ მიეწოდებოდეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, გადავხედავთ რამდენად შეასრულა ეს ვალდებულებები, თუ ვნახავთ, რომ ვერ შეასრულა, თანხები არასწორად გაიხარჯა, ამის შემდეგ შესაძლოა, კომისიამ ტარიფის შემცირების საკითხი განიხილოს.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ კომპანიამ დაიცვას ყველა პირობა და ვალდებულება, რომელიც აიღო, მათ შორის ისიც, რომ მოსახლეობას წყალი გრაფიკით აღარ მიეწოდებოდეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, გადავხედავთ რამდენად შეასრულა ეს ვალდებულებები.

პრობლემის არსი იფარება იმ ხელშეკრულებაში, რომელიც სახელმწიფომ და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ გააფორმეს. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით არსებობს უმთავრესი კითხვა: რატომ არ არის ხელმისაწვდომი ეს ხელშეკრულება თავად თბილისის მოსახლეობისთვის?

პრობლემის არსი იფარება იმ ხელშეკრულებაში, რომელიც სახელმწიფომ და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ გააფორმეს. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით არსებობს უმთავრესი კითხვა: რატომ არ არის ხელმისაწვდომი ეს ხელშეკრულება თავად თბილისის მოსახლეობისთვის? იმიტომ ხომ არა, რომ სახელმწიფომ ამ ხელშეკრულებით აიღო ტარიფების გაზრდის ვალდებულება 4.2 ლარის ნიშნულამდე და საჯაროდ არ უნდა ამის აღიარება?

როცა ტარიფზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე კომპონენტი:

1) თბილისში რეალურად გადამხდელი აბონენტების ოდენობა არ აღემატება მოსახლეობის 40 პროცენტს;

2) ერთ სულ მოსახლეზე დღე-ღამეში საშუალო 800 ლიტრი წყლის მოხმარება იანგარიშება (შედარებისთვის, იგივე პარამეტრები ევროპის დედაქალაქებში: მადრიდი – 260ლ, პარიზი – 170ლ, მოსკოვი – 225);

3) შადრევნებისა და გაზონების მორწყვის სისტემა, რომელიც სასმელ წყალზეა მიბმული.

შესაბამისად, ახალი ტარიფის მიხედვით ვინც იხდის, მას უწევს გადახდა:

1) იმ მოქალაქის სანაცვლოდ, რომელიც არ იხდის წყლის გადასახადს;

2) იმ წყლის მოხმარებაზე, რომელსაც ის ფიზიკურად ვერ მოიხმარდა (800 ლიტრი ზედმეტად არარეალისტურად გამოიყურება);

3) გაზონებისა და შადრევნებში მომდინარე წყალზე.

ამიტომ ტარიფის გადაანგარიშებისას უმთავრესი უნდა იყოს კომპანიის ვალდებულება ადმინისტრირების გაუმჯობესებასა და წყლის მოხმარების ოდენობის რეალისტურ განსაზღვრაზე. თუკი 1 კუბურ მეტრ წყალს ანგარიშობდნენ 10 თეთრად და 800 ლიტრის შემთხვევაში ვიღებდით 2.4 ლარს, თუ გაანგარიშება წავა რეალურ მოხმარებაზე – ანუ 400 ლიტრზე დღე-ღამეში, მივიღებთ 1.2 ლარს. ნაცვლად ამისა, 3.4 ლარამდე გაზარდეს. ტარიფი არათუ უნდა გაზრდილიყო, არამედ უნდა შემცირებულიყო და უფრო მეტიც, ამ გაანგარიშებით მუნიციპალიტეტს შეუძლია, საკუთარ თავზე აიღოს 17 მილიონი ლარის გადახდა და მოსახლეობისთვის ტარიფის განულება.

მეზობლები

რუსეთი

პარფიონოვის ჯადოსნური ხელი

რუს ტელეჟურნალისტებს შორის ლეონიდ პარფიონოვი ყოველთვის ყველაზე პეწიანი იყო. მას თავი გმირად ან სამოქალაქო უფლებების აქტივისტად არასდროს მოჰქონდა.

არკადი ოსტროვსკი, ჟურნალი „ეკონომისტი“

ირონიულობა და გარკვეული საკითხებისგან თავის შორს დაჭერა – ეს მისი წარმატების მთავარი საიდუმლო იყო. მას ისტორიული რეალობის შესანიშნავი შეგრძნება აქვს, რომელსაც განსაზღვრავს მოდა, კულტურა და ენა. და ასევე დროისა და დროულობის უნიკალური ალღო.

2004 წელს კრემლმა, საინფორმაციო სივრცის მტრული ელემენტებისაგან გაწმენდის მიზნით, პარფიონოვის საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა დახურა. მას მხოლოდ ისტორიული დოკუმენტური გადაცემების მომზადებისა და წაყვანის ნება დართეს.

გასულ კვირას პარფიონოვი ბრწყინვალე და აქტუალური სიტყვით გამოვიდა და შეგვახსენა, რომ დროის მაგიური შეგრძნება არ დაუკარგავს.

ამ სიტყვამ მთელი მოსკოვი აალაპარაკა. კონტექსტი უმნიშვნელოვანესი იყო. იგი პუბლიკის წინაშე სმოკინგებში ჩაცმული გამოვიდა. მას 1995 წელს მოკლული ღეგენდარული ჟურნალისტის – ვლადისლავ ლისტევის სახელობის ჯილდო გადასცეს. პარფიონოვი რუსული ტელევიზიების გავლენიანი მმართველების წინაშე წარდგა და პირდაპირ უთხრა, თუ რას ფიქრობდა მათ ინდუსტრიაზე.

„რუსეთის ნაციონალური ტელევიზიის რეპორტიორისთვის კრემლის მაღალჩინოსნები ახალი ამბების გმირები კი არ არიან, არამედ მისი უფროსის უფროსები“, – განაცხადა პარფიონოვმა, რომელიც შესამჩნევად ნერვიულობდა.

„ეს კი ნიშნავს, რომ ჟურნალისტები ჟურნალისტები კი არ არიან, არამედ ბიუროკრატები, რომლებიც თავიანთ უფროსებს ემსახურებიან“.

ტელევიზიების ხელმძღვანელები, რომლებმაც რუსული ნაციონალური არხები გასართობი გადაცემებისა და სახელმწიფო პროპაგანდის ნაზავად აქციეს, პარფიონოვს უემოციო სახეებით უსმენდნენ. მისი ეს გამოსვლა არცერთ ნაციონალურ არხს არ გადაუცია, რითაც თითქოს პარფიონოვის „დიაგნოზი“ დაადასტურეს. ამის გამო, ინტერესი პარფიონოვის გამოსვლის მიმართ ჟურნალისტებს შორის კიდევ უფრო გამძაფრდა.

პარფიონოვის გამოსვლაში ახალი არაფერი არ იყო, გარდა იმისა, რომ ასეთი სიტყვა ღიად წარმოითქვა. მისმა სიტყვამ ყველას „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ პერიოდი გაახსენა – 25 წლის წინ მიხეილ გორბაჩოვის მიერ წამოწყებული ეკონომიკური და პოლიტიკური ღიაობის ეპოქა.

მაშინაც, გაზეთები არ წერდნენ იმაზე, რაც ისედაც ყველამ იცოდა. პარფიონოვის გამოსვლის სენსაციურობაც ამაში იყო – მან თქვა ის, რაც კერძო საუბრებში დიდი ხანია, განიხილებოდა. ახლა ეს საჯაროდ გაცხადდა.

პარალელი პერესტროიკასთან კიდევ უფრო გამოკვეთა დიმიტრი მედვედევის ვიდეობლოგმა, რომელიც პარფიონოვის სიტყვით გამოსვლას დაემთხვა. ამ ბლოგში რუსეთის პრეზიდენტმა სტაგნაციაზე და პოლიტიკური კონკურენციის საჭიროებაზე ისაუბრა და სიტყვა „ზასტოი“ ახსენა.

პარფიონოვმა ყურადღებით შეარჩია თითოეული სიტყვა. „ჩვენი ტელევიზია სულ უფრო პროფესიონალურად და მოხდენილად გვაღელვებს, გვიტაცებს, გვართობს, გვაცინებს, მაგრამ ძნელია, მას სამოქალაქო ან პოლიტიკური ინსტიტუტი უწოდო“. აქამდე პარფიონოვი სიტყვებს „სამოქალაქო“ და „მოვალეობა“ არასოდეს იყენებდა. ისინი მას ხელოვნურად მიაჩნდა.

2001 წელს, როცა გაზპრომმა – რუსეთის ბუნებრივი აირის სახელმწიფო მონოპოლისტმა რუსეთის მთავარი კერძო სატელევიზიო არხის – ნტვ-ს შესყიდვა გადაწყვიტა, ნტვ-ს ჟურნალისტთა ჯგუფმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა.

პარფიონოვმა მაშინ ნტვ-ს დირექტორს ღია წერილი მისწერა: „ახალი ამბების ოთახში შენი დარიგებების მოსმენას უკვე ვეღარ შევძლებ,“ – წერდა ის. კოლეგამ პარფიონოვს მოღალატე უწოდა და „სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლის ღალატში!“ დასდო ბრალი. პარფიონოვმა მხოლოდ ეს ჰკითხა – რამდენად გამართლებულია ძახილის ნიშანი შენი წინადადების ბოლოს? „მე პროფესიონალი ჟურნალისტი ვარ და არა პროფესიონალი რევოლუციონერი. ჩემი საქმე მოვლენების გაშუქებაა და არა ბარიკადებზე ძრომიალი,“ – მითხრა მან უკვე სამი წლის შემდეგ, როცა მისი გადაცემა დახურეს.

იგი ხსნიდა, რომ რუსული ლიბერალიზმი პოლიტიკაში კი არა, მოსკოვის მოდურ ბუტიკებსა და კაფეებში უნდა ვეძებოთ. ბევრი ახალგაზრდა წარმატებული რუსი მაშინ ამ აზრს იზიარებდა. დღეს კი, ექვსი წლის შემდეგ, პარფიონოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა იმის მანიშნებელია, რომ რუსების გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში ცვლილებები მოხდა. „ამ დილით საავადმყოფოში ოლეგ კაშინი მოვინახულე,“ – ასე დაიწყო მან თავისი სიტყვა.

კაშინი ჟურნალისტია, რომელიც რამდენიმე კვირის წინ მოსკოვში სასტიკად სცემეს. ამ თავდასხმამ რუსულ საზოგადოებაზე უფრო იმოქმედა, ვიდრე ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობამ, რომელიც წერდა გაბედულ რეპორტაჟებს ჩეჩნეთიდან და ამზადებდა ჟურნალისტურ გამოძიებებს. მსგავს არაფერს აკეთებდა კაშინი. ხალხმა დაინახა, რომ თავს შეიძლება დაგესხან იმ შემთხვევაშიც კი, თუ არც გმირი ხარ და არც რევოლუციონერი.

კაშინზე თავდასხმის შემდეგ პარფიონოვის „სავაჭრო ნიშანი“ – ირონია და გულგრილობა აბსოლუტურად უადგილო იქნებოდა. გასულ კვირას მან სიტყვა სრული სერიოზულობით წარმოთქვა. მისი დოკუმენტური გადაცემების ციკლის მთავარი მიზანი წლების მანძილზე რუსულ ცნობიერებაში მომხდარი გარდატეხების ჩვენება იყო. მის მიერ წარმოთქმული სიტყვაც, შესაძლოა, ერთ-ერთი ასეთი გარდატეხის გამომხატველი იყოს.

გასულ კვირას პარფიონოვი ბრწყინვალე და აქტუალური სიტყვით გამოვიდა და შეგვახსენა, რომ დროის მაგიური შეგრძნება არ დაუკარგავს. ამ სიტყვამ მთელი მოსკოვი აალაპარაკა. „ჟურნალისტები ჟურნალისტები კი არ არიან, არამედ ბიუროკრატები, რომლებიც თავიანთ უფროსებს ემსახურებიან“.

რუსულიდან თარგმნა თამარ სართანიამ.

აფხაზეთი

ემიგრანტების დაბრუნება აფხაზეთში

აფხაზეთის ხელისუფლება მე-19 საუკუნეში ემიგრირებულთა შთამომავლებს ისტორიულ სამშობლოში უხმობს.

ანაიდ გოგორიანი

აფხაზეთში იმედი აქვთ, რომ თურქეთი მათთვის ახალი იმიგრანტების წყარო გახდება, რაც რესპუბლიკაში დემოგრაფიულ ბალანსს ეთნიკური აფხაზების სასარგებლოდ შეცვლის.

აფხაზეთის მოსახლეობა დღეს მხოლოდ 250 ათასს შეადგენს, მათგან ეთნიკური აფხაზი მხოლოდ 100 ათასია.

ამავდროულად, თურქეთში აფხაზური წარმოშობის ნახევარი მილიონი ადამიანი ცხოვრობს – ისინი იმ ემიგრანტთა შთამომავლები არიან, ვინც კავკასიის ეს ნაწილი რუსეთის მიერ მისი დაპყრობის შემდეგ დატოვა.

მათი უმრავლესობა ახლა მხოლოდ თურქულად საუბრობს, მაგრამ აფხაზეთის მთავრობას მაინც იმედი აქვს, რომ შავი ზღვის მეორე მხარეს გადმოსვლა და წინაპრების სამშობლოში ახალი ცხოვრების დაწყება ბევრს მოუნდება.

იავუზ კუაძბა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ასე მოიქცა – იგი აფხაზეთში 200 სხვა აფხაზთან ერთად 1993 წელს ჩამოსახლდა. მათგან ბევრი ისევ უკან დაბრუნდა, რადგან ომის შედეგად გამოწვეული ნგრევა, შიმშილი და სიღარიბე, ასევე ომის შემდგომი 10-წლიანი ბლოკადა მათთვის აუტანელი აღმოჩნდა.

მაგრამ კუაძბა დარჩა და რუსული და აფხაზური ენები ისწავლა.

„თუ სურვილი გაქვს, ისწავლი. მე მქონდა სურვილი," – ამბობს იგი. მას ახლა სოხუმის ცენტრში ტურისტული

სააგენტო აქვს. ეს სააგენტო ერთ-ერთი ინტერნეტ-კაფეს ტერიტორიაზე მდებარეობს, რომელიც ასევე ერთ-ერთ „რეპატრიანტს" – რეჯებ უჩაშს ეკუთვნის.

„ბიზნესის წამოწყება ადვილი არ არის. თურქეთში კრედიტს ვერ აიღებ, აფხაზეთში კი საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალია", – ამბობს კუაძბა.

აფხაზეთის მთავრობა კუაძბას მსგავსად ჩამოსახლებულებს ქონებას აძლევს. კუაძბამ სახლი გაგრაში, სოხუმის ჩრდილოეთით მიიღო. მას სახლის აღსადგენად ფული არ აქვს, მაგრამ თურქეთში დაბრუნებას მაინც არ აპირებს.

„რა თქმა უნდა, ზოგჯერ რთულია. მაგრამ ვფიქრობ, ასე დიდხანს არ გაგრძელდება. ზოგიერთმა თქვა, რომ აქ ვერაფერს ვერ გააკეთებდა და უკან დაბრუნდა. თუ ვინმე სიმდიდრეს ეძებს, ისინი უკან ბრუნდებიან", – ამბობს კუაძბა.

პრობლემა მთავარ პრიორიტეტად იმიტომ არ იქცა, რომ არსებობდა რუსეთის მხრიდან ნეგატიური რეაქციის რისკი," – ამბობს იგი. „ჩვენ რუსეთის ხელმძღვანელობას დაუფარავად უნდა ვუთხრათ, რომ ჩვენი თანამემამულეების დაბრუნება აფხაზი ხალხის გადასარჩენადაა აუცილებელი. დიასპორაში ათჯერ მეტი აფხაზია, ვიდრე აქ – მათ ისტორიულ სამშობლოში."

ალანიას თქმით, მისი ეჭვები გაიფანტა მას შემდეგ, რაც გასულ წელს იგი პირადად შეხვდა რუსეთის პრემიერ-მინისტრს ვლადიმირ პუტინს. მან დამამშვიდა და მითხრა, რომ „მთავარი აფხაზი ხალხის გადარჩენაა".

რეპატრიაციის კომიტეტი ახლად ჩამოსულებს მოქალაქეობის მიღებაში, ფულითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფაში ეხმარება. რეპატრიანტებს

ადლეიბას თქმით, მათთვის, ვინც სოხუმში დაბრუნებას გადაწყვეტს, სახლების აშენების სურვილი თურქმა ბიზნესმენებმა გამოთქვეს. რუსები კი მზად არიან, რეპატრიანტებს საცხოვრებელი ბინები ოჩამჩირის რაიონში აუშენონ.

ფარუკ ქარჩაა და მისი ოჯახი ერთ-ერთ იმათგანია, ვინც თურქეთიდან ჩამოვიდა აფხაზეთში სამუდამოდ დარჩენა გადაწყვიტა. 50-წლის ფარუკმა სოხუმში ცოლი და შვილი ოთხი წლის წინ ჩამოიყვანა. ახლა იგი ქალაქის ცენტრში კაფეს ფლობს.

ქარჩაამ ცოტა აფხაზური ისწავლა, თუმცა რუსულს ჯერჯერობით ვერ ფლობს, რაც ცხოვრებას ურთულებს, რადგან რუსული აქაური ლინგვა ფრანკაა.

ქარჩაას ოჯახს სოხუმში სახლი გამოუყვეს, მაგრამ მისი განახლების ფული არ აქვთ და ამიტომ ქირით ცხოვრობენ.

დღეისათვის აფხაზეთში მუდმივი მცხოვრების სტატუსით დაახლოებით 300 თურქი აფხაზი ცხოვრობს. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ მათი ნაკადი გაიზრდება, მით უფრო, რომ ახლა უკვე რეპატრიანტების დახმარების სახელმწიფო პროგრამა არსებობს.

ორი წლის წინ რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარების შემდეგ, საქართველოს მხრიდან დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, აქაური მთავრობა შეეცადა, რეპატრიაციის პროცესი უფრო სისტემატური გაეხადა.

დღეისათვის აფხაზეთში მუდმივი მცხოვრების სტატუსით დაახლოებით 300 თურქი აფხაზი ცხოვრობს. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ მათი ნაკადი გაიზრდება, მით უფრო, რომ ახლა უკვე რეპატრიანტების დახმარების სახელმწიფო პროგრამა არსებობს.

„აქამდე იყო მოწოდება დაბრუნებისაკენ, მაგრამ არანაირი პროგრამა", – განაცხადა აფხაზურ-აბაზური კონგრესის თავმჯდომარემ, ოპოზიციონერმა გენადი ალანიამ.

ალანიას თქმით, თავიდან იყო შიში, რომ რუსეთი მის საზღვრებთან დიდი რაოდენობით თურქეთის მოქალაქეების ჩამოსახლებას შეეწინააღმდეგებოდა.

„აფხაზეთში ხალხის რეპატრიაციის აფხაზეთში ჩამოსვლის შემდეგ გარკვეული პირობების შესრულება უწევთ – მათ 15 წლის განმავლობაში მათთვის გადაცემული სახლის გაყიდვა არ შეუძლიათ, რათა ნაღდი ფულის მიღების შემდეგ ისევ თურქეთში არ დაბრუნდნენ.

სექტემბერში მთავრობის კანცელარიის ყოფილი უფროსი ზურაბ ადლეიბა რეპატრიაციის კომიტეტის თავმჯდომარე გახდა და მისი რეფორმირება დაიწყო.

„გვსურს, რომ უმეტესწილად ახალგაზრდები დაბრუნდნენ", – ამბობს იგი. „მათთან მუშაობა ადვილია. ისინი უფრო სწრაფად ადაპტირდებიან და ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები გახდებიან."

ადლეიბამ სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რომელსაც მალე მთავრობას წარუდგენს. „გეგმა ყველაფერს მოიცავს, ენის სწავლებითა და ადაპტაციით დაწყებული. გვაქვს ბევრი იდეა, რომელიც პრაქტიკაში უნდა განვახორციელოთ", – ამბობს იგი.

ქარჩაა თურქულად ლაპარაკობს, მის საუბარს ვვილიშვილი – ნესრენი თარგმნის. იგი ამბობს, რომ სირთულეების მიუხედავად, არაფერს ნანობს.

„მე ჩემი წინაპრების სამშობლოში დავბრუნდი. ეს ჩემი სახლია".

ანაიდ გოგორიანი,
ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კორესპონდენტი სოხუმში.

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს".

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.



ფოტო: ეაროლინა/ფლიკრი / Reuters

ჯულიან ასანჟი

ყველაზე დიდი კონსპირატორი მთავრობებს აშიშვლებს

გაჟონვა – ეს საინფორმაციო ომის ინსტრუმენტია.

თამარ ბაბუაძე

6 თვის წინ, 2010 წლის მაისში, სოციალური და ციფრული მედიის შესახებ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ვებგვერდზე – mashable.com – იმ ინტერნეტ-პროექტების ხუთეული გამოქვეყნდა, რომელთაც ჰქონდათ პოტენციალი, „თავდაყირა დაეყენებინათ „ნიუსის“ გაგება.“

სიაში 2006 წელს დაარსებული მედიაორგანიზაცია WikiLeaks-ი ლიდერობდა.

ამ დროს WikiLeaks-ი უკვე იყო ვებგვერდი, რომლის სიახლეებსაც თანაბარი ინტერესით დარაჯობდა მედიაც, არასამთავრობო სექტორიც და – სპეც-სამსახურებიც.

ამის მიზეზი ერთი თვით ადრე, აღდგომის მეორე დღეს, ნიუ იორკში მოწყობილი ხმაურიანი პრესკონფერენცია გახდა. გრანდიოზულ დღესასწაულზე, რომელიც ჟურნალისტურ ენაზე ახალი ამბებისთვის „მკვდარი დღეა“, WikiLeaks-ის დამფუძნებელმა, ჯულიან ასანჟიმ მედიას 40-წუთიანი გასაიდუმლოებული ვიდეო-კლიპი წარუდგინა. ეს იყო 2007 წელს, ერაყის დაბომბვების დროს გადაღებული დოკუმენტური მასალა, რომლის მოპოვებასაც საინფორმაციო სააგენტო „როიტერსი“, სამი წლის განმავლობაში, აშშ-ს ხელისუფლებისგან უშედეგოდ ცდილობდა. საკონფერენციო დარბაზში შეკრებილი ჟურნალისტები მონუსხულები უყურებდნენ დოკუმენტურ კადრებს, თუ როგორ ცხრილავენ ერთ-ერთი თავდასხმის დროს ამერიკელი სამხედრო მფრინავები ბაღდადის მშვიდობიან მოსახლეობას. ამ შეტევას 26 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დაიჭრა ორი მცირეწლოვანი ბავშვი. დაიღუპა საინფორმაციო სააგენტო „როიტერსის“ ორი წარმომადგენელი.

დილით WikiLeaks-ი უკვე ყველაზე პოპულარული საინფორმაციო წყარო იყო. mashable.com კი სწორედ ამ ისტორიული პრესკონფერენციის შემდეგ წერდა: „ჩვენ უკვე გვაქვს ვებგვერდების მთელი თაობა – თვითერი, იუთუბი, დიგი, რომელთაც ასევე შეძლეს სულ სხვა მნიშვნელობა მიენიჭებინათ ნიუსისთვის. რთულია იმის წინასწარ თქმა, ახლად გამოჩენილი ნოვატორებიც ასევე პოპულარულები გახდებიან თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი გვთავაზობენ ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების სრულიად ახალ წესებს. მსგავსი ხერხებით მანამდე თითქმის არავის უსარგებლია.“

ექვსი თვის წინ გაკეთებული ამ ხმაურიანი პროგნოზის მიუხედავად, იმ რეზონანსის წინასწარ გამოცნობა, რაც WikiLeaks-ის მიერ გასულ კვირას გამოქვეყნებულ დოკუმენტებს მოჰყვა, მაინც წარმოუდგენელი აღმოჩნდა.

28 ნოემბრიდან მოყოლებული, WikiLeaks-ის მიერ გამოქვეყნებული 250 ათასზე მეტი საიდუმლო დოკუმენტი მსოფლიოში ნომერ პირველ საკითხავად იქცა. მასალაში, რომელიც თანდათანობით ხდება ხელმისაწვდომი, სხვადასხვა სახელმწიფოების მოქალაქეები საკუთარი ქვეყნების შესახებ ცნობებს პოულობენ და ცდილობენ, ამერიკელ დიპლომატთა ათი ათასობით წერილში გაფანტული ფრაგმენტებისგან ერთ გამოსახულებად შეკრან მათთვის აქამდე მკაცრად გასაიდუმლოებული რეალობა.

დღეს უკვე ცნობილია, რომ ინფორმაცია, რომელიც აქამდე გამოქვეყნდა, იმ დოკუმენტების მხოლოდ 0,1 პროცენტია, რასაც ჯულიან ასანჟი დიპლომატიური არხებიდან ფლობს. თუმცა, მილიონობით დოკუმენტის ეს მიზერული ნაწილიც კი უკვე საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მსოფლიო თავდაყირა დაეყენებინა.

– რა არის ის ღერძი, რომელსაც თქვენი ფასეულობები ეფუძნება – ჰკითხა ვიკილიქსის დამფუძნებელს, ჯულიან ასანჟს TED.com ის წამყვანმა, კრის ანდერსონმა 2010 წლის ივლისში ჩაწერილ ინტერვიუში.

„– ღირებულებების ცენტრი? ეს შეიძლება, იყოს ჩემი რწმენა, რომ ნიჭიერი, დიდსულოვანი ადამიანები უმსხვერპლოდ ცხოვრობენ და იქით ზრუნავენ მათზე, ვინც სხვების მსხვერპლად იქცა. მე მებრძოლი ტიპი ვარ და არა პირდაპირი გაგებით – მზრუნველი. ჩემთვის სხვებზე ზრუნვა ნიშნავს ვაკონტროლო ისინი, ვინც დანაშაულს სჩადიან“.

ამ ღერძზე დგას Wikileaks-იც, რომელიც ჯულიან ასანჟმა ოფიციალურად 2007 წელს დაარეგისტრირა.

ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია: „WikiLeaks-ი პირველი საერთაშორისო „სამიზდატური“ მოძრაობაა.“ ამ ვებგვერდის ოთხწლიანი ისტორია კი ცხადყოფს, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, გამჭვირვალობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ეპოქაში საბჭოთა დისიდენტური ტერმინები კვლავაც აქტუალურია, ყველაზე მნიშვნელოვან ბიძგებს კი საზოგადოებაში დღესაც ის ჯგუფები იწვევენ, ვინც იატაკქვეშეთიდან იბრძვიან.

WikiLeaks-ი, ერთი შეხედვით, მარტივი სქემით მუშაობს – ორგანიზაციას ანონიმური წყაროები მთელი მსოფლიოდან აწვდიან მთავრობების, მულტინაციონალური კომპანიების თუ მსხვილი ბანკების შესახებ გასაიდუმლოებულ ინფორმაციას, რომელსაც ჯგუფის მოხალისე თანამშრომლები ამუშავებენ, ამოწმებენ, არედაქტირებენ (ადამიანებისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად), ურთავენ მცირე, აღწერითი ტიპის ანოტაციას და ვებგვერდზე აქვეყნებენ, ასაჯაროებენ.

ეს დოკუმენტები ჯულიან ასანჟის

კომენტარები

NEW YORK TIMES
აშშ, სკოტ შეინი, რეპორტიორი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში

დიპლომატიური ოპერაციების ხარჯებს აშშ-ს მოქალაქეები იხდიან, ამიტომაც ცუდი არ არის, რომ ამერიკელებს მათ საქმიანობაზე უკეთესი წარმოდგენა შეექმნათ. 2003 წელს, ერაყში შეჭრამდეც ამდენი საიდუმლო ინფორმაცია რომ გვქონოდა, უკეთ განვსაზღვრავდით, რამდენად რეალური იყო სადამ ჰუსეინის მასობრივი განადგურების იარაღის ისტორია.

THE TIMES
დიდი ბრიტანეთი, ლიბი პურვეს, მიმომხილველი

შესაძლოა, ბრიტანელმა პოლიტიკოსებმა მალევე დაივიწყონ და მიუტევონ ამერიკელებს ეს გულახდილობა, მაგრამ მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანას ეს შეურაცხყოფა მალე არ დაავიწყდება. განსაკუთრებით მუსლიმურ ერებს. თუ მომავალში დიპლომატები დაშიფრული არხების საშუალებით მთავრობისთვის არადიპლომატიური, დაუფარავი სიმართლის შეტყობინებას ვეღარ გაბედავენ, მსოფლიო მშვიდობას დიდი საფრთხე დაემუქრება.

THE ECONOMIST
დიდი ბრიტანეთი

ადამიანთა უფლებების დამცველი და ჰუმანიტარული ორგანიზაციების მსგავსად, **WikiLeaks**-საც სჭირდება ჩამოყალიბებული ეთიკური ნორმები, რომელიც ნათელს მოჰფენს მისი საქმიანობის მოტივებს და მიზნებს. მაგალითად, **Human Rights Watch**-ის უკან მდგარი პიროვნებების ვინაობა სრულიად ხელმისაწვდომია. ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც **WikiLeaks**-ის მსგავსად საიდუმლო დოკუმენტებზე მუშაობს, რომელთაც პოტენციურად ვიღაცებისთვის ზიანის მოტანა შეუძლიათ. მე **Human Rights Watch**-ს უფრო ვენდობი, რადგან ვიცი, ისინი ვინ არიან.

ჯგუფის წევრებს ზოგჯერ ჩვეულებრივი საფოსტო ამანათების, ზოგჯერ კი – იმეილზე მიმაგრებული ფაილების სახით მისდის. ზოგს ვიდეოს ფორმატი აქვს, ზოგს – აუდიოჩანაწერის, ზოგი ოფიციალური ბრძანებაა, ან კერძო მიმოწერა, კონტრაქტი, ან უბრალოდ პრობლემის აღწერა – ყველაფერი დაშიფრულია.

თითოეული ამ ინფორმაციის ფასი WikiLeaks-ისთვის ერთადერთი საზომით იზომება – ამბავი მიჩქმალულ უსამართლობას უნდა ასაჯაროებდეს. სამოქალაქო აზროვნება ამ ჯგუფის წევრებისთვის, პირველ რიგში, იმ ორგანიზაციების გამოვლენას ნიშნავს, რომლებიც სწორედ სამოქალაქო აზროვნების განვითარებას აფერხებენ.

ამიტომ WikiLeaks-ის წევრები საკუთარ თავს მებრძოლებს უწოდებენ, მაგრამ ამტკიცებენ, რომ არ ჰყავთ ერთი კონკრეტული მტერი. მტერი მათთვის ყველა ის მთავრობა და კომპანიაა, ერთად აღებული, რომლებიც ორმაგი სტანდარტებით თამაშობენ, დანაშაულს კი დემოკრატიული იმიჯის მიღმა ფარავენ.

ჯულიან ასანჟი ამბობს, რომ კაცობრიობის უმთავრესი ბრძოლა სინათლესა და სიბნელეს, ბოროტსა და კეთილს, რწმენასა და სკეფსისს შორის კი არ მიმდინარეობს, არამედ – მოქალაქესა და ინსტიტუციას შორის.

ასანჟი განათლებით ფიზიკოსია. მისი დევიზიც ფიზიკის ფორმულასავით ჟღერს: „როდესაც რეჟიმის შიდა საკომუნიკაციო არხები დახშულია, აუცილებელია, კონსპირატორებს შორის ინფორმაციის დინება შეაკავო. როდესაც დინება ნულს გაუტოლდება, კონსპირაცია აორთქლდება. გაჟონვა – ეს საინფორმაციო ომის ინსტრუმენტია.“

გამოდის, რომ ინფორმაციის გამჭვირვალობა ამ ორგანიზაციისთვის მხოლოდ ხერხია და არა – თვითმიზანი. საბოლოო ჯამში, „ჩვენი მიზანი სამართლიანი საზოგადოების მიღწევაა“, – ამბობს ასანჟი.

ამიტომაც ჟონავს WikiLeaks-ი. ხოლო ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოებასაც ლეგიტიმური საფუძველი შეიძლება ჰქონდეს, მათთვის თითქმის არ არსებობს. გამონაკლისი შეიძლება, მხოლოდ ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტი იყოს. მაგრამ თუკი დოკუმენტურად შეძლებ იმის დადასტურებას, რომ გუანტანამოს ციხიდან ამერიკელები მომწამვლელ ნივთიერებებს აფრიკაში „ყრიდნენ“; თუკი 400 ათასამდე დოკუმენტს მოიპოვებ, რომლებშიც ამერიკელი ჯარისკაცები პირველ პირში აღწერენ ვაშინგტონისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გასაიდუმლოებულ დეტალებს ერაყის ომიდან; თუკი ასევე, კატეგორიების, თარიღების, მსხვერპლთა ოდენობის მიხედვით შეძლებ, საზოგადოებას ავღანეთის ომის შესახებ უამბო – ეს აუცილებლად უნდა გააკეთო.

– ფიქრობთ თუ არა ამ დროს მაგალითად, იმ ამერიკელი ჯარისკაცების მშობლებზე, რომლებიც ერაყის ომში მონაწილეობდნენ? წონით თუ არა მეორე მხარეს? – ეკითხება ასანჟს კრის ანდერსონი.

– გაიხსენეთ ადამიანები ერაყში, ან ავღანეთში, მათ ამ ვიდეოს ნახვა არ სჭირდებათ. ისინი მსგავსი ამბების მომსწრენი ყოველდღიურად არიან. ამიტომ ეს ვიდეო მათ წარმოდგენას არ შეცვლის. ეს ვიდეო შეცვლის იმ ადამიანების შეხედულებებსა და წარმოდგენებს, რომლებიც ამ ომებს საკუთარი ჯიბით აფინანსებენ, – პასუხობს ასანჟი.

28 ნოემბერს WikiLeaks-მა 250 ათასზე მეტი დიპლომატიური არხი სწორედ ამ ლოგიკის მიხედვით გამოამზეურა.

ამ მოცულობის საიდუმლო ინფორმაცია ერთად მანამდე არასდროს გამოქვეყნებულა.

„WikiLeaks-მა სამი წლის განმავლობაში უფრო მეტი ინფორმაცია მოიპოვა, ვიდრე „ვაშინგტონ პოსტმა“ 30 წლის მანძილზე შეძლო“, – წერს ამერიკელი მწერალი კლეი შირკი.

ასანჟიც მრავალმნიშვნელოვნად დასძენს: „საწყენი არაა, რომ აქტივისტთა მცირე დაჯგუფებამ შეძლო იმდენი ინფორმაციის მოპოვება, რამდენიც ვერ შეძლო მსოფლიო პრესამ ერთად აღებული?“

WikiLeaks-ი მედია-ორგანიზაციაა, წერია მის ოფიციალურ ვებგვერდზე, თუმცა ჟურნალისტიკა მის შემქმნელებს აბსოლუტურად სხვანაირად ესმით.

ინფორმაციის გავრცელება – ეს ის არის, რასაც ტრადიციული და სოციალური მედია, თითქოსდა, WikiLeaks-ის მსგავსად, ყოველდღიურად აკეთებს. თუმცა, განსხვავება იმაშია, რომ WikiLeaks-ის შემქმნელები მედიის ამ უპირველეს დანიშნულებას – ნიუსის გავრცელებას – სამართლიანობისთვის ბრძოლისა და სამოქალაქო აქტივიზმისთვის იყენებენ.

ინფორმაცია მათ, ერთმნიშვნელოვნად, გარდაქმნისთვის სჭირდებათ, დანაშაულის გამოაშკარავება – საზოგადოების გაკეთილშობილებისთვის. WikiLeaks-ი მედიის ფუნქციას ამაში ხედავს.

„საკითხი ასე დგას – რა ტიპის ინფორმაციაა მნიშვნელოვანი მსოფლიოში, რა სახის ამბებმა შეიძლება, საფუძველი დაუდონ დიდ ცვლილებებს. როდესაც სხვადასხვა ორგანიზაციები ფულს ხარჯავენ ინფორმაციის დასამალავად, ეს თითქმის ყოველთვის ნიშანია იმისა, რომ გასაჯაროებას დადებითი ცვლილება მოჰყვება. ეს ჩვენი გამოცდილებითაც ვიცით და ამავეს მოწმობს ჟურნალისტიკის ისტორიაც“, – ამბობს ჯულიან ასანჟი.

ასანჟს ყოველთვის ჰყავს მეკავშირე გამოცემები, რომლებიც მას საიდუმლო მასალების გამოქვეყნებაში ეხმარებიან. ახლაც, 250 ათასი დოკუმენტის მასობრივ გამოქვეყნებაში ხუთი გავლენიანი გამოცემა: ამერიკაში – „ნიუ იორკ ტაიმსი“, საფრანგეთში – „ლე მონდი“, ესპანეთში – „ელ პაისი“ და გერმანიაში – „შპიგელი“ მონაწილეობს.

თუმცა, ღია თუ ფარული დაპირისპირება ასანჟსა და ტრადიციულ მედიას შორის მაინც არსებობს. 2008 წელს, როდესაც შვეიცარიის ბანკმა WikiLeaks-ს კონფიდენციალური დოკუმენტაციის გამოქვეყნებისთვის უჩივლა, „ლოს ანჯელეს თაიმსმა“, „ესოშიეიტიდ პრესმა“ და ათმა სხვა მედიაგამოცემამ WikiLeaks-ის წინააღმდეგ სასამართლოსთან ითანამშრომლეს (მოგვიანებით თვითონ ბანკმა მოხსნა საჩივარი).

საქმიანობის დაწყებამდე ასანჟი გაცილებით უფრო დიდ იმედს სოციალურ მედიაზე ამყარებდა. სქემა მას ასე წარმოედგინა – WikiLeaks-ი გაავრცელებდა საიდუმლო მასალებს, მილიონობით ინტერნეტ-მოქალაქე და ბლოგერი კი ანალიტიკურ სამუშაოს გასწევდა. თუმცა, ასე არ მოხდა, რადგან „ანალიტიკურ სტატიებს არ უნდა ელოდო ადამიანებისგან, რომელთაც ფულს ისევე რეგულარულად და სტრუქტურიზებულად ვერ უხდი, როგორც – ტრადიციული მედიასაშუალებები აკეთებენ. ამ ადამიანებისგან ერთადერთი, რასაც მიიღებ – მცირედი კომენტარია“, – აცხადებს ასანჟი.

მხოლოდ WikiLeaks-ის გაჟონვების შემდეგ ხდება ხოლმე ცხადი, რომ მეინსტრიმ მედიას ეფემერული სენსაციების შექმნის გარდა, ბევრი არაფერი შეუძლია. რეალური ცვლილებების პროვოცირების უნარი მას თითქმის არ გააჩნია. ინტერნეტის უპრეცედენტო თავისუფლებას კი ვერც

ჯულიან ასანჟი მეღამ გზაშია

Wikileaks-ის დამფუძნებელი ჯულიან ასანჟი ავსტრალიაში, 1971 წელს დაიბადა. თუმცა, ის უფრო მსოფლიო მოქალაქეა. ტელეფონის ნომრებსა და იმეილებს გამუდმებით იცვლის, მუდამ გარბის და, როგორც თვითონ ამბობს, ძირითადად აეროპორტებში ცხოვრობს.

ასეა ბავშვობიდან. მისი მამა თეატრის რეჟისორი იყო, მცირე დადგმებს ხელმძღვანელობდა და თეატრალურ ტურნეში მთელი ოჯახი დაჰყავდა. ვიდრე 14 წლის გახდებოდა, ასანჟმა მშობლებთან ერთად მისამართი 34-ჯერ გამოიცვალა.

ასანჟის დედა დარწმუნებული იყო, რომ ფორმალური განათლება მის შვილებს სისტემის მიმართ არაჯანსაღ პატივისცემას ჩაუნერგავს და შეაფერხებს სწავლისა და შეცნობის სურვილს. ამიტომ ჯულიანის განათლებაზე შინ ზრუნავდნენ. ის კითხულობდა წიგნებს და უნივერსიტეტის პროფესორებთან კერძოდ ემზადებოდა.

16 წლის იყო, როდესაც ასანჟმა პირველი მოდემი იყიდა და მისი კომპიუტერი პორტალად იქცა. 1987 წელი იყო და იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ვებგვერდები, თუმცა კომპიუტერული ქსელები და სატელეკომუნიკაციო სისტემები უკვე ქმნიდა უზარმაზარ დაფარულ ელექტრონულ სივრცეს, რომლის გამოკვლევის სურვილიც ახალი ტექნოლოგიებით დაინტერესებულ თინეიჯერ ასანჟს იმთავითვე გაუჩნდა.

ჯერ კიდევ 20 წლის არ იყო, რომ პირველი ელექტრონული სისტემები გატეხა. წლების განმავლობაში ის გამოცდილ ჰაკერად ჩამოყალიბდა და Wikileaks-ის შექმნადე დიდი ხნით ადრე დაუპირისპირდა ხელისუფლებას.

Wikileaks-ი მისი იდეებისა და ცხოვრებისეული ღირებულებების განხორციელებად იქცა. ამიტომაც ამბობენ, რომ ეს მსოფლიოს „ამრევი“ ორგანიზაცია ჯულიან ასანჟის პირშშოა.

40-წუთიანი ვიდეო ბაღდადის დაბომბვების შესახებ, რომელმაც Wikileaks-ს ყველაზე დიდი პოპულარობა მოუტანა, ორგანიზაციამ ციფრული კოდით მიიღო. მის გასაშიფრად სამი თვე დასჭირდათ. ამ საქმეს პირადად Wikileaks-ის დამფუძნებელი უძღვებოდა. ასანჟმა, რომელსაც შიფრის წაკითხვის დიდი გამოცდილება აქვს, მოგვიანებით ჟურნალ „ნიუ იორკერის“ ჟურნალისტს უთხრა, რომ ფაილი „საშუალო სირთულის“ გასატეხი იყო.

ჯულიან ასანჟი, განათლებით ფიზიკოსი, ცნობილი ჰაკერი, სისტემის წინააღმდეგ მებრძოლი ანარქისტი და ყველაზე დიდი კონსპირატორი, ახლაც გზაშია.

ბლოგერები იყენებენ სიმართლის საძიებლად.

„როდესაც ადამიანები წერენ პოლიტიკურ კომენტარებს სოციალური მედიის გამოყენებით, ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ გარკვეულ წრეში თავის დამკვიდრების სურვილი ამოძრავებთ. ამისთვის კი ყველაზე ეფექტური და სარფიანი გზა იმ ნიუსზე წერაა, რომელიც ჩვენს გარშემო ისედაც ტრიალებს და რომელსაც უკვე ჰყავს თავისი კომერციული აუდიტორია. ბლოგერები ან ერთ პოზიციას ემხრობიან ან მეორეს. სულ ესაა“, – განმარტავს ასანჟი.

გამოდის, რომ მეინსტრიმ მედიისგან WikiLeaks-ი მხოლოდ ჟურნალისტური გამოძიების ფორმას სესხულობს, ახალი მედიისგან კი – პლატფორმას, შედეგად კი ძველი და ახალი მედიის გამოცდილებაზე დაფუძნებით, სოციალური აქტივიზმის გაგება სულ სხვა ხარისხში აჰყავს.



WikiLeaks-ი ანონიმურ წყაროებზე დგას. „თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ ვიცით, ვინ გვაწვდის ინფორმაციას. თუკი, ამას გავიგებთ, ყველაფერს ვაკეთებთ, კვალის წასაშლელად“, – განმარტავს ასანჟი.

მის ორგანიზაციაში თითოეული წყაროსა და თითოეული დოკუმენტის უსაფრთხოებას იცავენ კოდირების უახლესი ტექნოლოგიებით, რომელსაც თავად ქმნიან.

ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმოფანტულ სერვერებზე ინახავენ, პრობლემების თავიდან აცილების მიზნით იყენებენ „სარკე საიტების“ მომსახურებასაც. ამ სუპერთანამედროვე მეთოდების წყალობით ოთხი წლის განმავლობაში WikiLeaks-მა სხვადასხვა ქვეყნების სპეც-სამსახურების უამრავ კიბერ-შეტევას გაუძლო და შეძლო, უვნებლად შეენახა წლების განმავლობაში მოგროვებული საიდუმლო დოკუმენტები.

ასანჟი ამბობს, რომ WikiLeaks-ს გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვს, ვიდრე გადამუშავება შეუძლია. მიზეზი მოხალისეთა სიმცირე და დაფინანსების სიმწირეა. ხშირად ასანჟის მეგობრები WikiLeaks-ის პროექტებზე აბსოლუტურად უსასყიდლოდ მუშაობენ. ოფიციალურ ვებ-გვერდზე პროექტის ავტორები კი მკითხველებისგან შენირულობებს ითხოვენ „იმისთვის, რომ გავძლიერდეთ“.

მიუხედავად იმისა, რომ WikiLeaks-ის ბოლო გაჟონვის შემდეგ სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ ასანჟის „ფარდობით მორალზე“ და მას უპასუხისმგებლობასა და ქაოსის გამოწვევაში ადანაშაულებენ, ასანჟის ორგანიზაციას მხოლოდ ერთ სოციალურ ქსელ ფეისბუკში ნახევარ მილიონზე მეტი ფანი ჰყავს. ზოგიერთი მათგანის ქველმოქმედებით კი WikiLeaks-ი დღემდე ფინანსდება. მხოლოდ აპრილში, ნიუ იორკში მოწყობილი პრესკონფერენციის შემდეგ, WikiLeaks-ს 200 ათასი დოლარი გადაურიცხეს. „ეს ჟურნალისტიკის დაფინანსების ახალი მოდელია. სცადეთ ის მრავალფეროვნებისთვის“, – მრავალმნიშვნელოვნად მოუწოდებდა ასანჟი თავისუფალი პრესის წარმომადგენლებს აპრილში გამოქვეყნებულ საკუთარ ბლოგპოსტში.

2007 წელს ასანჟი ისლანდიის კანონმდებლებსა და არასამთავრობო სექტორს უპრეცედენტოდ ლიბერალური სიტყვის თავისუფლების კანონმდებლობის შექმნაში დაეხმარა. ასანჟი ამ პროექტზე დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა. – ჩრდილო ატლანტიკის ოკეანეში მდებარე ყინულოვან კუნძულზე მას „სიტყვის თავისუფლების ოფშორული სამოთხის“ შექმნა სურდა.

თუმცა, თავისუფლების ოფშორული სამოთხე მთელ დედამიწაზე ვერ გავრცელდა. მხოლოდ საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, არასამთავრობო სექტორსა და ხელისუფლებას შორის თანხმობის მიღწევა და მედიის კონსოლიდაცია ამისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

მსოფლიოს შეზანზარება ისევ მხოლოდ ანარქისტად შერაცხულმა ერთმა კაცმა და მისმა მეგობრებმა შეძლეს.

WikiLeaks-ის საქმიანობის შედეგებზე პასუხისმგებლობას ასანჟი საკუთარ თავზე იღებს. ეს მას საკუთარ მონაპოვრადაც მიაჩნია. მისი მიზანი კითხვების დასმაა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს, მის მიერ გამოაშკარავებული სახელმწიფო საიდუმლოებები პასუხებს გვთავაზობენ. საზოგადოების ინფორმირებით, საიდუმლოს გახსნით, ის მომხდარზე პასუხისმგებლობას მოქალაქეებზეც ანაწილებს. WikiLeaks-მდე იოლი იყო, მიმდინარე მოვლენების მიმართ გულგრილი ყოფილიყავი, იმიტომ, რომ არ იცოდი. ახლა უკვე ყველას პასუხისმგებლობა და პირადი არჩევანია – იმოქმედოს თუ არა.

ჯულიან ასანჟი მალვაშია. „ინტერპოლი“ მას წითელი ცირკულარით მთელ მსოფლიოში ეძებს. ასანჟისთვის პოლიტიკური თავშესაფრის შეთავაზებისგან ყველა სახელმწიფო თავს იკავებს. WikiLeaks-ისგან ინფორმაციის შემდგომი გაჟონვის თავიდან ასარიდებლად ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფოების ყველაზე ძლევამოსილი ძალები – სპეცსამსახურები და ჰაკერები მუშაობენ. WikiLeaks-ი ჯერჯერობით შემოტევებს უძლებს და მასალების გამოქვეყნებას აგრძელებს. არ არის გამორიცხული, სისტემამ, რომელსაც ასანჟი ებრძვის, ეს სკანდალი გადალახოს და კიდევ უფრო ხისტი და ჩაკეტილი გახდეს. ეს ამ ისტორიის ყველაზე დრამატული დასასრული იქნებოდა.

ჰა ნეჰიპ საიდუმლო მასალებში

დიანა ჩაჩუა

ფოტო: ტრუე ანნი / Reuters



რუსეთი

ბეტმენი და როგინი

„ვიკილიკს“-ზე გამოქვეყნებულ დიპლომატიურ მიმოწერაში ამერიკელი დიპლომატები რუსეთს ახასიათებენ, როგორც „ფაქტობრივად მაფიოზურ სახელმწიფოს“.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრეზიდენტ მედვედევისა და პრემიერ პუტინის ურთიერთობების განხილვას. 2008 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ მიმოწერაში ამერიკელი დიპლომატი წერს: „ბეტმენი პუტინისთვის მედვედევი რობინის როლს ასრულებს.“

პუტინის უპირატეს როლზე აქცენტი კიდევ ერთ დიპლომატიურ მიმოწერაში კეთდება, სადაც მას „ალფა მამრად“ მოიხსენიებენ.

მასალებში ლიდერების დახასიათების გარდა, რუსეთის მთავრობის ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან კავშირზეცაა საუბარი. ერთ-ერთ მიმოწერაში აღნიშნულია: „რუსული დემოკრატია გაქრა, ხოლო მთავრობაში არიან ოლიგარქები, რომლებსაც სპეცსამსახურები მართავენ.“

დოკუმენტებში მოტანილია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების შეფის როლან გალარაგის სიტყვები: „საზოგადოება ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე. პრობლემის სათავე რეჟიმშია.“

დიპლომატები „მაჩო და ავტორიტარი“ პუტინისა და იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის მეგობრობასაც განიხილავენ: „ამ ორ ლიდერს განსაკუთრებით ახლო და ხელგაშლილი ურთიერთობები აქვთ.“

ნახსენებია გამდიდრებული ურანის არალეგალურად გადაზიდვის ფაქტიც, რამაც 2009 წელს ლამის „ეკოლოგიური კატასტროფა“ გამოიწვია და რუსეთსა და ამერიკას შორის ბირთვული შეიარაღების საკითხზე ჟენევაში გამართული მოლაპა-

რაკეტები საფრთხის ქვეშ დააყენა.

ერთ-ერთი დიპლომატიური დეპეშის თანახმად, რუსეთმა ისრაელის მოსყიდვა სცადა და უახლესი ტექნოლოგიის უპილოტო თვითმფრინავების სანაცვლოდ ერთი მილიარდი აშშ დოლარი და ირანისთვის სარაკეტო-საზენიტო დანადგარების C-300-ის მიყიდვაზე უარის თქმა შესთავაზა.

ჰეაუსი:

თავდაპირველად ოფიციალურმა მოსკოვმა ამ სკანდალთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაზე უარი თქვა და მას „ჰოლივუდის პროდუქცია“ უწოდა.

მოგვიანებით, ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთის ლიდერების „ბეტმენად“ და „რობინად“ მოხსენიება „უხეში და არაეთიკურია“. პუტინი შეერთებულ შტატებს „საკუთარი საქმეებით დაკავებას და რუსი ერის სუვერენული არჩევანის პატივისცემას“ სთხოვს.

საფრანგეთი

შიშველი მეფე

რა წერია საიდუმლო მასალებში

დიპლომატიურ არხებში საფრანგეთის პრეზიდენტი მოხსენიებულია, როგორც „შიშველი მეფე“, რომელიც თავის ქვეშევრდომებს და პრემიერ-მინისტრს მუდმივად საყვედურობს.

სარკოზის მთავარი თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჟან-დევიდ ლევანტე ვენესუელის პრეზიდენტს უგო ჩავესს მოიხსენიებს, როგორც „შეშლილს“, რომელიც ლათინური ამერიკის ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანას მალე „მეორე ზიმბამბვედ აქცევს.“ ამერიკელი დიპლომატები ლევანტეს მიაწერენ ირანის ხელისუფლის „ფაშისტებად“ მოხსენიების ფაქტსაც.

ჰეაუსი:

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ გაჟონვას „უპასუხისმგებლობა“ უწოდა და აღნიშნა, რომ მსგავსი ფაქტები საერთაშორისო ურთიერთობებს და ადამიანთა უსაფრთხოებას ემუქრება. მან თავი შეიკავა დოკუმენტებში საფრანგეთთან დაკავშირებით აღნიშნული ფაქტების კომენტირებისგან.

გერმანია

ჯიუტი მერკელი

2009 წლის მარტში, გერმანიის კანცლერთან შეხვედრამდე, პრეზიდენტ ობამასთვის განკუთვნილ დიპლომატიურ წერილში ანგელა მერკელი დახასიათებულია, როგორც „მეთოდოლოგი, რაციონალი და პრაგმატისტი“, რომელიც მმართველ გუნდში კრიზისს განიცდის. „კუთხეში მოქცეული მერკელი ჯიუტია, თუმცა რისკს თავს არიდებს და კრეატიულობა აკლია. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ არჩევნებამდე ის წინდახედულ მოკავშირედ დარჩება,“ – ნათქვამია საიდუმლო მიმოწერაში.

ჰეაუსი

ანგელა მერკელის სპიკერმა შტეფენ სეიბერტმა განაცხადა, რომ ბერლინი ძალიან შეწუხებულია მომხდართან დაკავშირებით, რადგან ამან შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთსა და სხვა რეგიონებში დასავლეთის პოზიციები შეასუსტოს. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტების გამოქვეყნება გერმანია-აშშ-ს ურთიერთობებზე ვერ იმოქმედებს.

ირანი

„მოაჭერით ამ გველს თავი“

ირანი და მისი ბირთვული პროგრამა, დიპლომატიური არხების მიხედვით, აშშ-ს ხელისუფლების მთავარი სადარდებელია. ირანის ბირთვული პროგრამით შეშფოთებული საუდის არაბეთის სამეფო, არაბთა გაერთიანებული საამიროები და ბაჰრეინი აშშ-ს ირანის დაბომბვას სთხოვენ.

იორდანიის სენატის ყოფილი პრეზიდენტი ზაიდ ალ-რიფაი ამერიკელ კოლეგებს ასეთ რჩევას აძლევს: „დაბომბეთ ირანი ან ირანის ბომბის ქვეშ მოგიწევთ ცხოვრება. სანქციები, ბიძგები და მსგავსი აღარ გაჭრის.“

„მოაჭერით იმ გველს თავი“, – დიპლომატიურ არხებში საუდის არაბეთის მეფე აბდულაც არის ნახსენები, რომელიც ვაშინგტონს ირანის ლიდერის თავიდან მოშორებას ურჩევს.

მეზობლის პოზიციას ბაჰრეინის მეფე ჰამადიც იზიარებს: „ირანის თავის ჭკუაზე მიშვება გაცილებით სახიფათოა, ვიდრე – მისი ომის გზით შეჩერება.“

ჰეაუსი

ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი დიპლომატიური არხებიდან ინფორმაციის გაჟონვას აშშ-ს მიერ წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციას უწოდებს, რაც „დაზვერვისა და პროპაგანდის ომის ნაწილია.“ ირანის ლიდერი არ დაუშვებს „ქვეყნის ამ ხაფანგში მოხვედრას.“ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საიდუმლო მასალების გამოქვეყნება ირანსა და მეზობელ არაბულ სამყაროს შორის ურთიერთობებს კიდევ უფრო დაძაბავს.

Wikileaks-ის სკანდალის იერანული შეფასებები

ლექსო ჩქარეული

ირანული და ავღანური მედია საშუალებები ვრცლად გამოეხმაურნენ Wikileaks-ის დამფუძნებლის ჯულიან ასანჟის წინააღმდეგ საერთაშორისო ძებნის გამოცხადებას. ავღანური მასმედიის და ინტერნეტ-რესურსების ყურადღება გასაგებია, რადგანაც Wikileaks-ის სკანდალი, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ავღანეთში ომის შესახებ გამოქვეყნებულ კომპრომატებს უკავშირდება.

ირანში ყველაზე მტკივნეულად აღიქვეს არაბეთის გაერთიანებლი საამიროების მონარქის თხოვნა ჯორჯ ბუშისადმი, რომ ირანზე თავდასხმით ამ ქვეყნის ბირთვულ ამბიციებს წერტილი დაუსვას.

ირანში ყველაზე მტკივნეულად აღიქვეს საამიროების მონარქის თხოვნა ჯორჯ ბუშისადმი, რომ ირანზე თავდასხმით ამ ქვეყნის ბირთვულ ამბიციებს წერტილი დაუსვას.

სპარსულენოვანი საინფორმაციო საგენტოების ყურადღება სწორედ ამაზეა გამახვილებული და არცერთი წყარო არ ახსენებს სხვა მიზეზებს, რომელთა გამოც ჯულიან ასანჟზე ძებნა გამოცხადდა.

კერძოდ, აღნიშნული საგენტოები არაფერს ამბობენ შვედეთში Wikileaks-ის დამფუძნებლის სექსუალურ თავგადასავლებზე, რაც დასავლური მედიის მთავარ თემად იქცა. საერთოდ, Wikileaks-ის საკითხზე ინფორმაციები ისეა მოწოდებული, რომ ჯულიან ასანჟისაგან ირანელები და ავღანელები მთლად გმირს თუ არა, დადებით, უნაკლო პერსონაჟს ქმნიან, რომელსაც ყველა თანაუგრძნობს.

მაგალითად, ერთ-ერთი იუზერი წერს, რომ „ჯულიანი ნამდვილი გმირია, რომელმაც თავისი საქციელით ისტორიის მდინარება შემოაბრუნა“, მეორე პირდაპირ მას მიმართავს და ამბობს: „ძვირფასო ჟულიან, თქვენ ჩემი საყვარელი ადამიანი ხართ და მზად ვარ, ყველაფერი გავიღო თქვენს დასამალად.“

თუ ავღანეთის გეოგრაფიულ მდებარეობას გავითვალისწინებთ, ჯულიან ასანჟს მართლაც შეუძლია, უბრალო ხალხის ეს შეთავაზებები წარმატებით გამოიყენოს და ინტერპოლის შიშმა ღრმა სიბერემდე აღარ შეაწუხოს.

რიგითი ირანელებისაგან განსხვავებით, რომელთა შეფასებებში Wikileaks-ის დამფუძნებლისადმი დიდი სიმპათია და რეგიონის სახელმწიფოთა მეთაურების მიმართ უდიდესი გაღიზიანება შეიმჩნევა, გასაკვირად მშვიდი და მოზომილი იყო ქვეყნის პრეზიდენტი, მაჰმუდ აჰმადინეჯადი ამ ამბების შეფასებისას.

3 დეკემბერს, დილით ირანის პრეზიდენტმა, Wikileaks-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე ზოგადი კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ გავრცელებული დოკუნეტები „რაღაც ეშმაკობაა და ჩვენთვის ამ დოკუმენტებს არანაირი ფასი არ გააჩნია, რადგან მათ არც იურიდიული ღირებულება არა აქვთ. რეგიონის ქვეყნები და ირანი ერთმანეთის თანამოძმენი ვართ და ამგვარი ეშმაკობები ჩვენს ურთიერთობებზე გავლენას ვერ იქონიებს!“

როგორც ჩანს, ზოგჯერ ირანის პრეზიდენტსაც შეუძლია, იყოს კარგი დიპლომატი. თუმცა, ეს Wikileaks-ის მიერ აგორებული საქმის მხოლოდ დასაწყისია.

დიდი ბრიტანეთი

„არაეფექტური მთავრობა“

ერთ-ერთ დოკუმენტში ამერიკელი დიპლომატი წერს, რომ დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელი კოალიციური მთავრობა, რომლის სათავეში დევიდ კემერონია, იქნება „არასტაბილური, არაეფექტური და ხელისუფლება დიდხანს არ დარჩება.“

დოსიეში ასევე ავღანეთში ბრიტანული სამხედრო ძალების ქმედებებს აკრიტიკებენ. ასევე ბრიტანული სამეფო ოჯახის ერთ-ერთი წევრის არაეთიკურ საქციელზეცაა საუბარი. კიდევ ერთ დიპლომატიურ წერილში ნათქვამია, რომ პრინცი ჩარლზი „ქვეყანაში არ სარგებლობს ისეთივე პატივისცემით, როგორითაც დედოფალი.“

ჰეაუსიები

„ჩვენ აშშ-სთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ და ასევე იქნება მომავალში,“ – განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სპიკერმა დევიდ ფილდმა, თუმცა იქვე ისიც აღნიშნა, რომ „მთავრობებს შორის ინფორმაციების კონფიდენციალურობის დაცვა აუცილებელია.“

ისრაელი

მოქმედების დრო

2009 წლის ივნისის დიპლომატიურ არხში საუბარია ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის – ეჰუდ ბარაკის ამერი-

კელ კონგრესმენებთან შეხვედრებისას გაკეთებულ განცხადებაზე, რომ ირანის ბირთვული პროგრამის შესაჩერებლად 6-დან 18 თვემდე ვადაა დარჩენილი, რომლის გასვლის შემდეგ „ნებისმიერი სამხედრო გადაწყვეტილება წარმოუდგენელი ზიანის მომტანი იქნება.“

ციტატა

პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ამ სკანდალს ისრაელისთვის არანაირი ზარალი არ მიუყენებია. მისი თქმით, ამ დოკუმენტებმა ცხადყო, რომ არაბული სამყარო ირანის ბირთვული პროგრამით ასევე შეშფოთებულია. იგი იმედს გამოთქვამს, რომ ამ დოკუმენტების გამოქვეყნების წყალობით, რეალური მოქმედების დრო დადგება.

ავღანეთი
სუსტი ლიდერი

ერთ-ერთ დიპლომატიურ წერილში ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის „უკიდურესად სუსტ“ ლიდერად და „პარანოიკად“ მოიხსენიებს. კიდევ ერთი დოკუმენტში არის ინფორმაცია მის ნახევარძმაზე – აჰმად ვალი კარზაიზე, რომელიც კანდაჰარის პროვინციას აკონტროლებს და „მიჩნეულია როგორც კორუმპირებული და ნარკოტიკებით მოვაჭრე ადამიანი.“

ციტატა

ავღანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ აშშ-ის პოზიცია მათთვის აქამდეც ცნობილი იყო და სკანდალს მხოლოდ „სამწუხარო“ უწოდა. პრეზიდენტის სპიკერის განცხადებით, დოკუმენტებში არანაირი სიურპრიზი არ ყოფილა: „ვერაფერს ვხედავთ მასში ისეთს, რასაც ჩვენსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების დაძაბვა შეუძლია.“

ჩრდილოეთ კორეა
კორეა VS კორეა

ჩრდილოეთ კორეას ირანში 19 რაკეტის გაგზავნაში ადანაშაულებენ. ამ რაკეტებით ისლამურ სახელმწიფოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე თავდასხმის საშუალება ექნებოდა.

ფხენიანს ირანში სარაკეტო მასალების გაგზავნა ჩინეთის გავლითაც ბრალდება. თუმცა, ამავე დიპლომატიური არხიდან ირკვევა, რომ საბოლოოდ პეკინმა, აშშ-ს მოთხოვნის შესაბამისად, იარაღების აკრძალული გადაზიდვა შეაჩერა და ფხენიანთან თანამშრომლობისგან თავი შეიკავა.

დოკუმენტებში აშშ-ს და სამხრეთ კორეის ოფიციალური პირების შეთქმულების შესახებ საუბრობენ. ამ შეთქმულების მიზანი ჩრდილოეთ კორეის კრახი და ორი კორეის გაერთიანებაა.

ციტატა

კორეაში ოფიციალური განცხადებები არ გაკეთებულა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნება დასავლეთის ჩრდილოეთ კორეასთან განახლებულ მოლაპარაკებებს ჩაშლის, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის თანამშრომლობას კიდევ უფრო გაამწვავებს.

ჩინეთი
NO comment

საიდუმლო დოკუმენტების თანახმად, ჩინეთს Google-ის, აშშ-ს ოფიციალური პირების კომპიუტერების და დალაი ლამას პირადი კომუნიკაციების დაჰაკვა ბრალდება.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური პეკინი ჩრდილოეთ კორეის მოკავშირედ მიიჩნევა, დოკუმენტებში ჩინეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიერ ორი კორეის გაერთიანების სურვილია გამოთქმული. ისინი „ჩრდილოეთ კორეის, როგორც ბუფერული სახელმწიფოს, არსებობაში აზრს ვერ ხედავენ.“

ციტატა

ჩინეთის ხელისუფლებამ აშშ-ს დიპლომატიური არხების გამოქვეყნების ამბავი დაბლოკა და მედიას ამ მოვლენების გაშუქება აუკრძალა.

„ჩინეთი ამერიკელი დიპლომატების მიმოწერას კარგად შეისწავლის. იმედი გვაქვს, რომ აშშ ამ მოვლენასთან გამკლავებას შეძლებს. რაც შეეხება დოკუმენტში მოყვანილ ფაქტებს, ჩვენ ამაზე კომენტარს არ გავაკეთებთ,“ – განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სპიკერმა.

გაერო
„არაფერი პირადული“

ამერიკის მთავრობამ საკუთარ დიპლომატებს გაეროს სახელმწიფოთა ლიდერებზე ჯაშუშობა და მათზე ინფორმაციების მოძიება დაავალა. 2008 წლის დიპლომატიური მასალების მიხედვით, ეს პაროლების და სხვადასხვა საიდენტიფიკაციო კოდების მიწოდებას გულისხმობდა.

ვაშინგტონმა თავის რუმინელ, უნგრელ და სლოვენიელ დიპლომატებს ამჟამინდელ და მომავალ ლიდერებზე ბიომეტრიული ინფორმაციების და ლიდერების „ჯანმრთელობისა და სუსტი წერტილების“ შესახებ ცნობების მოპოვებაც დაავალა.

ციტატა

გაეროს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ორგანიზაცია მომხდარ სკანდალზე კომენტარის გაკეთებას არ აპირებს: „გაერო გამჭვირვალე ორგანიზაციაა და მასზე ნებისმიერი სახის ინფორმაცია საზოგადოებისთვის საჯაროა. გაეროს ოფიციალური პირები რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს და ინფორმაციებს ცვლიან. ჩვენ წევრი სახელმწიფობის ერთგულებას ვეყრდნობით.“

კავკასია
„ორი თავი ერთ ქვაბში“

ამერიკელი დიპლომატები სომხეთსა და თურქეთს შორის ორმხრივი პროტოკოლების ხელმოწერას და ამ ქვეყნებს შორის საზღვრის გახსნას მთელი რეგიონისთვის გარდამტეხ ფაქტორად აფასებენ.

ვაშინგტონი იმედგაცრუებულია იმით, რომ თურქეთმა ორმხრივი პროტოკოლების რატიფიცირების პირობად მთიანი ყარაბაღის მიმდებარე რაიონებიდან სომხური ჯარების გაყვანა დაასახელა. თებერვალში, ვაშინგტონში გაგზავნილ წერილში თურქეთში ამერიკის ელჩი წერს, რომ ანკარა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაწერს ხელს პროტოკოლებს, თუ მოიძებნება ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ინტერესებსაც დააკმაყოფილებს.

2010 წლის 25 თებერვლით დათარიღებულ დოკუმენტში საუბარია აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის უილიამ ბერნსის და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილხამ ალიევის შეხვედრის დეტალებზე. პრეზიდენტი ალიევი რუსეთის პრეზიდენტს - მედვედევს „ახალი თაობის თანამედროვე ინტელექტუალს“ უწოდებს, რომელსაც ირგვლივ უკონტროლო ადამიანები ახვევია. მისი თქმით „რუსეთის ბევრი მაღალჩინოსანი მედვედევს ლიდერად არ მიიჩნევს. „აზერბაიჯანში ერთი გამონათქვამი გვაქვს: ერთ ქვაბში ორი თავი ვერ მოიხარშება,“ – მოყვანილია დოკუმენტებში ალიევის სიტყვები.

ციტატა

სომხეთის საზოგადოებრივმა არხმა ამ დოკუმენტებს უწოდა უტყუარი მტკიცება იმისა, რომ თურქეთს არ სურს მშვიდობა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში საიდუმლო დოკუმენტებში აზერბაიჯანთან და ალიევთან დაკავშირებული ფაქტები „სიცრუედ“ და „უსაფუძვლოდ“ არის შეფასებული. „დოკუმენტები, სადაც აზერბაიჯანია ნახსენები, ღია პროვოკაციაა, რომელიც მიზნად ისახავს აზერბაიჯანსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გაფუჭებას.“

კომენტარები

NEWYORKER
აშშ, ბლეიქ ესკინი,
გამოცემის ვებ-რედაქტორი

ამ სკანდალის ატეხის მიზეზი ერთი რიგითი მსახური იყო, რომელმაც ათიათასობით დოკუმენტი მოიპარა და WikiLeaks-ს მიაწოდა. ერთ დღესაც Google-ში, Facebook-ში ან თუნდაც თქვენს კომპანიაში აღმოჩნდება ვინმე გაიძვერა, რომელიც თქვენი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნებას გადაწყვეტს. საბოლოო ჯამში, ამ მოვლენამ ადამიანებს, კორპორაციებს და მთავრობებს შორის ნდობის ვარდნა გამოიწვია. რამდენ თქვენგანს შეუძლია ასეთ გარემოში ცხოვრება? ნდობის გარეშე ცხოვრება, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

THE INDEPENDENT
დიდი ბრიტანეთი,
Index on Censorship–ის დირექტორი
ჯონ კამპფნერი

მოვლენების ჩაწყნარების შემდეგ საპასუხო რეაქციებს უნდა ველოდოთ. ასანჟის საქმე ბევრ ქვეყანას საკანონმდებლო ცვლილებებისკენ უბიძგებს, რათა მომავალში მსგავსი შემთხვევები გამორიცხონ.

CBS NEWS,
აშშ, ჯეიმს მანი,
საერთაშორისო ურთიერთობების
ექსპერტი

Wikileaks-ის დოკუმენტები უდავოდ მნიშვნელოვანია. მათი წყალობით ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაციები, რომელთა მოპოვებასაც ჟურნალისტები და ისტორიკოსები ათწლეულებს მოანდომებდნენ. ნიშნავს თუ არა ეს საიდუმლო დიპლომატიის ეპოქის დასასრულს? არავითარ შემთხვევაში. საგარეო პოლიტიკის ბიუროკრატები მალე იპოვიან შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ისე, როგორც ამას აქამდე აკეთებდნენ.

ფოტო: ITAR-TASS

რუსი ჯარისკაცები გორის მისადგომებთან, აგვისტო 2008

საქართველო WIKILEAKS-ში

ბელებჩყვილო დიპლომატია

ფრაგმენტები საქართველოს შესახებ Wikileaks-ში გამოქვეყნებული მიმოწერიდან.

ოლესია ვართანიანი, რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი სპეციალურად „ლიბერალისთვის“

7 აგვისტოს ომის დასაწყისის აღწერისას ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში – ჯონ ტეფტი – ერთხელაც არ ახსენებს რუსულ არმიას.

ეს მნიშვნელოვანია, რადგან საბრძოლო მოქმედებების დაწყების ქართული ვერსია იგება იმ ფაქტზე, რომ რუსულმა სამხედრო ტექნიკამ 7 აგვისტოს როკის გვირაბი გადმოკვეთა, რაც თბილისმა შეაფასა, როგორც ფართომასშტაბიანი რუსული აგრესია.

ეს არგუმენტი ქართველმა მაღალჩინოსნებმა აგვისტოს ომის საპარლამენტო გამოძიების დროს წარმოადგინეს, მოგვიანებით კი კომისიის ოფიციალური დასკვნის ნაწილად იქცა.

ქართული მხარის ეს არგუმენტი დღემდე გამოქვეყნებულ უამრავ ამერიკულ წერილთა შორის მხოლოდ 14 აგვისტოს ჩნდება.

მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი აშშ–ს და ნატოს–ს წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ყვება, რომ ქართულ დაზვერვას აქვს დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებს, რომ რუსეთის შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე 7 აგვისტომდე დაიწყო.

ის, რომ ქართულმა მხარემ ამის შესახებ ამერიკელ დიპლომატებს ერთი კვირის შემდეგ აცნობა, სულ ცოტა, უცნაურია. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ შეხვედრებისა და ამერიკული მხარისათვის გადაცემული ინფორმაციის რაოდენობას.

საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან რამდენიმე საათში ამერიკის ყოფილი ელჩი ჯონ ტეფტი მიხეილ სააკაშვილს შეხვდა.

8 აგვისტოს ანგარიშში სახელმწიფო დეპარტამენტს ჯონ ტეფტი სწერს, რომ ქართული მხარე უკვე აკონტროლებს ცხინვალის 70 პროცენტს და 11 სოფელს.

„თუ ქართველები არ ტყუიან და საბრძოლო მოქმედებები დიდწილად უკვე დასრულდა, გაურკვეველი რჩება, რა როლის თამაშს აპირებს რუსეთი და არსებობს თუ არა პოტენციალი კონფლიქტის გაფართოებისთვის.“

ტეფტი აღწერს ინფორმაციას, რომელიც მას შეხვედრისას სააკაშვილმა მიაწოდა. პრეზიდენტის ინფორმაციით, რუსები საკუთარ ჯარებს როკის გვირაბის ჩრდილოეთ მხარეს აგროვებენ.

„გვეუბნებიან, რომ ცხინვალის ჩრდილოეთით გრძელდება ბრძოლები რუს ჯარისკაცებთან; მაგრამ არ არის ბოლომდე ცხადი, ისინი რეგულარული არმიის ჯარისკაცები არიან თუ ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები.“

ტეფტი ასევე გადასცემს, რომ რუსეთის ტერიტორიიდან ცხინვალის მიმართულებით ოთხი ბალისტიკური რაკეტა ისროლეს.

ელჩის წერილის მიხედვით, საბრძოლო მოქმედებების ინიციატორი არა რუსეთი, არამედ სამხრეთ ოსეთის დე–ფაქტო ხელისუფლება გამოდის.

„საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა უდიდესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ საბრძოლო მოქმედებები დე–ფაქტო ლიდერის, კოკოითის მზაკვრული გეგმის მიხედვით დაიწყო, მაგრამ სააკაშვილი ეჭვობს, რომ აქ რუსული პრეტექსტიც არსებობს და მოსალოდნელია ბრძოლების გაგრძელება.“

„როგორც გადმოგვცემენ, სამხრეთ ოსეთში რუსეთს მოღალატეობაში ადანაშაულებენ. ამის ერთ–ერთი ლოგიკური ახსნა შეიძლება ის იყოს, რომ კოკოითმა სათამაშო ძვალი მიუგდო ქართველებს და კონფლიქტის სტიმულირება იმ იმედით დაიწყო, რომ რუსები დაეხმარებოდნენ, თანაც, თვითონაც გადარჩება და პოზიციებსაც გაიმყარებს.“

საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე, პირველივე საათებში ტეფტი გადასცემს ვაშინგტონში, რომ საქართველო არ არის კონფლიქტის ინიციატორი. ის, ქართულ ხელისუფლებაზე დაყრდნობით, ასახელებს ზუსტ დროს, როცა სამხრეთ ოსეთის მხარემ ქართული სოფლების საარტილერიო დაბომბვა დაიწყო.

ტეფტის წერილები, რომლებიც „ვიკილიკს"-ში გამოქვეყნდა, მხოლოდ იმ ინფორმაციას ეყრდნობა, რომელსაც ელჩი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ღებულობდა.

14 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეხვედრისას ტეფტს და მაშინდელ სახელმწიფო მდივნის მოადგილეს მეთიუ ბრაიზას უთხრეს, რომ თამარაშენზე იერიში უკანასკნელი წვეთი იყო.

„მერაბიშვილმა თქვა, რომ აქამდე დე–ფაქტო ლიდერი კოკოითი ყოველთვის აჩერებდა ესკალაციას“;

„მერაბიშვილი დაუკავშირდა ოსებს, რომ შეეჩერებინათ იერიში, მაგრამ ისინი არ გაჩერდნენ.”

ამ შეხვედრისას მერაბიშვილი ტეფტსა და ბრაიზას მოუყვა, როგორ ხდებოდა კოდორის ხეობის დაკავება.

სანამ რუსული ავიაცია ხეობაში 300 ბომბს ჩამოაგდებდა, რუსი მშვიდობისმყოფელების მეთაურმა, გენერალ-

ჩუ ეჩის მნიშვნელოვანი დოკუმენტებში

დოკუმენტები, რომელიც გასული კვირის ბოლოს „ვიკილიკსმა“ აგვისტოს ომის შესახებ გაავრცელა, შეიცავს ამერიკელი ელჩების წერილებს მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან, გარდა მოსკოვისა.

„რუსკი რეპორტიორის“ მიერ გამოქვეყნებულ ასობით დოკუმენტში, მოსკოვში ამერიკის საელჩოს მხოლოდ რამდენიმე წერილი გვხვდება, რომელთა უმეტესობაც იმდროინდელ რუსულ მედიას მიმოიხილავს. რას გადასცემდა თვითონ საელჩო აგვისტოს ომის დღეებში, დღემდე უცნობი რჩება.

ეს გარემოება უცნაურია იმიტომაც, რომ ამერიკელი დიპლომატები დანარჩენი ქვეყნებიდან ვაშინგტონში ინფორმაციებს დღეში რამდენჯერმე აგზავნიდნენ, ხანდახან, სრულიად უმნიშვნელო საბაბითაც კი.

დღეს გამოქვეყნებული დოკუმენტები სრულ სურათს ვერ ასახავს, თუნდაც იმიტომ, რომ მათი ჩამონათვალი 7 აგვისტოდან იწყება. იმის გასაგებად, იცოდნენ თუ არა ამერიკელმა დიპლომატებმა ომის სამზადისის შესახებ, აუცილებელია საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე ორი თვის წინანადელი დოკუმენტების გაცნობა.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲔᲑᲘ

KOMMERCANT

რუსეთი,

საერთაშორისო მიმოხილველი

სერგეი სტროკანი

მომხდარი ყველაზე მეტად ობამასა და მის პოლიტიკას დააზარალებს: ობამა ხომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო არენას, აწესრიგებს ურთიერთობებს მუსლიმურ სამყაროსთან, რუსეთთან ურთიერთობაშიც კი თანამშრომლობის ნაბიჯები გადადგა. გამოქვეყნებული დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ობამას ბევრი დიპლომატი სინამდვილეში ცინიკურად არის განწყობილი საკუთარი პრეზიდენტის ამ წამოწყებების მიმართ. ეს ყველაფერი ამერიკის ახალ იმიჯს მძიმე დარტყმას აყენებს. ამის მთავარი მსხვერპლი ობამა იქნება.

THE ECONOMIST

დიდი ბრიტანეთი

დიპლომატია კომუნიკაციის ისეთი სახეა, როდესაც ადამიანი ყველა მხარეს ყოველთვის ერთსა და იმავეს არ ეუბნება. გასაგები მიზეზების გამო, ის ხშირად განსხვავებულ ისტორიებს აწვდის უფროსს და მეუღლეს. აშშ ერ-რიადს განსხვავებულ ისტორიას უყვება იმაზე, თუ რა ისაუბრა იერუსალიმთან და პირიქით: იერუსალიმს განსხვავებულ ისტორიას უყვება ერ-რიადთან გამართული საუბრის შესახებ. რაც მთავარია, ამ საინფორმაციო არხებმა ერთმანეთი არ უნდა გადაკვეთონ. ამაში არაფერია მიუღებელი. **WikiLeaks**-ის ისტორია ჰგავს შემთხვევას, როცა სალის უყვებიან, თუ რა უთხრა ბილმ ჯეინს. როგორც წესი, ჭორაობა ცუდ საქმედ ითვლება.

FOREIGN POLICY

აშშ,

ბლეიქ ჰაუნშელი, რედაქტორი

ამერიკელ დიპლომატებს ვაშინგტონში საკუთარი გულწრფელი მოსაზრებების გაგზავნის საშუალება უნდა ჰქონდეთ, ამასთან არ უნდა ეშინოდეთ, რომ მეორე დღეს მათი წერილი **New York Times**-ის ფურცლებზე მოხვდება.

მა ჩაბანმა კოდორის გზა ორივე მხრიდან ჩაკეტა. სამი პოლიციელი დაიჭრა. მტრის ერთი თვითმფრინავის და ერთი ვერტმფრენის ჩამოგდება შეძლეს.

„მან გვითხრა, რომ ბრძოლები კოდორში არ გამართულა, რადგან მისმა ხალხმა (დაახლოებით 500 მეომარი) მოახერხა, ტყისთვის შეეფარებინა თავი, სადაც ახლაც რჩებიან“.

აშშ–ს ბრძოლა აგვისტოში

გამოქვეყნებული დოკუმენტების მიხედვით, როგორც კი რუსეთმა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გარეთ ავიადაბომბვები დაიწყო, შეერთებულმა შტატებმა საქართველოს ინტერესების დასაცავად ღია „დიპლომატიური ომი“ გამოაცხადა. უფრო ცხარე ომი ნატოს შტაბ–ბინის კედლებს მიღმა მიდიოდა.

ათობით დოკუმენტის თანახმად, ომის დაწყების პირველივე საათებიდან ნატოს წევრ ქვეყნებს შორის საბრძოლო მოქმედებების შეფასება და ალიანსის სამომავლო მოქმედებების დასახვა დაიწყო. ამ საკითხებთან დაკავშირებით უთანხმოება გაჩნდა. კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ნატო–რუსეთის სამიტის გამართვა და ნატოს ვიზიტი საქართველოში.

როგორც 8 აგვისტოს გადაცემული ერთ–ერთი დიპლომატიური წერილიდან ირკვევა, „გერმანიამ უკვე დაიწყო კრიზისის გამოყენება იმისთვის, რომ ნატოს კომისიის საქართველოში დაგეგმილი ვიზიტის გადადების აუცილებლობა დაემტკიცებინა.“

სხვა წერილში ამერიკელი დიპლომატები ნატოს აცნობებენ, რომ 8 აგვისტოს მათ ფრანგული წარმომადგენლობა დაუკავშირდა, რათა ეცნობებინათ: „პარიზი შეშფოთებულია იმით, რომ ნატო სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენების ზედმეტად აქტიურ მონაწილედ ჩანს. ვამჯობინებთ, რომ ევროკავშირმაც ამ კონფლიქტისგან შორს დაიჭიროს თავი.“

ამერიკელი დიპლომატის ერთ წერილში ჩანს, რომ ნატოს გენერალური მდივანი ომის დაწყებისას შვებულებაში იყო. ის არ გამოვიდა სამსახურში მანამ, სანამ რუსულმა არმიამ საქართველოზე ფართომასშტაბიანი იერიშის მიტანა არ დაიწყო. გენერალურმა მდივანმა თავის მოადგილეს მისცა მითითება, მისი სახელით ზოგადი განცხადება გაევრცელებინა.

ამერიკელი დიპლომატების წერილების მიხედვით, იმ დროს, როცა სამხრეთ ოსეთში ბრძოლები მიდიოდა, ნატოში სამი ბანაკი ჩამოყალიბდა.

მთავარი „მოწინააღმდეგეები“ გერმანია, იტალია და პორტუგალია იყვნენ, რომლებსაც ამერიკელი დიპლომატები ღიად უწოდებენ „ბანაკს, რომელიც რუსების მიერ იმართება.“ უთანხმოება იქამდე მიდიოდა, რომ ამერიკელი დიპლომატები პირდაპირ წერდნენ: „რუსეთმა რაც უნდა მოიმოქმედოს, ისინი მზად არიან, მხარზე ხელი მოუთათუნონ“.

ამერიკის მოკავშირეთა ბანაკში შევიდნენ კანადა, ბალტიის ქვეყნები, ჩეხეთი და დანია. ნატოს დანარჩენი წევრები ამჯობინებდნენ სიტუაციიდან და აგრეთვე, სხვა საერთაშორისო სტრუქტურებში მათი ქვეყნების პოზიციებიდან გამომდინარე ემოქმედათ.

ამერიკული „დიპლომატიური ომი“ ოფიციალურად 10 აგვისტოს გამოცხადდა, როცა მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა, კონდოლიზა რაისმა ალიანსის ყველა წევრ ქვეყანას წერილი გაუგზავნა.

„როგორც ცნობილია, რუსეთის მოქმედება საქართველოში ყოველგვარ გონივრულ ზღვარს გადასცდა, რასაც მათი მოქალაქეების და მშვიდობისმყოფელების უსაფრთხოების გარანტიები ითვალისწინებს. ეს უკვე საქართველოსთან ღიად მტრული მოქმედებებია.“

რაისი წერს, რომ რუსეთი კონფლიქტის მონაწილედ იქცა და საერთაშორისო კანონმდებლობა დაარღვია. ის სთავაზობს ნატოს წევრ ქვეყნებს, მოუწოდონ რუსეთს, შეწყვიტოს საომარი მოქმედებები და საქართველოდან ჯარები გაიყვანოს.

რამდენიმე ათეული დოკუმენტი ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლების შეხვედრებს აღწერს. იქაც ნათლად იკვეთება ნატოში ჩამოყალიბებული სამი ბანაკი.

როგორც 11 აგვისტოს წერილიდან ჩანს, ამერიკელმა ჩინოვნიკებმა ალიანსის სხვა წევრებთან მომავალი მოქმედებების შესახებ კონსენსუსის მიღწევა ვერ შეძლეს. „რამდენიმე ქვეყანა, განსაკუთრებით გერმანია, თუთიყუშივით იმეორებს რუსულ ვერსიას ამ კრიზისში საქართველოს ბრალეულობის შესახებ.“

ომის დღეებში საქართველო იარაღით დახმარებას ითხოვდა

ფოტო: (ნუსტრნა) ფელიქსკეკელია

შეხვედრა პოლონეთის გენშტაბის უფროსთან:

აშშ–ს ვარშავის საელჩო 13 აგვისტოს წერილში გენშტაბის უფროსთან, აწ განსვენებულ გენერალ ფრანტიშეკ გონგორთან შეხვედრას აღწერს. მან „გააკრიტიკა საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი იმის გამო, რომ რუსებს პირდაპირ ხელში ჩაუვარდა,“ „საკუთარი არმია ნანგრევებად აქცია“ და ნატო-ს მხრიდან მაპის მიღების შანსი მოისპო.

მიუხედავად იმისა, რომ ადრინდელ წერილებში ვარშავის მხრიდან საქართველოს ღია მხარდაჭერა ჩანს, 13 აგვისტოს დოკუმენტში პოლონეთის გენშტაბის უფროსზე დაყრდნობით ნათქვამია: „პოლონეთს სჯერა, რომ სააკაშვილით მანიპულირებდნენ რუსეთის აგენტები, შეიძლება – მის ახლო მრჩევლებს შორისაც, რომელთაც სურთ კარის გაღება საქართველოში საბრძოლო მოქმედებების დასაწყებად და საქართველოს ხელისუფლებაში დესტაბილიზაციის გამოწვევა.

„სიტუაცია საქართველოში ამტკიცებს, რომ რუსეთი არაპროგნოზირებადია და რომ ძალის გამოყენება ისევ რჩება მოსკოვისთვის მისაღებ ვარიანტად,“ – განაცხადა გონგორმა და ივარაუდა, რომ ახლა მეტნაკლები საფრთხის ქვეშ უკრაინა რჩება.

გონგორი, ასევე, მოუყვა ამერიკელ დიპლომატს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მათ იარაღი სთხოვა.

გონგორმა განაცხადა, რომ საქართველომ პოლონეთს სთხოვა, როგორც ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტები და გრადის დანადგარები, ასევე – ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები FAGGOT, ოღონდ, რაოდენობა ვერ დააზუსტა, რადგან ზეპირად აღარ ახსოვდა.

„თხოვნას ახლა განიხილავს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სიკორსკი. თუკი პოლონეთი გადაწყვეტს ეს იარაღი საქართველოს გადასცეს, ვარშავა იარაღის საქართველოში ჩასატანად აშშ–ს ავიაგადაზიდვის უზრუნველყოფას სთხოვს.“

ნატოს შტაბ–ბინიდან გაგზავნილი ადრინდელი წერილის მიხედვით, 11 აგვისტოს საღამოს საქართველომ სამხედრო დახმარება მეგობარი ქვეყნების დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც სთხოვა.

როგორც გასული კვირის ბოლოს გახდა ცნობილი, ამ ეტაპისთვის „ვიკილიკს“-მა მის ხელთ არსებული ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი გამოაქვეყნა. არ არის გამორიცხული მომავალში საქართველოს შესახებ კიდევ ბევრი ახალი ინფორმაცია შევიტყოთ.

ჰობოჰ ბაჩნდა ოჩი მოსაზხეება

იმ დროს, როცა რამდენიმე მსოფლიო გამოცემამ „ვიკილიკსზე“ დაყრდნობით სტატიების გამოქვეყნება დაიწყო, ჟურნალმა „რუსკი რეპორტიორმა“ თავის ვებსაიტზე აგვისტოს ომის შესახებ ათასზე მეტი ამერიკული დოკუმენტი დადო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მთელი ეს უზარმაზარი მასალა საიტიდან გაქრა. სამაგიეროდ, ადრე გამოქვეყნებული დოკუმენტების“ მოკლე შინაარსი“ დაიდო, სადაც ეწერა, რომ ამერიკელი დიპლომატების დოკუმენტების მიხედვით, ომი საქართველომ დაიწყო და ამერიკა გამოსავალს ეძებდა, როგორ დაეფარა სააკაშვილის დანაშაული.

იმ დროს, როცა რუსულმა სააგენტოებმა „რუსკი რეპორტიორზე“ დაყრდნობით ახალი ამბების გავრცელება დაიწყეს, თბილისში ორმა ადამიანმა მოასწრო ჟურნალის თავდაპირველი პოსტის აღდგენა და გამოქვეყნებული დოკუმენტები საკუთარ ბლოგებზე განათავსა.

იქ შავით თეთრზე ეწერა – საქართველოში ამერიკის ელჩს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საქართველოს არ ჰქონდა გადაწყვეტილი საომარი მოქმედებების დაწყება და მხოლოდ ქართული სოფლების საარტილერიო დაბომბვის შემდეგ გახდა იძულებული, ეს გაეკეთებინა.

„რუსკი რეპორტიორის“ რედაქტორი ვიტალი ლეიბინი რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გამოტყდა, რომ „მოკლე შინაარსი“ მისი „თვალსაზრისი“ გახლდათ.

მან ასევე აღიარა, რომ არ ჰქონდა საშუალება, გაცნობოდა „ვიკილიკსის“ მთელ მასალას, რადგან აგვისტოს ომის დოსიე პუბლიკაციის დაწერამდე მხოლოდ ორი დღით ადრე გაუგზავნეს.



ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲔᲑᲘ

THE ECONOMIST
ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ

WikiLeaks-ის მსგავი ორგანიზაციები, რომელთა ფილოსოფია მთავრობების გასაიდუმლოებულ პოლიტიკას ეწინააღმეგება და მაქსიმალური ღიაობის მომხრეა, ლიბერალური დემოკრატიისთვის აუცილებელი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დამკვიდრებისთვის იბრძვიან. ზოგი იკითხავს „და ვინ აირჩია ჯულიან ასანჟი ამ საქმისთვის?“ არც არავინ და ამიტომ სწორედ მას აქვს ჩვენი დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესების შანსი.

ᲔᲖᲔᲓᲜᲔᲕᲜᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ
ᲠᲣᲡᲔᲗᲘ,
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲝᲚᲪᲘ, ᲛᲘᲛᲝᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ

როგორც WikiLeacks-იდან ირკვევა, ამერიკის თავდაცვის მინისტრი დარწმუნებულია, რომ "დემოკრატია რუსეთში გაქრა". ხოლო მოსკოვში აშშ-ის ელჩი მიიჩნევს, რომ ცენტრისა და რეგიონების ჩინოვნიკები ქრთამს უხდიან კრემლის მაღალჩინოსნებს. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია: რუსეთი განაწყენებულ ამერიკელ პარტნიორებთან ერთ რიგში აღმოჩნდა, ისეთებთან, როგორიცაა პაკისტანი. ყველამ უცებ აღმოაჩინა, რომ ამერიკელმა დიპლომატებმა თურმე მათ შესახებ სიმართლე იციან. და მთავარია, რომ რაც უნდა თქვას მომავალში ჩვენი ლიდერების "ტკბილმა წყვილმა", მათ ყველა ბეტმენად და რობინად აღიქვამს. კომიქსის სუპერგმირად და მის მოკრძალებულ შეგირდად.

GUARDIAN
ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ,
ᲡᲐᲘᲛᲝᲜ ᲯᲔᲢᲙᲘᲜᲡᲘ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ

დემოკრატიის სახელით ჩადენილი ნებისმიერი ქმედება საგარო ინტერესს იწვევს. რამდენად გამართლებულია გაზეთის მიერ სახელმწიფო საიდუმლოებების გამოქვეყნება? მედიის საქმე მთავრობების უხერხულობისგან დაცვა არ არის. სახელმწიფო საიდუმლოებების დაცვა ხელისუფლების პრეროგატივაა და არა მედიის.

პოლიტიკა

ეუთოს სამიტი ასტანაში

უძალო ეუთო

ასტანაში დაგეგმილ შეხვედრას ჟურნალისტებმა უკვე უწოდეს „სამშვიდობო სამიტის კრახი.“

ოლესია ვართანიანი, რადიო „თავისუფლება“

ეუთოს სამიტი, ასტანა 2010

ფოტო: ფრანსუს ლენარი / Reuters

გვიან ღამით მაგიდაზე ხის ჩაქუჩის დარტყმით და მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით ეუთოს ასტანის სამიტმა საბოლოო დეკლარაცია მიიღო. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ ამ დეკლარაციით სამიტის თითქმის არცერთი მონაწილე არ იყო კმაყოფილი.

ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის და რამდენიმე სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა საჯარო გამოსვლებისას განაცხადეს, რომ დეკლარაციაში არ იყო გათვალისწინებული მათი ხედვა ეუთოს გეგმებზე პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით.

აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე წარმომადგენელმა პირდაპირ განაცხადა, რომ ისინი ასტანაში მსგავსი შედეგის მისაღებად არ ჩასულან. როგორც მოლდოვის წარმომადგენლის გამოსვლიდან გაირკვა, სამიტზე ვერ შესძლეს არათუ ეუთოს კონფლიქტების მოგვარების სამოქმედო გეგმის შემუშავება, არამედ ამ თემაზე მოკლევადიანი დეკლარაციის შექმნაც კი.

რუსეთის წარმომადგენელმა არადამაკმაყოფილებელი დეკლარაციის მიღებაში დამნაშავეების ძებნა დაიწყო. მისი თქმით, რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელი ასტანაში „ფარული დღის წესრიგით ჩამოვიდა“.

„მოლაპარაკების პროცესისადმი ზოგიერთი მონაწილის მიერ გამოვლენილი იდეოლოგიზირებული მიდგომის გამო კომპრომისი შეუძლებელი გახდა“, – განაცხადა რუსეთის წარმომადგენელმა.

სამიტის მონაწილეები მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ეუთომ მოუგვარებელ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

დეკლარაციის მიღება ეუთოს საქმიანობას მომდევნო ათი წლით განსაზღვრავს.

ჯერ კიდევ სამიტის დაწყებამდე ბევრი ანალიტიკოსი ასტანაში დაგეგმილი შეხვედრის მოსალოდნელ კრახზე საუბრობდა.

დღის წესრიგის თვალსაზრისით, სამიტი არაორგანიზებული და მოუმზადებელი აღმოჩნდა. სადავო საკითხები მოუგვარებელი დარჩა.

მსოფლიო ლიდერებს შორის უთანხმოება სამიტის დაწყებისთანავე, ლიდერების საჯარო გამოსვლებისას გამოჩნდა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები განხეთქილების მთავარ თემად სამიტის დასაწყისშივე იქცა.

ორი დღის განმავლობაში, რამდენიმე დასავლური ქვეყნის ლიდერი რუსეთს პირდაპირ ეუბნებოდა, რომ მან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისას შეცდომა დაუშვა.

დიმიტრი მედვედევს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის გამოსვლით უკმაყოფილება არ დაუმალავს. მედვედევი ჯერ მშვიდი გამომეტყველებით უსმენდა მის გამოსვლას, საქართველოს ხსენებაზე კი ჯერ ხელები გადაიგრიხა, მერე უკმაყოფილო სახე მიიღო და ღრმად ამოისუნთქა.

როგორც მოგვიანებით რუსული პრესა წერდა, კლინტონის გამოსვლის შემდეგ მედვედევმა თვითმფრინავის მომზადება მოითხოვა და, ფრენისთვის სახიფათო ამინდის მიუხედავად, ასტანა მალევე დატოვა.

მომდევნო დღეს ლიდერებს უკვე გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ წინ გრძელი და მძიმე დღე ელოდათ. თითქმის ცარიელ სხდომათა დარბაზში უკვე არავინ უსმენდა გამომსვლელებს. ამ ვითარებაში არავის გაჰკვირვებია დილის ათი საათისთვის დანიშნული პრეზიდენტ ნაზარბაევის პრეს-კონფერენციის გაუქმება.

რამდენიმე საათში დერეფანში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი, გამოჩნდა და პირდაპირ გასასვლელისკენ გაემართა. სიტუაციაში გარკვევის მსურველი ქართველი ჟურნალისტები მას აედევნენ. ლავროვმა მათ უპასუხა, რომ რუსეთის დელეგაცია არანაირ დეკლარაციაზე ხელის მოწერას არ აპირებდა. „ხელს არავინ აწერს, სააკაშვილიც კი“, – დასძინა ლავროვმა და შენობიდან გავიდა.

სამიტის შედეგების გამოცხადება ხუთჯერ გადაიდო. ლავროვის შემდეგ სხდომათა დარბაზი ჯერ დელეგაციების ხელმძღვანელებმა, შემდეგ კი მათმა მოადგილეებმა დატოვეს. საათობით მომლოდინე ასობით ჟურნალისტის ნებისმიერ კითხვას ისინი უკომენტაროდ ტოვებდნენ.

სამიტის შესაძლო წარუმატებლობას რამდენიმე თვით ადრეც წინასწარმეტყველებდნენ. ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე სტაბი, რომელიც აგვისტოს ომის დროს ეუთოს თავმჯდომარეობდა, ჯერ კიდევ წლის დასაწყისში „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში ამბობდა, რომ სამიტის ჩატარების აზრს ვერ ხედავს მაშინ, როცა ქვეყნებს შორის კატეგორიული უთანხმოებები არსებობს.

ჟურნალისტებმა ასტანის სამიტს უკვე უწოდეს „სამშვიდობო სამიტის კრახი.“ მათი თქმით, ამან შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციის იმიჯს სერიოზული დარტყმა მიაყენოს.

პოლიტიკა

თბილისის ბიუჯეტი

მეჩის ჰიპოჩიტეტები არჩევნებამდე და შემდეგ

„ქამრების შემოჭერის“ საბაბით მუნიციპალიტეტი თბილისის მერის მანქანას ყიდის, თუმცა არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ახალი მანქანა უკვე ნაყიდი აქვს.

ნათია ახალაშვილი

ილუსტრაცია: „ლიბერალი“ / ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბერში თბილისის მუნიციპალიტეტმა ინტერნეტ-აუქციონი გამოაცხადა და გასაყიდად 7 ავტომობილი გამოიტანა. თბილისის მერის პირადი მანქანა – „აუდი A8“-ის საწყისი ფასი 48 999 ლარია. ეს თბილისის მერიის აუქციონის ყველაზე ძვირი ლოტია. დანარჩენი ავტომობილების საშუალო ფასი 16 ათასი ლარია.

„მე მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს, გაგებით მოეკიდონ ამას. ხელისუფლებამ [მოსახლეობას] უნდა დაანახოს, რომ ქამრების შემოჭერა იქნება, თუ ყგუტის გადაჭერა, იწყება ხელისუფლებიდან და არა – საზოგადოებიდან,“ – განაცხადა თბილისის მერმა აუქციონის გამოცხადების დღეს.

ერთი თვით ადრე კი, ვიდრე მუნიციპალიტეტი ავტომობილებს გასაყიდად გაიყვანდა, 8 მანქანის შეძენაზე ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო განაცხადში მითითებულია, რომ მათგან ერთის სავარაუდო ღირებულება 50 400 ლარია, სამის – 39-39 ათასი, დანარჩენი ოთხის კი, სათითაოდ – 36 500 ლარი. გამოდის, რომ მუნიციპალიტეტს აუქციონზე მისაღებ თანხაზე მეტი წინასწარ უკვე გადახდილი ჰქონდა ახალ ავტომობილებში და „ქამრების შემოჭერა“ მხოლოდ დეკლარირებული პოლიტიკაა.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მომავალ წელს დეფიციტი 621 მილიონ ლარს შეადგენს. აქედან გამომდინარე, „ქამრების შემოჭერა“ 2011 წლისთვის ყველა სახელმწიფო უწყებას უნდა შეეხოს. მთავრობა, როგორც წესი, „ქამრების შემოჭერის პოლიტიკას“ საარჩევნო წლის ჩამთავრების შემდეგ იწყებს.

2011 წლის თბილისის ბიუჯეტი, რომელიც საკრებულომ უკვე დაამტკიცა, 123 მილიონი ლარით ნაკლებია, ვიდრე – წლევანდელი, რომელიც უპრეცედენტოდ დიდი იყო და 743 მილიონ ლარს გადააჭარბა. წლევანდელი ბიუჯეტი წინასწარ ისე იყო დაგეგმილი, რომ მისი 60-80 პროცენტი გაზაფხულზე დახარჯულიყო. 30 მაისს თბილისის მერის პირველი არჩევნები ჩატარდა, რასაც წინ გიგი უგულავას ხელგაშლილი წინასაარჩევნო კამპანია უძღოდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშის თანახმად, მიმდინარე წლის საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილი სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მომზადებასა და სახელისუფლებო კანდიდატის წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებაში დაიხარჯა.

მერის ინიციატივით 2009 წელთან შედარებით 2010 წელს 61,5 მილიონით (121 პროცენტით) გაიზარდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების ხარჯები; პენსიონერებისთვის 10-ლარიანი ყოველთვიური დანამატი, მედიკამენტების ვაუჩერი და ტრანსპორტის შეღავათი, ინგლისურისა და კომპიუტერის კურსები, აბონენტებისთვის დასუფთავების, დაგროვილი გადასახადის დაფარვა, უფასო იურიდიული და საადვოკატო მომსახურება, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების, კულტურის და სპორტის ღონისძიებების დაფინანსება ათეულობით მილიონი ლარი დაჯდა.

ამ წამოწყებების ინიციატორი თბილისის მოქმედი მერი და, ამავე დროს, ხელისუფლების მერობის კანდიდატი საინფორმაციო გამოშვებების მთავარი გმირი იყო, რომლის საარჩევნო კამპანია იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ ბევრი საპრეზიდენტოს ადარებდა.

არჩევნების შემდეგ, საკრებულოს პირველ სხდომამდე (17 ივნისს) გიგი უგულავამ ამომრჩევლებს ახალი, „120-დღიანი გეგმა“ წარუდგინა. მერი მოსახლეობას 120 დღის განმავლობაშიც, სამუშაო ადგილების შექმნას, ინვესტიციების მოზიდვას და მცირე ბიზნესის ხელშეწყობას დაჰპირდა.

„უახლოესი 120 დღის განმავლობაში კიდევ უფრო გაძლიერდება და გაფართოვდება ინგლისურისა და კომპიუტერის სწავლების პროგრამა. ჩვენ უნდა დავგეგმოთ, თუ როგორ გადავაქციოთ თბილისის მერია, გამგეობები და მუნიციპალიტეტები დასაქმების ბიუროდ,“ – თქვა ახლად არჩეულმა მერმა.

ამ გამოსვლიდან 180-ზე მეტი დღე გავიდა. მუნიციპალიტეტისა და გამგეობების თანამშრომლები, სხვის დასაქმებაზე ზრუნვის ნაცვლად, თავად ეძებენ სამსახურს. მერიის სისტემიდან თანამშრომლები 1 ნოემბრიდან მასობრივად დაითხოვეს. უმუშევრად დარჩნენ ავტობუსების მძღოლები, მეტროპოლიტენისა და სხვა მუნიციპალური საწარმოების თანამშრომლები. ახალი წლიდან, მერიის სისტემაში დასაქმებულთა რაოდენობა 30 პროცენტით უნდა შემცირდეს.

2010 წლის დასაწყისში პირიქით მოხდა. თბილისის მერიის თანამშრომელთა რაოდენობა რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის 23 პროცენტით გაიზარდა. „თბილისის მერიაში სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად თანამშრომელთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ხელისუფლება საბიუჯეტო სახსრებით იმ დამატებითი ადამიანური რესურსის დასაქმებას ახდენს, რომელიც მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში იქნება ჩართული,“ – წერდა მარტში გამოქვეყნებულ ანგარიშში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო.“

მერიის პოლიტიკა არჩევნების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. ახლად არჩეული მერის სიმკაცრე პირველად აგვისტოში, გარევაჭრობის აკრძალვისას გამოჩნდა. ქუჩაში ვაჭრობა მანამდეც არაერთხელ შეუზღუდავთ, თუმცა, დროებით, მორიგი არჩევნების დაწყებამდე.

ლიბერალი

სპეციალური შეთავაზება

მხოლოდ 2010 წლის 31 დეკემბრამდე შეგიძლიათ გამოიწეროთ ჟურნალი „ლიბერალი“

თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა

მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით, გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ თქვენი ჟურნალი

ყოველ ორშაბათს

თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

(899) 48 62 41

ან მოგვაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: **info@liberali.ge**

ამჯერად კი ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა.

გარევაჭრობის აკრძალვის შემდეგ თბილისში ავტომობილების პარკირების საფასურიც გაორმაგდა. კერძო კომპანია „სითი პარკს“, რომელიც დედაქალაქში პარკირების სისტემას მართავს, თბილისის მერიის თანხმობის გარეშე ამ გადაწყვეტილების მიღების უფლება არ ჰქონდა.

ოქტომბერში, ასევე მერიის გადაწყვეტილებით, შემცირდა მუნიციპალური ავტობუსების მარშრუტები. თბილისელებს მგზავრობის ხარჯები ისედაც გაუორმაგდათ და ამას მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გაძვირებაც დაემატა. მეტროთი და ავტობუსით მგზავრობა ახლა 40-ის ნაცვლად 50 თეთრი ღირს.

მიუხედვად იმისა, რომ წინასაარჩევნოდ მერია თბილისელებს უწყვეტ წყალს დაჰპირდა, მოსახლეობის 15 პროცენტი წყალს ისევ გრაფიკით იღებს. ვისაც ეს პრობლემა მოუგვარეს, მათ მომსახურება გაუძვირდათ. მერიის მიერ გასხვისებულმა „თბილისის წყალმა“ (ახლა უკვე „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“), სემეკ-ის ნებართვით დედაქალაქში წყლის ტარიფი 31 პროცენტით გააძვირა.

ასევე, პირველი იანვრიდან ძალაში შედის დისკრიმინაციული კანონი, რომელიც კომუნალურ გადასახადებს ეხება. იმ შემთხვევაში, თუ თბილისის რომელიმე აბონენტი დასუფთავების ან წყლის გადასახადს, სრულად ან ნაწილობრივ, დროულად არ გადაიხდის, მას ელექტროენერგიის მიწოდებაც შეუწყდება.

2011 წელს ქალაქის ბიუჯეტში აღარ არის გათვალისწინებული პენსიონერებისთვის მედიკამენტების შესაძენი ერთჯერადი ვაუჩერების პროგრამა და არც თბილისელებისთვის დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანების დაფარვა.

მერიას პრიორიტეტები შეეცვალა და სოციალური პრობლემების მოგვარების ნაცვლად ახლა მთავარი უკეთესი სერვისია, რასაც 2011 წლის ბიუჯეტის სლოგანითაც ვიგებთ – „უკეთესი მომსახურება უკეთეს თბილისს“ .

უგულავას თქმით, ბიუჯეტის პროექტის შედგენაში თბილისის მოსახლეობაც მონაწილეობდა. ჩატარდა გამოკითხვა და მოსახლეობამ უპირატესობა ქალაქის მომსახურების სფეროს მოდერნიზებას მიანიჭა.

„სწორედ თბილისელთა აზრის გათვალისწინებითაა დაწერილი ბიუჯეტის ახალი პროექტი, რომელიც სერვისების მოდერნიზებაზე, უმწეოთა სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და ადმინისტრაციის ხარჯების შემცირებაზეა ორიენტირებული,“ – ამბობს მერი.

ბიუჯეტში ჩანს, რომ მომავალ წელს დაფინანსება 13 მილიონი ლარით შეუმცირდება სოციალური დაცვის პროგრამებს, 14 მილიონით – საბავშვო ბაგა-ბაღებს, 63,5 მილიონი ლარით – ეკონომიკურ საქმიანობას (ამ პუნქტით ფინანსდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გზებისა და ეზოების შეკეთება), 30 მილიონით კი – საბინაო-კომუნალურ მომსახურებას (სადარბაზოების შეკეთება, ამხანაგობის ინსტიტუტის განვითარება).

2011 წლის თბილისის ბიუჯეტი, რომელიც საკრებულომ უკვე დაამტკიცა, 123 მილიონი ლარით ნაკლებია, ვიდრე – წლევანდელი, რომელიც უპრეცედენტოდ დიდი იყო და 743 მილიონ ლარს გადააჭარბა.

საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილი სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მომზადებასა და სახელისუფლებო კანდიდატის წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებაში დაიხარჯა.

გამოდის, რომ დაფინანსება შეუმცირდათ იმ პროგრამებს და პროექტებს, რომლებიც, ამავდროულად, თბილისის 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტულადაა მიჩნეული.

თბილისის ბიუჯეტის პროექტში განმარტებულია, თუ რა იგულისხმება მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებაში:

- თბილისში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება
- ლიფტების რეაბილიტაცია და მიმდინარე შეკეთება
- სადარბაზოების შეკეთება
- თბილისის მოსახლეობისთვის უფასო იურიდიული და საადვოკატო მომსახურება

„ეს არის ბიუჯეტი, სადაც ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული, მასობრივი ღონისძიებები და სხვა სანახაობრივ-გასართობი, სამივლინებო თუ თანამდებობრივი ფუფუნების ხარჯები მთლიანად ამოშანთული ან მინიმუმამდეა დაყვანილი,“ – ასე წარადგინა დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ თბილისის საკრებულოში 2011 წლის ბიუჯეტი.

თუმცა, მომავალი წლის ბიუჯეტში კვლავ გათვალისწინებულია დედის დღის, ქალთა დღის, ევროპის დღის, დამოუკიდებლობის დღის, თბილისობის, გიორგობის, ახალი წლის და სხვა მიმდინარე სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებები.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა

ბიზნესი შავი ზღვის პირას

ფოთში 300 ჰექტარიანი „თავისუფლების კუნძული“ შენდება. როგორ იმოქმედებს ეს ქვეყნის ეკონომიკაზე?

მონიკა ელენა

ინდოეთში დაბადებული ეს ქალი ჩატერჯი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნით ირჩენს თავს. „ფოთი უკვე მეოთხე თავგადასავალია ჩემთვის,“ – ამბობს ჩატერჯი, რომელმაც ორი ასეთი ზონა აფრიკაში, ერთიც – არაბთა გაერთიანებულ საამიროებში უკვე შექმნა. დღეს მას შავიზღვისპირეთში სურს ძალების მოსინჯვა.

კავკასიაში ყველაზე დიდი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა („თიზ“) ფოთში ოფიციალურად 15 ნოემბერს გაიხსნა. ფოთის პროექტში უკვე 26 კომპანია მონაწილეობს და კიდევ ოთხიც თავის რიგს ელოდება. „წლის ბოლომდე სავარაუდოდ 35-40 კომპანია გვეყოლება,“ – ამბობს ჩატერჯი ტელეფონით საუბარში. „უკვე ორი წელია, რაც ფოთის თიზ-ის რეკლამირება მიდის. გვინდა, თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი სამეწარმეო და სამომსახურებო კომპანიები, საკონსულტაციო და სავაჭრო საწარმოები“.

საქართველოში რიგით მეორე ბიზნეს-პარკის გახსნა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისთვის. პირველი ასეთი სივრცე – „ფრეშ ჯორჯია“ წლის დასაწყისში ქუთაისში გაიხსნა და მას „საქართველოს საერთაშორისო ჰოლდინგი“ მეურვეობს, რომელიც ეგვიპტური საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებლის „ფრეშ ელექტრიკის“ ადგილობრივი პარტნიორია. თუმცა, გარკვეული დროა საჭირო, სანამ ასეთი პროექტები დაპირებულ შედეგს მოიტანს.

„კომპანიები კარგად იცნობენ ისეთ ადგილებს, როგორიცაა არაბეთის გაერთიანებული საემიროები, სადაც „თიზ“-ის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს, მათ წინასწარ იციან, როგორი ბიზნეს გარემო ელით იქ,“ – ამბობს ჩატერჯი. „საქართველო კი ახალბედაა. ეს დამწყები ბაზარია და მის სახელთან ჯერჯერობით აგვისტოს კონფლიქტია ასოცირებული. ჩვენ ვცდილობთ ინვესტორები დავარწმუნოთ, რომ აქ უსაფრთხო და სარფიანი ბიზნეს გარემოა.“

საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების დაარსებას ბევრი ქომაგი ჰყავს. „თიზ“-ის განვითარებას საქართველოს მთავრობამ საბოლოოდ მწვანე შუქი 2008 წელს აუნთო. ამავე წლის გაზაფხულზე, კომპანია „რაკიამ“ (არაბული „რას-ალ-ჰაიმას“ საინვესტიციო სააგენტომ) 90 მილიონ დოლარად ფოთის პორტის საკონტროლო პაკეტი შეიძინა. პორტის მიმდებარე 300 ჰექტარის ფართობზე მაშინვე დაიწყო თავისუფალი ზონის განვითარება. წლის ბოლოსთვის „რაკიამ“ 65 მილიონ დოლარად პორტის დანარჩენი 49 პროცენტიც შეიძინა.

„ადგილმდებარეობა და კონკურენტული ფასები ფოთის ზონას მიმზიდველს ხდის,“ – ამბობს ჩატერჯი. „მეზობელი თურქეთი უკვე არაერთი წელია, ამუშავებს თავისუფალ სავაჭრო ზონებს, მაგრამ ეს საქართველოსთვის დიდად საზიანო არ არის. მართალია, თურქეთი უფრო ახლოსაა ევროპასათან და დიდი ადგილობრივი ბაზარიც გააჩნია, მაგრამ იქ ფასები საშუალოდ 50 პროცენტით უფრო

სიმცირეა. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ფოთის თიზ-ში 16,000-იდან 20,000-ამდე ადამიანი დასაქმდება. „ძირითადი ინვესტორები იქნებიან ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიები, როგორიცაა საამწყობო კონვეირები, კვების პროდუქტების გადამამუშავებელი და საფეიქრო საწარმოები, რომლებსაც შეუძლიათ განავითარონ მძიმე მდგომარეობაში მყოფი სექტორი“, – ამბობს მატკავა.

ევროკავშირსა და აშშ-სთან გამარტივებული სავაჭრო რეჟიმის პერსპექტივის, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურისა და იმპორტის მასტიმულირებელი საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის მიუხედავად, საქართველოს სავაჭრო დეფიციტი ძალიან მაღალია. ეკონომისტ გიორგი ღაღანიძის ინფორმაციით, სექტემბრის თვეში ეს მაჩვენებელი 2.5 მილიარდი დოლარი იყო. ღაღანიძე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს, გამოსავალს სავაჭრო პროდუქციის დივერსიფიკაციაში ხედავს. „ეს ჩვენი ძირითადი პრობლემაა – ბაზარი შეიცვალა, მაგრამ ჩვენ იგივე საექსპორტო პროდუქცია გვაქვს, რაც 20 წლის წინ გვქონდა“ (ჯართი, ფერადი ლითონები (სილიკომანგანუმი), ხე-ტყის მასალა, ჰიდროელექტროენერგია და თხილი).

სკეპტიკოსების აზრით, თავისუფლების კუნძულები ვერ ჩაანაცვლებს ზოგადად ეკონომიკის ლიბერალიზაციის აუცილებლობას. მსოფლიო ბანკის ეკონომიკური ექსპერტი დორსატი მადანი წერს, რომ „ასეთი ზონები ექსპორტის განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტია, თუმცა მათი შედეგიანობა შეზღუდულია“. მისი აზრით, ზონები შესაძლოა გახდეს „გამამრუდებელი სავაჭრო ინსტრუმენტები“, ვინაიდან მათი საშუალებით შეიძლება მოხდეს ინვესტიციების გეოგრაფიული კონცენტრაცია. თუმცა, დორსანტი დასძენს, რომ „თიზ“-მა, შეიძლება „გრძელვადიანი, დიდი ეროვნული ეფექტი“ ქონიოს ეროვნულ ეკონომიკაზე, ოღონდ ეს ეფექტი ეროვნული ეკონომიკისთვის ნამიერი როლი შეასრულოს ქვეყნის განვითარების პროცესში“.

ღაღანიძე ამ მოსაზრებას ნაწილობრივ იზიარებს. „თუ თქვენ ქვეყანაში ნედლეულს შემოიტანთ, პროდუქტს დასრულებულ სახეს მისცემთ „თიზ“-ში და შემდეგ ექსპორტზე გაიტანთ, ექსპორტის მაჩვენებლები უსათუოდ გაიზრდება. თუმცა ამით ექსპორტის პრობლემის არსს ვერ მოევლება, ვინაიდან არ მოხდება საქართველოს სამრეწველო სექტორის განვითარება“.

„თიზ“-ის შედეგიანობის ემპირიული შეფასება არაერთგვაროვან სურათს იძლევა. ზოგი ზონა ამართლებს, ზოგიც სასურველ შედეგს ვერ იძლევა, ამბობს მაიკლ ფიუნფზიგი, ეკონომიკის ასისტენტ-პროფესორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ძირითადი საშიშროება ისაა, რომ ყურადღება მხოლოდ შემოსული კომპანიების რაოდენობაზე გამახვილდება. არადა, იმისთვის რომ ეკონომიკური ზრდის სტიმულირება მოხდეს, აუცილებელია, რომ ამ კომპანიებმა ადგილობრივ ეკონომიკაზე მოახდინონ დადებითი ზემოქმედება. „ფილიპინების მაგალითი ავიღოთ. „თიზ“-ებმა ბევრი ინვესტორი მოიზიდა, მაგრამ თანხამ, რომელიც ხელისუფლებამ დაახარჯა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, გადააჭარბა მიღებულ ეკონომიკურ შედეგებს“. ფიუნფზიგის აზრით, მთავარია ფოთის ეკონომიკური ზონა მთელი ქვეყნის ეკონომიკასთან ინტეგრირდეს. „იდეალურ შემთხვევაში ფოთის „თიზ“-ს მოქმედი კავშირი ექნება ქვეყნის შუაგულთან, რაც ქართული ფირმებისგან ნედლეულის შეძენას და ქართველების დასაქმებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას გულისხმობს. ეს ხელს შეუწყობს ქართველებს შორის ცოდნის გავრცელებას და სტიმულს მისცემს ქართულ ფირმებს დახელოვდნენ. ეს კი, თავის მხრივ, პროდუქტიულობის ამაღლებას შეუწყობს ხელს“.

„ადგილმდებარეობა და კონკურენტული ფასები ფოთის ზონას მიმზიდველს ხდის,“ – ამბობს ჩატერჯი.

განათლება

ფოტო: ილია ბარბაქაძე, ნიუსი

დიმიტრი შაშკინი თბილისის 173-ე საჯარო სკოლაში, 2010

მანდატურის სკოლა

მანდატურები განათლების სამინისტროს მუშაკები არიან, თუმცა სკოლაში პოლიციელის ფუნქციებს ასრულებენ.

ნინო რობაქიძე

ორ დეკემბერს გლდანის 173-ე სკოლაში სასწავლო პროცესი ჩაიშალა.

მოსწავლეები გაკვეთილებზე არ შევიდნენ, სკოლის ეზოში შეიკრიბნენ და რამდენიმე დღის წინ დანიშნული დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართეს.

მოსწავლეები აპროტესტებდნენ დირექტორის და რამდენიმე მასწავლებლის სკოლიდან გაშვებას და მათ დაბრუნებას ითხოვდნენ.

მეთორმეტეკლასელების მიერ სპონტანურად გამოხატულ პროტესტს სხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლებიც შეუერთდნენ.

ვითარების ადგილზე გასარკვევად სკოლაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი პირადად მივიდა. მოსწავლეები მას სტვენითა და შეძახილებით შეხვდნენ.

ჟურნალისტებთან საუბარში მოსწავლეები და მასწავლებლები ადასტურებენ, რომ სკოლაში პრობლემებია – არ არის გათბობა, მოუწესრიგებელია საპირფარეშოები. მიუხედავად ამისა, სკოლის ყოფილი დირექტორის მზია გიორგობიანის გათავისუფლებას 173-ე სკოლაში უსამართლოდ მიიჩნევენ.

გიორგობიანის ნაცვლად რამდენიმე დღეა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, თინათინ ნასიძე დანიშნეს.

35 წლის იურისტს სკოლასთან და მოსწავლეებთან ურთიერთობის რვათვიანი გამოცდილება აქვს – 2010 წლის აპრილში თინათინ ნასიძე სკოლის მანდატურების საპილოტო პროგრამაში მონაწილეობდა და რამდენიმე თვე 117-ე სკოლაში მანდატურად მუშაობდა.

15 აპრილს, როცა თბილისის რამდენიმე სკოლაში მანდატურების საპილოტო პროგრამა დაიწყო, „ლიბერალი“ მანდატურების პირველი დღის ამსახველ რეპორტაჟში წერდა: თბილისის 117-ე სკოლაში პირველ დღეს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა 35 წლის თინათინ ნასიძე. იგი პატრულის ყოფილი თანამშრომელი იყო. „გადამზადებისას ბევრი ფსიქოლოგიური ტრენინგი გავიარე. მგონია, რომ ბავშვების ნდობის მოპოვებას შევძლებ,“ – ამბობს თინათინი. მისივე თქმით, მანდატურების უმრავლესობა მასავით სამართალმცოდნეა.

2009 წლის დადგომა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა 70 ათას მასწავლებელს წერილობით მიულოცა და თითოეულ მათგანს საჩუქრად ავტოკალამი და ჩანაწერების წიგნაკი გაუგზავნა. გზავნილს თან ახლდა „წერილის სპეციალური ფორმა“, რომელიც მასწავლებლებს უნდა შეევსოთ და მინისტრისთვის სკოლასა თუ რაიონში არსებულ პრობლემე-

ბსა და მათი გადაჭრის გზებზე საკუთარი მოსაზრებები შეეთავაზებინათ.

„დანაშაულის პრევენციისა და არასწორ გზაზე შემდგარი ახალგაზრდების გამოსწორების მიზნით, გთავაზობთ ინტენსიურ თანამშრომლობას," — წერდა შსს მინისტრი პედაგოგებს.

როგორც მერაბიშვილი აცხადებდა, სკოლაში პოლიციელის შესვლის ინიციატივას ბევრი პედაგოგი დადებითად გამოეხმაურა, თუმცა მაშინ შსს-ს ეს ინიციატივა, რატომღაც, აღარ განხორციელდა.

ერთი წლის შემდეგ, როცა განათლების სამინისტროს სათავეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი შეფი – დიმიტრი შაშკინი მოვიდა, „უსაფრთხო სკოლის" კონცეფციის ფარგლებში განათლების სისტემაში ახალი თანამდებობა – სკოლის მანდატური გაჩნდა.

ახალი ინიციატივის პილოტირება მაღლევე დაიწყო. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში კი მანდატურები უკვე გამოჩდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ზუგდიდის სკოლებში. მალე ისინი გორისა და რუსთავის სკოლებშიც შევლენ.

მანამდე კი, განათლების სამინისტრომ უკვე შეაფასა ინიციატივის პირველი შედეგები და პირველ მანდატურებს ეფექტური მუშაობისათვის მადლობა გამოუცხადა.

განათლების უწყების ინფორმაციით, მას შემდეგ რაც სკოლებში მანდატურები გამოჩდნენ:

- პრაქტიკულად მოისპო სკოლებში თამბაქოს მოხმარების ფაქტები;
- 80 პროცენტით შემცირდა მოსწავლეების დაგვიანება;
- 75 პროცენტით შემცირდა მოსწავლეების სკოლიდან გაპარვის ფაქტები (ე.წ. შატალო);
- 95 პროცენტით აღმოიფხვრა ფულის გამოძალვა;
- 80 პროცენტით შემცირდა მოსწავლეებს შორის დაპირისპირების ფაქტები;
- 90 პროცენტით შემცირდა საჯარო სკოლებში ვანდალიზმი (სასკოლო ქონების დაზიანება);

ამ მონაცემების (ისევე როგორც, ზოგადად, მანდატურების ინსტიტუტის) მიმართ მოსწავლეებს და მასწავლებლებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ.

თუ Google-ის საძიებო სისტემაში შეეცდებით, მოძებნოთ ფრაზა „მანდატურები სკოლაში", დაახლოებით 82 ათას მონაცემს წამის მეხუთედში მიიღებთ. ამას დაუმატეთ ინტერნეტფორუმებზე 100 გვერდამდე გაშლილი თემები მანდატურებისა და მათი საქმიანობის შესახებ, რაც იმას მოწმობს, რომ ეს თემა საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს.

მანდატური 20 წელს გადაცილებული ახალგაზრდაა. მას ლურჯი ფერის სპეციალური ფორმა აცვია, რომლის სამკერდე ნიშანზე მხოლოდ გვარი წერია. მას თან დააქვს რაცია და მის სამუშაო კაბინეტში სათვალთვალო კამერებია დამონტაჟებული.

ამ თანამდებობაზე დასანიშნავად კონკურსის შედეგად შერჩეულმა მომავალმა მანდატურებმა სპეციალური სამკვირიანი გადამზადება შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გაიარეს. მანამდე მათ აქვე ჩაუტარდათ ტესტირება ზოგადი უნარ-ჩვევებისა და ფსიქოლოგიური ჩვევების შესამოწმებლად. შემდეგ კანდიდატები კომისიის წინაშე გასაუბრებაზე წარდგნენ.

მანდატურების ძირითადი ვალდებულებები „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონშია" გაწერილი, რომელშიც მანდატურების შესახებ ცვლილებები 21 ივლისს შევიდა. ცვლილებებს ხელი საქართველოს პრეზიდენტმა მოაწერა.

თითქმის იგივე უფლება-მოვალეობები უნდა ჰქონოდათ იმ პოლიციელებსაც, რომლებიც, მერაბიშვილის 2009 წლის ინიციატივის თანახმად, სკოლებში უნდა შესულიყვნენ.

სკოლაში წესრიგის დამყარება, მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათი დახმარება ნებისმიერ სიტუაციაში — ეს არის „უსაფრთხო სკოლის" კონცეფციის ფარგლებში მანდატურის სამსახურის შემოღების მთავარი მიზანი.

მანდატურებს მოსწავლეების დასჯის უფლება არ აქვთ. დისციპლინის დარღვევას, ან ბავშვების საქციელში რამე საეჭვოს თუ შეამჩნევენ, მანდატურები დაუყოვნებლივ აცნობებენ: მშობლებს, დამრიგებელს, დირექტორს და განათლების სამინისტროს; დანაშაულის ნიშნების, იარაღის აღმოჩენის, ან უშუალოდ დანაშაულის შემთხვევაში კი, პატრულს მიმართავენ.

14 სექტემბერს მანდატურებმა, მართალია, განათლების მინისტრის წინაშე, მაგრამ პოლიციელების მსგავსად საზეიმოდ დადეს ფიცი დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებაზე.

მანდატურების სამსახური განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაშია, თუმცა ერთგვარ საუწყებო ავტონომიას წარმოადგენს – მინისტრის არცერთ მოადგილეს არ ექვემდებარება.

იგივე ავტონომიით სარგებლობენ მანდატურები სკოლებშიც.

სკოლის მანდატური უფლებამოსილია, სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, სააპელაციო კომიტეტის სხდომებს და მათ წინაშე მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული საკითხები დააყენოს.

თუ რა ტიპის დარღვევებს აწყდებიან მანდატურები სკოლებში, ამაზე ჟურნალისტებთან არც ერთი არ საუბრობს. მათი თქმით, ინტერვიუსთვის სამინისტროს სპეციალური ნებართვაა საჭირო.

„ჩვენ ვმოქმედებთ კანონის თანახმად, წინასწარ განსაზღვრული წესების შესაბამისად სკოლაში დისციპლინის დასამყარებლად," — სხაპასხუპით ამბობს 26 წლის მანდატური გოგო.

მანდატურების სამუშაო ოთახი ყველა სკოლაში ახლად გარემონტებულია და თანამედროვე ტიპის საკომუნიკაციო აპარატურითაა აღჭურვილი. ძირითად დროს ისინი სკოლაში დამონტაჟებული სათვალთვალო სისტემის მონიტორებთან ატარებენ. ზოგი მათგანი მხოლოდ რამდენიმე წუთით ტოვებს სკოლის ტერიტორიას, რომ სიგარეტი მოწიოს. მოწევა მხოლოდ სკოლის ღობის მიღმაა დაშვებული.

ფოტო: ბარბარე ქერეხალიერი

თინათინ ნასიძე, 173-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

რამდენიმე დღეა, 173-ე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, თინათინ ნასიძე დანიშნეს. 35 წლის იურისტი 2010 წლის აპრილში სკოლის მანდატურების საპილოტო პროგრამაში მონაწილეობდა და რამდენიმე თვე 117-ე სკოლაში მანდატურად მუშაობდა.

მანდატურების სამუშაო ოთახში განთავსებული პრინტერები მასწავლებლების მიერ სკოლის შინაგანაწესის და სამინისტროს მიერ დადგენილი სხვა წესების დარღვევის ამსახველ ოქმებს ბეჭდავენ. ზოგ სკოლაში ასეთ ოქმებს მანდატურები თითქმის ყოველდღე წერენ. შემდეგ ამ ოქმებს მასწავლებლების ხელმოწერა და ახსნა-განმარტებითი ბარათები ერთვის და მანდატურების ბაზაში ინახება. სკოლაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნას მანდატურებს საქართველოს კანონმდებლობა ავალდებულებს.

„რაც მანდატურები მუშაობენ სკოლაში, დასწრება გაიზარდა. არავინ აღარ აცდენს. სკოლა უფრო მობილიზებული გახდა. ყველა გაკვეთილი გვიტარდება." – ამბობს 55-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე მე-12 კლასელი გიგა კალანდაძე.

მის აზრს მე-12 კლასელი ნინოც იზიარებს და ამბობს, რომ ცუდი არაფერია, თუ გაკვეთილზე ჩაძინებული მოსწავლეები საყვედურს მიიღებენ. „მანდატურები გაკვეთილზე არ შემოდიან, მაგრამ ერთხელ კარის ჭუჭრუტანიდან დაინახეს, რომ მოსწავლეს ეძინა და მასწავლებელიც და მოსწავლეც გააფრთხილეს. რა არის ამაში ცუდი?" — ამბობს ნინო.

როცა თავად მასწავლებელს, სხვადასხვა მიზეზის გამო, მანდატურის კლასში გამოძახება უნდა, ამისთვის მან გარკვეული პროცედურა უნდა გაიაროს – ჯერ სკოლის დირექტორს ან სასწავლო ნაწილის გამგეს უნდა დაურეკოს და შესაბამისი ნებართვა მიიღოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია, დაუძახოს მანდატურს.

თავიდან, როდესაც სკოლებში პირველად გამოჩნდნენ, მანდატურები ხშირად მოულოდნელად შედიოდნენ გაკვეთილზე. ამის მიზეზი ხან დასწრების, ხან კი მოსწავლეთა ჩაცმულობის შემოწმება იყო.

პედაგოგები ამბობენ, მას შემდეგ რაც მანდატურებმა მასწავლებლები პირადად გაიცნეს, გაკვეთილებზე ისე ხშირად აღარ შედიან. თუმცა, მანდატურების მუშაობის ერთ-ერთი პრინციპი მათი ხშირი როტაციაა. სკოლაში მომუშავე ორი მანდატური დაახლოებით ერთთვიანი ვადის შემდეგ იცვლება და მათ ადგილს სხვა სკოლის მანდატურები იკავებენ. ამასთანავე ყველა მანდატური ხან ორკაციანი ჯგუფის უფროსია და ხან უფროსს დაქვემდებარებული. ეს კარუსელი და ის დაუფარავი შიშის გრძნობა, რომელსაც მოსწავლეები ხშირად მანდატურების მიმართ განიცდიან, თითქმის შეუძლებელს ხდის მანდატურების დამეგობრებას მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მათი პრობლემების უკეთ გაგებას, რაც მინისტრი შაშკინის აზრით, ამ მანდატურების მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო.

იყოს მოსწავლის მესაიდუმლე და მრჩეველი, დაეხმაროს ასაკობრივი პრობლემების დაძლევაში, დაუსახოს სწორი განვითარების ორიენტირები – სწორედ ეს გამოცხადდა მანდატურთა ინსტიტუტის შემოღების მთავარ მიზნად.

„ჩვენ გვინდა, რომ მანდატური ბავშვის ამხანაგი იყოს", – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა 15 აპრილს 117-ე სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრისას, იმ დღეს, როდესაც პირველი მანდატურები თბილისის რამდენიმე სკოლაში გამოჩდნენ.

მოსწავლეებს მინისტრმა პირადად წარუდგინა მანდატურები, მათ შორის ერთ-ერთი თინათინ ნასიძე იყო.

მისი გამოსვლა 117-ე სკოლაში ამ სიტყვებით დასრულდა: „მე არავის არ ვურჩევ, მართლა გულით, რომ რამენაირი შეურაცხყოფა მიაყენოს მანდატურს, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მანდატურები დაცულნი არიან კანონით, ისევე როგორც – პატრულის თანამშრომლები და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები", – განუცხადა მან მოსწავლეებს, რომლებიც მათ საკლასო ოთახში მოხვედრილ მინისტრს დაძაბულები უსმენდნენ.

საზოგადოება

ბირჩის თესლის ექსპორტი

ნაჩრევი ბიჩები

თუ უცხოეთიდან შემოტანილ, ქოთანში ჩარგული ან მოჭრილ „ცოცხალ“ ნაძვის ხეს იყიდით, დიდი ალბათობაა, რომ თქვენ ქართული სოჭი იყიდეთ. მხოლოდ, უცხოური ეტიკეტით.

რუსუდან ფანოზიშვილი

დეკემბრის დადგომასთან ერთად, დანიის ერთ პატარა, მიყრუებულ სოფელ სნაპურში უჩვეულო გამოცოცხლებაა. სოფელს ტრაილერების რიგი აწყდება და ყველა მძღოლს ერთი და იგივე კითხვა აქვს: „სად ვიპოვოთ მისტერ ოლე?“

მისტერ ოლე ინგვერსენი შუახნის ენერგიული კაცია, მწვანე „ტოიოტა-ლენდ კრუიზერით“ დაქრის და ამ მიდამოებში ყველა იცნობს. იგი ერთ-ერთია იმ 4 ათას დანიელ პლანტატორს შორის, რომლებმაც ახალი წელი შემოსავლის მთავარ წყაროდ აქციეს.

ოლე ინგვერსენს ნაძვის ხეების პლანტაცია აქვს და ნოემბერ-დეკემბერში მოსვენება ეკარგება – კლიენტები მთელი ევროპიდან ჩამოდიან.

რამდენიმე წლის წინ, მან კრედიტით სოფლის ბოლოს მიწა და მიტოვებული ქარხნის შენობა იყიდა. კრედიტი უკვე დიდი ხანია, დაფარულია, ჰერ ინგვერსენი კი მდიდარი კაცი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ დანიის სამეფოში ნაძვის ხეების მორთვის ტრადიცია ას წელზე ნაკლებია, დამკვიდრდა, ამ ხნის განმავლობაში, ამ ქვეყანაში არა მხოლოდ მათი მორთვა, მათი საშუალებით ფულის კეთებაც ისწავლეს.

„ვინ მოიფიქრა ეს ბიზნესი, აღარავის ახსოვს, მაგრამ ალბათ ჭკვიანმა ხალხმა. დღეს ხომ ნაძვები უკვე დანიის სავიზიტო ბარათია,“ – ამაყად უყვება ბატონი ოლე უცხოელ ჟურნალისტებს.

1970-იანი წლების დასაწყისიდან ნაძვის ხეების ინდუსტრია დანიის ეროვნული ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი სფეროა. ქვეყანა კი – მსოფლიოში ნაძვის ხეების უმსხვილესი ექსპორტიორი. დანიაში, ყოველწლიურად, დაახლოებით 15 მილიონი ნაძვი

ამ გირჩებიდან გამორჩეული თესლიდან დანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში ყოველ წელს ასეულ ათასობით სოჭის ხეს ზრდიან.

ფოტოები: რუსუდან ფანოზიშვილის

მოჰყავთ და აქედან 80 პროცენტზე მეტი – საექსპორტოდ.

ყველაზე საინტერესო კი ამ ისტორიაში ერთი რამეა – დანიის ძირითადი საექსპორტო პროდუქტი სულაც არ არის ნაძვი და თან არაფერი აქვს საერთო დანიასთან.

ყოველი სექტემბრის ბოლოს, ამბროლაურის რაიონში, სოფელ თლუღში მამაკაცების უმრავლესობა საჭმელსასმელს იმარაგებს, ზურგჩანთაში თბილ ტანსაცმელსა და სხვა ნივთებს ილაგებს და რამდენიმე დღით თლუღის ტყისკენ მიემართება.

15 სექტემბრიდან ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე თლუღში გირჩების შეგროვების სეზონი დგება. რაჭველები 30-40 მეტრის სიმაღლის ხეებზე შიშველი ხელებით მიცოცავენ და შეგროვებული გირჩის თესლს ევროპულ, უფრო ხშირად, დანიურ კომპანიებზე ჰყიდიან.

გირჩების შემგროვებლები ხშირად 40 მეტრის სიმაღლის ხეებზე ყოველგვარი აღჭურვილობის გარეშე ადიან.

ტყეში მოგროვილ გირჩებს ჯერ ქარხანაში აშრობენ, შემდეგ კი საექსპორტოდ გააქვთ.

შორეულ სოფელ სნაპურში, ბატონი ოლეს პლანტაციებში სწორედ კავკასიური სოჭი ხარობს. მის პლანტაციაში ბევრი ხე სოფელ თლუღში რაჭველების მიერ მოგროვებული თესლიდან აღმოცენდა.

ბატონი ოლეს მსგავსად, თლუღშიც აღარავის ახსოვს, პირველად ვის მოუვიდა აზრად აქაური სოჭის თესლის ევროპაში რეალიზაცია. გირჩის თესლის შეგროვება აქაურებისთვის უკვე დიდი ხანია, შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, თუმცა ბევრად უფრო ნაკლებადშემოსავლიანი, ვიდრე ბატონი ოლეს ბიზნესი.

რაჭული სოჭის თესლის ექსპორტს უკვე ათ წელზე მეტია, რამდენიმე დანიური, გერმანული და სხვადასხვა ევროპული კომპანია ეწევა.

მარიანა ბოლსი დანიურ კომპანია „ფეარ თრის“ წარმოადგენს. ეს კომპანია თლუღის ტყის სოჭებით ჯერ კიდევ 20 წლის წინ დაინტერესდა, 2007 წლიდან კი „ფეარ თრის“ საქართველოდან წელინადში დაახლოებით ათ ტონამდე გირჩის თესლი გააქვს. „ფეარ თრის“ დანიაში, საკუთარ პლანტაციაში, ახლა უკვე 300 ათასი ნაძვის ხეს ზრდის. ყოველწლიურად კი კომპანია სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით 50 ათას საშობაო ნაძვის ხეს ჰყიდის.

„რაჭაში, სოფელ თლუღში გირჩის უნიკალური თესლია. ამიტომაც ჩვენი კომპანია სწორედ რაჭის გირჩებს ირჩევს. აქედან მოწეული თესლით კომპანიები სეზონზე მილიარდობით შემოსავალს იღებენ. არა მგონია, საქართველოს მთავრობა ბოლომდე აცნობიერებდეს რაჭის პოტენციალს,“ – ამბობს მარიანა ბოლსი.

აქაური სოჭების უნიკალობაზე რაჭველებიც ბევრს ჰყვებიან. გასული საუკუნის დასაწყისში თლუღის ტყეში ხანძარი გაჩენილა. ტყე თითქმის მთლიანად დამწვარა და „ამ ადგილას ტოლ-სწორად წამოსული ამონაყარი“, დაახლოებით 50 წლის შემდეგ სოჭის ტყედ ქცეულა.

საზოგადოება

თლუღში ფიჭვისებრთა ოჯახის ქართული წარმომადგენელი – კავკასიური სოჭი ხარობს, რომელიც შეუფასებელია მათთვის, ვისაც საახალწლოდ „ცოცხალი“ ნაძვის ხის მორთვა უყვარს. რაჭაში მოყვანილ კავკასიურ სოჭს განსაკუთრებული, ვერცხლისფერი შეფერილობა და სიმეტრიული, იარუსებიანი ფორმა აქვს.

ეს ჯიში ნორდმანის სოჭის სახელითაცაა ცნობილი და ძირითადად, კავკასიაში ხარობს. ნორდმანის ჯიში, სოჭის სხვა ჯიშებისგან განსხვავებით, უფრო მალე იზრდება – 6-7 წელიწადში მათი საშობაო ნაძვის ხეებად გაყიდვა შეიძლება.

სეზონზე მოპოვებულ, მომწიფებულ ერთ ჯანსაღ გირჩაში დაახლოებით 25 ცალი თესლია. თითოეული თესლიდან გაზრდილი ნაძვის ხეები კი საახალწლოდ ევროპის ქვეყნებში საშუალოდ 30 ევროდ იყიდება. წელს მხოლოდ ამბროლაურში 700 ტონაზე მეტი გირჩის მოპოვება იყო შესაძლებელი.

ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოდან აშშ- სა და ევროპის რვა ქვეყანაში ექსპორტის სახით სამ მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების გირჩის თესლი გავიდა. მსოფლიოს 17 ქვეყნიდან კი საქართველოში საშობაო ნაძვის ხეების დაახლოებით 30 მილიონი ლარის ღირებულების იმპორტი შემოვიდა.

კომპანია „ფეარ თრის“-ი ერთ კილო გირჩაში რაჭველებს 2 ლარს უხდის. თუმცა, მათ, ვინც ამ კომპანიისთვის მუშაობს, ძალიან გაუმართლათ, რადგან სხვა კომპანიები ამავე რაოდენობის გირჩაში მხოლოდ 50 თეთრს იხდიან.

გირჩები ქვემოთაც ყრია, მაგრამ თუ 30-40 მეტრის სიმაღლის ნაძვის კენწეროზე ახვალ, მეტ მოსავალს მოაგროვებ. თლუღელები ხშირად ყოველგვარი დამცავი აღჭურვილობის გარეშე მუშაობენ. მათი უსაფრთხოების პირობას არც გირჩების შეგროვების ლიცენზია ითვალისწინებს და არც გარემოს დაცვის ინსპექციის მოვალეობები. აქაურები უბედურ შემთხვევებს იხსენებენ – რამდენიმე წლის წინ ახალგაზრდა თლუღელი ხიდან ჩამოვარდა და დაიღუპა; 70 წელს გადაცილებულ შოთა ტომაძეს კი, შვიდი წლის წინ მომხდარი შემთხვევის შემდეგ, სიარული თითქმის აღარ შეუძლია.

სანერგე მეურნეობის ადგილზე მოწყობას რაჭაში არავინ რისკავს. თლუღში მოკრეფილი გირჩის თესლიდან ნაძვის ხეები არც ერთ ქართულ კომპანიას არ გამოჰყავს. ისინი მხოლოდ თესლის ექსპორტში არიან ჩართული. საბოლოო პროდუქტის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი გაცილებით მეტი იქნებოდა, მაგრამ ეს ბიზნესი უფრო გრძელვადიან მოგებაზეა გათვლილი, რაც ქართველ მეწარმეებს აფრთხობს.

„რამდენიმე წელი, ვიდრე სოჭი გაიზრდება და გასაყიდად ვარგისი გახდება, არათუ მოგება, საერთოდ შემოსავალი არ გვექნება. გარისკვა ძნელია.

ფოტო: რევაზ ფანცულაია

შოთა ტომაძე 7 წლის წინ გირჩების მოგროვებისას სოჭის ხის კენწეროდან ჩამოვარდა და მას შემდეგ სიარული თითქმის აღარ შეუძლია.

„რამდენიმე წელი, ვიდრე სოჭი გაიზრდება და გასაყიდად ვარგისი გახდება, არათუ მოგება, საერთოდ შემოსავალი არ გვექნება. გარისკვა ძნელია.“ – ამბობს მურმან ქევანიშვილი

ბიზნესმენებს ხელი სახელმწიფომაც უნდა შეუწყოს. მაგალითად, რამდენიმე წლის მანძილზე გადასახადი რომ არ ვიხადოთ, გარკვეული შეღავათები რომ გაგვიწიონ“, – ამბობს მურმან ქევანიშვილი, რომელსაც, უკვე 10 წელია, სოჭის თესლი საზღვარგარეთ გააქვს.

დღემდე სახელმწიფოს ჩართულობა გირჩების შეგროვებაში ლიცენზიების გაცემით და გენერალური ინსპექციის კონტროლით შემოიფარგლება.

იმ ტერიტორიებზე, სადაც გირჩებს აგროვებენ, გარემოს დაცვის სამინისტრო კვოტებს ადგენს – თუ რომელ მონაკვეთზე, რომელ კომპანიას, რამდენი ტონა გირჩის მოკრება შეუძლია. ეკონომიკის სამინისტრო კი ამ კვოტების მიხედვით, აუქციონს ატარებს და ლიცენზიებს გასცემს.

„ბიზნესს ბაზარი არეგულირებს. მისი წახალისება შეუძლებელია, მეტად ჩვენ ვერ ჩავერევით“, – ამბობს ეკონომიკის სამინისტროს ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ლევან ჯანაშია.

შობის მოახლოებასთან ერთად ბატონი ოლეს ქარხანაში ფუსფუსია. პოლონეთიდან და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან მოსავლის აღების სეზონზე ჩამოსული გასტარბაიტერები ნაძვებს ახარისხებენ. როცა ნაძვის ხე ნეილონის ბადეში უკვე შეფუთულია, მას პასპორტს უმაგრებენ. ერთი ფერის იარლიყი მოწმობს, რომ ეს ნაძვისხე უმაღლესი ხარისხისაა – ფართო, სიმეტრიული ტოტებითა და ერთგვაროვანი, მოვერცხლისფრო წიწვებით. შედარებით დაბალი ხარისხის ნაძვებს ორფეროვან იარლიყს უმაგრებენ.

ბატონი ოლე ამბობს, რომ მის ბიზნესში დიდ როლს ქიმია ასრულებს – ზღაპრულ სადღესასწაულო იერს მის ნაძვებს ქიმიური დანამატები და სპეციალური სასუქები აძლევს, რითიც ხეები წლების განმავლობაში იკვებება.

„თუმცა, მხოლოდ ქიმიით ამ სილამაზეს ვერ შექმნი. ეს ნაძვები თავისთავად უნიკალური ჯიშია. თან, თითოეულ ხეს შვილივით ვუვლი. დიდ შრომას ვდებ ამ საახალწლო ზღაპარში“, – ღიმილით ამბობს ბატონი ოლე.

ლიბერალი

იკითხეთ
ლიბერალის პორტალზე
www.liberali.ge

გიორგი ცხადაიას ბლოგი

WIKILEAKS და ვუდრო ვილსონის მთავარი ოცნება

ვიკილიქსს დღეს ბრალს დებენ, რომ მისი გამოქვეყნებული ინფორმაცია მთავრობების დანაშაულებებს კი არ გამოააშკარავებს, არამედ პირიქით, გლობალურ არეულობას ქმნის. ამერიკული ჟურნალი „ნიუსვიქი“ წერს: „გამჭვირვალობა, როგორც ასეთი, ხელისუფლებაში ნამდვილად უნდა წავახალისოთ, რადგან ეს შესანიშნავი პრინციპი და პრაქტიკაა, თუმცა არის მომენტები, როდესაც ზედმეტი გამჭვირვალობა კომუნიკაციას ხელს კი არ უწყობს, არამედ პირიქით – აფერხებს. ვფიქრობ, რომ ახლა ასეთი მომენტის წინაშე ვდგავართ“. ჩემი აზრით, ეს მსჯელობა მცდარია.

სპორტი

მსოფლიო ჩემპიონატი 2018: ლონდონს მოსკოვის არ სჯერა

ბესო კურტანიძე

2018 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატს რუსეთი უმასპინძლებს. რუსეთის ძირითადი კონკურენტები ინგლისი და ესპანეთ-პორტუგალია გახლდნენ.ფიფამ არჩევანი რუსეთზე შეაჩერა. ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა თქვა, რომ აღმოსავლეთ ევროპას არასდროს უმასპინძლია მსოფლიო ჩემპიონატისთვის და ეს გადაწყვეტილება ფეხბურთის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.

ალექსანდრე ელისაშვილის ბლოგი

თბილისის ტოპონიმიკის მოკლე მიმოხილვა, ნაწილი II

70 წლიან საბჭოთა მმართველობას რამდენიმე ტოპონიმიკური ტალღა და ეტაპი ახასიათებდა. პირველ ტალღას „ველურ-რევოლუციონერულს“ დავარქმევდი, ვინაიდან 1921 წლიდანვე ბოლშევიკებმა თითქმის ყველა ქუჩას გადაარქვეს სახელი. უმეტეს მათგანს ძველი რევოლუციონერების, ტერორისტების და ათასი ჯურის მობანდიტო ელემენტების სახელები ჩამოურიგეს. შემდეგ თანდათან ასეთი სახელების ნაწილი გააქრეს, მაგრამ დიდი ნაწილი დარჩა (ელბაქიძე, პეროვსკაია, კიბალჩიჩი, ჟელიაბოვი, კამო, დუმბაძე, ლაზო აგერ ბოლო პერიოდამდე შემორჩა).

ძალადობა ოჯახში – „მითი თუ რეალობა“

თამარ ფარადაშვილი

ოფიციალური მონაცემებით, 2009 წელს, საქართველოში 169 ძალადობის მსხვერპლი ქალია რეგისტრირებული. გაეროს ამავე წელს ჩატარებული კვლევის თანახმად კი, სადაც ქალთა ანონუმურობა დაცული იყო, ერთხელ მაინც ქორწინებაში მყოფი ყოველი მეთერთმეტე ქალი ძალადობის მსხვერპლია.

მულტიმედია

„გმადლობთ ქალგატონო“

173-ე სკოლის პედაგოგი ესაუბრება განათლების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს.

რა უნდა აირჩიოს ქალმა– კარიერა თუ ოჯახი?

WIKILEAKS საქართველოზე

ჰას ვაქცევთ ყურადღებას

რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ რაზე ამახვილებენ საქართველოში ყურადღებას.

მარკ მალენი

ევროპის საბჭოს წინაშე სააკაშვილი მართლაც დიდებული სიტყვით წარდგა. ეს იყო მომაჯადოვებელი სიტყვა, რომელიც ვფიქრობ, რომ ევროპელებს ყოველმხრივ მოეწონათ. საქართველო ევროპელებისთვის „ერთ-ერთ ჩვენგანად“ წარმოჩინდა, რამაც აშკარად იმუშავა. ყველაზე განსაცვიფრებელი იყო იმის წარმოდგენა, თუ როგორ უცხოდ მოეჩვენებოდათ ევროპაში ნებისმიერი რუსი მაღალჩინოსნის გამოსვლა.

ჩემთვის კი მთავარი კითხვაა, თუ ვის მიმართ იყო გამოსვლა გამიზნული.

აფხაზებს საქართველოს მიმართ სერიოზული შიშები გააჩნიათ. ისინი ფიქრობენ, თუ საქართველოს საშუალება ექნება, ის აფხაზეთის სამხედრო ოკუპაციას არ დააყოვნებს. ვფიქრობ, აფხაზები არ ცდებიან. რუსეთმა აფხაზეთის უსაფრთხოების გარანტირება გადაწყვიტა და აფხაზებიც, გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, საქმის ამგვარი ვითარებით კმაყოფილნი და უფრო მეტიც, ბედნიერნიც კი არიან. აფხაზებს კიდევ სხვა პრობლემებიც აწუხებთ, მაგრამ ქართულ საფრთხესთან შედარებით ყველა დანარჩენი ნაკლებად მნიშვნელოვანია.

■ საქართველომ ისაუბრა იმაზე, რომ მას რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა სურს. არადა, საქართველოს შეეძლო, მათთვის ზემოდან ყურების ნაცვლად, აფხაზებთან და ოსებთან მეგობრულ ურთიერთობებზე ესაუბრა.

რუსეთი, განსაკუთრებით კი – მედვედევი, გასული წლების განმავლობაში საქართველოსგან ძალის გამოუყენებლობის პირობას ითხოვდა. რუსეთს სურდა, რომ საქართველოს ეს პირობა დაედო. ამით რუსეთი ერთგვარ სიამოვნებასაც მიიღებდა, რადგან მას მოსწონს, როდესაც მეზობლებს მისთვის სასარგებლო ნაბიჯების გადადგმას აიძულებს.

ახლა კი, აი, რა მოხდა.

ფრანგული გაზეთისთვის, და შემდეგ – ევროპის საბჭოსთვის გაკეთებული განცხადებით, სააკაშვილმა ევროპას ძალის გამოუყენებლობის პირობა მისცა. ევროპა კი საქართველოს რუსეთთან ურთიერთობაში უნდა დაეხმაროს. საქართველო რუსეთს კვლავ დასავლეთის მეშვეობით დაელაპარაკა. აფხაზები და ოსები ამ დროს დგანან და ამ ყველაფერს გვერდიდან უყურებენ.

საქართველომ ხელიდან კიდევ ერთი შანსი გაუშვა. ფრანგული გაზეთის მეშვეობით ამ განცხადების გაკეთებას, ჯობდა აფხაზებისა და ოსებისთვის რუსულ ენაზე მიგვემართა. საქართველომ ისაუბრა იმაზე, რომ მას რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა სურს. არადა, საქართველოს შეეძლო, მათთვის ზემოდან ყურების ნაცვლად, აფხაზებთან და ოსებთან მეგობრულ ურთიერთობებზე ესაუბრა.

ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს „ვიკილიქსის“ დოკუმენტებზე გამოწვეულ დისკუსიებს. სინამდვილეში, „ვიკილიქსში“ ახალი ბევრი არაფერი თქმულა და ქართული ტელევიზიები, ძირითადად, იმაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, თუ რა ითქვა ომის დაწყების შესახებ და როგორ ადასტურებდა ეს ყველაფერი მოვლენების ქართულ ვერსიას. დანარჩენი მსოფლიო დიდი ხანია, რაც 2008 წლის აგვისტოს დეტალურ ქრონოლოგიაზე საუბარს გასცდა, ქართულ ტელევიზიებს კი ამის მეტი ჯერ კიდევ არაფერი აინტერესებდათ. არადა, „ვიკილიქსზე“ უამრავი ისეთი რამ დაიწერა, რაც საქართველოს პირდაპირ ეხებოდა, განსაკუთრებით, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფაილებში.

მთავრობის განცხადებებისა და შეხვედრების გასაშუქებლად ზედმეტად ბევრი დრო იხარჯება. შემდეგ კი დროს მსოფლიოს რეაქციების გამოცნობას უთმობენ. შეხვედრები და განცხადებები, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი არ არის ხოლმე და იშვიათად თუ გამოხატავს ან ცვლის რამეს. მსოფლიოში ამის შესახებ კარგად იციან.

მართლაც, ზედმეტად ბევრი დრო იხარჯება შეხვედრების, დელეგაციების სტუმრობისა და გაგზავნის, ან ვაშინგტონის, მოსკოვის, ბრიუსელის, სტრასბურგის, ლონდონის, ნიუ-იორკის და თბილისის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებების გაშუქებაზე. ჩვენ კი გვჭირდება, რომ უფრო მეტი დრო დავუთმოთ იმას, თუ რას ფიქრობს და ლაპარაკობს ხალხი ბაქოში, ცხინვალში, ქუთაისში, გროზნოში, ერევანში, სოჭში, სოხუმში, სტეფანაკერტში, თელავში, ტრაბზონში, თავრიზსა და ზუგდიდში.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ.

ჯულიან ასანჟი - სამოქალაქო აქტივიზმის ბმული

ვისთვის გამოაქვეყნა ასანჟმა საიდუმლო დოკუმენტები?

გიორგი ცხადაია

Wikileaks-ის მთავარმა რედაქტორმა – ჯულიან ასანჟმა – მთელი ამერიკა განარისხა: ნეოკონებიც და ობამაკონებიც.

ნეოკონებს იგი არ მოსწონთ, რადგან ასანჟმა ერაყის და ავღანეთის ომის საიდუმლო ფაილები, დიპლომატიური მიმოწერები და სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაცემული შპიონაჟის დირექტივები მთელი მსოფლიოსთვის აშკარა გახადა. ობამაკონები კი განრისხებულნი არიან, რადგან მათი აზრით, საგარეო პოლიტიკა ექსკლუზიურად პროფესიონალი დიპლომატების საქმეა და თავისი არსით პრაგმატულია. დემოკრატებს მიაჩნიათ, რომ დიპლომატიური მიმოწერების გამოაშკარავებით, ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას საფრთხე შეექმნა.

ჯულიან ასანჟი

ფოტო: ალბერტო ფერარი / Reuters

მაგრამ, ჯულიან ასანჟის ქმედებების შეფასების კიდევ ერთი მხარე არსებობს – მოქალაქეობრივი და ჟურნალისტური. ვფიქრობ, ამ გადმოსახედიდან ასანჟი სწორად მოიქცა.

ამ პოზიციაზე მსჯელობისთვის ნეოკონების და პრაგმატისტების (როგორც ზემოთ ვუწოდე, „ობამაკონების“) ძირითადი იდეებისა და „ჩავარდნების“ გახსენება გამოგვადგება.

ნეოკონსერვატორები მიიჩნევენ, რომ ამერიკა მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელებით უნდა იყოს დაკავებული. ამ გზაზე ისინი დიდ შეცდომას უშვებენ, რადგან ხშირად ვერ ასხვავებენ ერთმანეთისგან დემოკრატიის გავრცელების „წმინდა მისიასა“ და ამერიკის იმპერიალისტურ ინტერესებს. მაგალითად, ერაყის შემთხვევაში ნათლად გამოჩნდა, რომ ომის დაწყების მთავარი მიზეზი ამ ქვეყანაში დემოკრატიიის გავრცელება კი არა, ამერიკის გეოსტრატეგიული და ენერგო ინტერესები იყო. საქართველოს „დემოკრატიის შუქურად“ გამოცხადებაც ბუშის ნეოკონსერვატორული პროექტის ნაწილი იყო, რომელიც, სამწუხაროდ, ისევე ჩაფლავდა, როგორც ერაყის და ავღანეთის დემოკრატია.

ბუშის წარუმატებელმა ოპერაციებმა ერაყსა და ავღანეთში ამერიკელებისა და დანარჩენი მსოფლიოს უკმაყოფილება გამოიწვია. ამას ამერიკის საგარეო პოლიტიკური პარადიგმის შეცვლა მოჰყვა.

ხელისუფლებაში ე.წ. „პრაგმატიკოსთა“ გუნდი მოვიდა. მათ სხვაგვარი ხედვა აქვთ – ამერიკა რეალურ მიზნებზე უნდა იყოს ორიენტირებული და დემოკრატიის გავრცელების უტოპიურ იდეალზე ნაწილობრივ უარი თქვას; უფრო სწორად, დემოკრატია პრაგმატული გზებით უნდა გაავრცელოს. ამ პარადიგმის მიხედვით, ამერიკას დღეს მსოფლიოში ორი მთავარი მიზანი აქვს: საკუთარი გავლენის გაძლიერება და მშვიდობის შენარჩუნება. აქცენტი „დემოკრატიაზე“ თითქმის აღარ კეთდება და მთავარ პრიორიტეტად მშვიდობა და სტაბილურობაა ქცეული.

ობამას გუნდს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ამერიკის პრეზიდენტი ჩინეთში ადამიანის უფლებების დარღვევაზე სიტყვასაც არ ძრავს და ზოგადად, ადამიანის უფლებების თემა მის საგარეო ურთიერთობების განრიგში უკანა პლანზეა გადაწეული.

ამავე დროს, თუ ბუში დიპლომატიას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და ძირითადად ხისტ ძალაზე დაყრდნობით მოქმედებდა, ობამასთვის დიპლომატია პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი გზაა.

ჯულიან ასანჟის მიერ საიდუმლო დიპლომატიური მიმოწერის გამოქვეყნებით, ირანის წინააღმდეგ დაგეგმილი „დიპლომატიური“ შეთქმულება გამოაშკარავდა. საიდუმლო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ ბუშის პერიოდიდან მოყოლებული, საუდის არაბეთის, არაბთა გაერთიანებული საამიროების და სპარსეთის ყურის სხვა არაბული სახელმწიფოების ლიდერები ამერიკას და ისრაელს ირანზე შეტევისკენ მოუწოდებდნენ. არაბული საამიროების თავდაცვის მინისტრმა ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი ჰიტლერს შეადარა, საუდის არაბეთის მეფე კი სთხოვდა ვაშინგტონს, სანამ დროა, „გველისთვის თავიმოეჭრა“.

ამერიკას და მის მოკავშირეებს ირანის საკითხის „მოსაგვარებლად“ ჩინეთისა და რუსეთის, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს წევრების, თანხმობა სჭირდება. არადა, ჩინეთი მოხმარებული ნავთობის 12 პროცენტს ირანიდან იღებს. საიდუმლო დოკუმენტების გამოაშკარავებით ირკვევა, რომ საუდის არაბეთი, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე დიდი ნავთობის მარაგების მფლობელია, საჭიროების შემთხვევაში, ჩინეთისთვის ნავთობის მიწოდებას დათანხმდება.

რუსეთის დათანხმება ამერიკელებმა ირანიდან მომავალი საფრთხის გამოაშკარავებით სცადეს. რუსები უარყოფდნენ, რომ ჩრდილოეთ კორეას შესაძლოა, მართლაც ჰქონოდა საშუალო მანძილის რაკეტა BM-25. მოგვიანებით ასეთი რაკეტის არსებობა დადასტურდა და გაირკვა, რომ ჩრდილოეთ კორეიდან ჩინეთის გავლით ირანში რაკეტების ტრანზიტი განხორციელდა. ამერიკელები რუსებს უმტკიცებდნენ, რომ თუ ირანი ამ კლასის რაკეტას ააწყობდა, მას თავისუფლად შეეძლო აღმოსავლეთ ევროპის დედაქალაქების – ბერლინისა და მოსკოვის დაბომბვა.

და, აი, მთელი ამ მოლაპარაკებების დეტალები, მოულოდნელად, Wikileaks-ზე დაიდო. ირანის წინააღმდეგ შეთქმულების ნიუანსები მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა. შედეგად, ჯულიან ასანჟზე მემარცხენე-ცენტრისტულად განწყობილი ამერიკული ჟურნალი „ნიუსვიკიც“ კი განრისხდა, რომ არაფერი ვთქვათ ცენტრისტულ „ვაშინგტონ პოსტზე“.

ჯულიან ასანჟს დღეს თავის დაცვა პრაგმატიკოსი „მშვიდობისმყოფელებისგან“ უწევს, რომლებსაც ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება საიდუმლო დიპლომატიური გარიგებებით სურთ (თუმცა, ამ გარიგებების შესახებ, მანამდეც, ზედაპირული დაკვირვებითაც შეიძლებოდა, გვევარაუდა).

ჩნდება ეთიკური ხასიათის კითხვა: ახლო აღმოსავლეთში დაძაბული დაპირისპირებების ფონზე, უნდა გამოექვეყნებინა, თუ არა ასანჟს საიდუმლო დიპლომატიური დოკუმენტები?

თუ ამერიკას, ისრაელსა და საუდის არაბეთს ომი მართლაც აქვთ განზრახული, საეჭვოა, ასანჟის ფაილებმა რამე შეცვალოს. ასანჟის მთავარი პრიორიტეტი – ომი ან მშვიდობა არასდროს ყოფილა. მისი მთავარი პრიორიტეტი გამჭვირვალობა, ადამიანის უფლებების დაცვა და გულწრფელი და საჯარო დიპლომატიის პრინციპების პროპაგანდა იყო.

ჯულიან ასანჟი საკითხს სამოქალაქო აქტივიზმის გადმოსახედიდან უდგება და არა სახელმწიფოებრივი პრიზმიდან. სახელმწიფოების ინტერესებში საკუთარი გავლენის გაფართოება ან შენარჩუნებაა. მათი ლიდერები თამაშის იმ წესებს იყენებენ, რომლებიც დიდი ხანია დამკვიდრებულია საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის პრაქტიკაში. ასანჟის იდეალისტური და ნახევრად უტოპიური მიზანი აქვს – მას სურს, თავად ეს თამაშის წესები, სისტემა შეცვალოს.

მარტივი მაგალითი: ობამას აინტერესებს ჩინეთსა და ამერიკას შორის მშვიდობიანი ურთიერთობა შენარჩუნდეს და წარმატებული ვაჭრობის მეშვეობით, ორივე ქვეყანამ მშვიდობიანი თანაარსებობა შეძლოს. ასანჟს სხვა პრიორიტეტები მაქვს: მას სურს, ჩინეთში ადამიანის უფლებებს იცავდნენ.

თუ wikileaks-ზე დიპლომატიური ინფორმაციების გამოქვეყნების საკითხს მორალისა და ეთიკის პრიზმიდან შევხედავთ, ჩემთვის პასუხი ცალსახაა: მიუხედავად ყველა ტიპის პრაგმატული კონტრარგუმენტებისა, ჯულიან ასანჟი სწორად მოიქცა. მან ამით განაცხადა, რომ გამჭვირვალობა თამაშის წესად უნდა იქცეს. ისე, როგორც ეს ამერიკის ლეგენდარულ პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს წარმოედგინა.

დღეს ვილსონიანიზმი და სხვა იდეალისტური იდეოლოგიები სახელმწიფო პოლიტიკაში აღარ არსებობს (ნეოკონსერვატიზმს თუ არ ჩავთვლით, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ამერიკის ვიწრო მერკანტილურ ინტერესებს ემსახურება). დღეს თითქმის ყველა პოლიტიკოსი პრაგმატიკოსია.

თუმცა, დღეს არის ინტერნეტი, რომელიც ჯულიან ასანჟს და მის მსგავს აქტივისტებს, უბრალო მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, პოლიტიკის გამჭვირვალობისთვის იბრძოლონ.

სიმართლის გამოაშკარავება და სისტემის წინააღმდეგ წასვლა სარისკო საქმეა. შვედეთის სასამართლო მზადაა, თავიდან განიხილოს ჯულიან ასანჟის წინააღმდეგ გაუპატიურების ბრალდებით აღძრული საქმე, რომელიც არასაკმარისი მტკიცებულებების გამო ერთხელ უკვე შეწყვიტეს.

ასანჟი კი ამბობს, რომ მომავალში ამერიკული ბანკების მაკომპრომეტირებელ მასალებს გამოაქვეყნებს. როგორც ჩანს, ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მზადაა მსოფლიო, სიმართლე იცოდეს. ინტერნეტ-აქტივისტები გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებას დიდ გამოცდას გვიმზადებენ.

ჯულიან ასანჟი საკითხს სამოქალაქო აქტივიზმის გადმოსახედიდან უდგება და არა სახელმწიფოებრივი პრიზმიდან. ასანჟის იდეალისტური და ნახევრად უტოპიური მიზანი აქვს – მას სურს, თავად ეს თამაშის წესები, სისტემა შეცვალოს.

ხათუნა ბერიძენიშვილის ჯომელი შოუ VS ბიოხბი პოვლაძის ჰოხოხ სთოხი

ნინია კაკაბაძე

უნდა ვაღიარო, რომ ჩემს ვალდებულებას – უფრო აქტიურად და სისტემატურად ვადევნო თვალი საზოგადოებრივი არხის გადაცემებს – კარგად არ ვასრულებ. არადა, სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იქცეს არა მხოლოდ ჩემი, არამედ საქართველოს მოსახლეობის დაკვირვების საგნად, რეალურად და ლეგიტიმურად ჩვენ მხოლოდ ის გვეკუთვნის, ან კი უნდა გვეკუთვნოდეს.

25 ნოემბრის აქცია პარლამენტის წინ, თბილისი 2010

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკა

25 ნოემბერს თბილისში, რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქცია ჩატარდა. აქციის შესახებ საუბარი, ამ წერილსა და ამ კონტექსტში ჩემი საქმე არ არის, მხოლოდ ერთს გეტყვით – ბუნებრივია, დავინტერესდი, რატომ ჩატრადა აქცია, ვინ ატარებს, რას ითხოვენ და ა.შ. ჩავრთე ტელეარხი „მაესტრო“ და ყველაფერი გავიგე. სურათი იმდენად კომიკური იყო, რომ.... აღარ დავასრულებ. კიდევ ერთხელ თანაგრძნობა გაგიჩნდება უკმაყოფილო მოსახლეობის მიმართ, რომელიც გამუდმებით მოტყუებულია, მათ ილუზიებს უქმნიან და შემდეგ კვლავ უნგრევენ. ამას ხან ხელისუფლება ასრულებს წარმატებულად და ხანაც მისი მოწინააღმდეგე ოპოზიცია. მიუხედავად ამისა, 25 ნოემბრისთვის ბევრი ემზადებოდა, ბევრი ელოდა და ბევრს აინტერესებდა მისი შედეგები. ნაციონალური არხების მეშვეობით ინფორმაციის მიღება არც თუ ისე მარტივი იყო. თუკი მოთმინებით დაელოდებოდით საინფორმაციო გამოშვებების უკანასკნელ ბლოკს, გაიგებდით, რომ მიტინგი შედგა, მომიტინგენი უკმაყოფილენი დარჩნენ, ოპოზიციური პარტიის ლიდერებმა ვერ მოილაპარაკეს და ვერც ის გაიგეს, რა უნდათ. ამის შემდეგ პოლიტიკურ ტოკ-შოუში „დიალოგი დავით პაიჭაძესთან ერთად“ სამი სხვადასხვა ოპოზიციური ძალის წარმომადგენელი სტუმრობდა. მიუხედავად იმისა, რომ არხის საინფორმაციო გამოშვების მიხედვით დღის მთავარი თემა მოლდოვაში ახალი ქართული სოფლის – ობილენის – შენება იყო, ღამის გადაცემაში დავით პაიჭაძემ მაინც ოპოზიციური ძალების ხედვაზე არჩია საუბარი და ეს უნდა აღინიშნოს. სწორედ ამ გადაცემაში გამოთქვა უკმაყოფილება რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა და იმ სიუჟეტების ჩამოთვლა დაიწყო, რომელიც წინ უსწრებდა 25 ნოემბრის აქციისადმი მიძღვნილ რეპორტაჟს მოამბეში. მე თავიდან გავზომე და რესპუბლიკური პარტიის ლიდერი მართალი აღმოჩნდა. რატომ გავზომე? იმიტომ რომ დავით პაიჭაძემ გულისტკივილით აღნიშნა: „ძალიან მტკივნეულად ვგრძნობ თავს, რომ ჩვენს მედიას აკლია თქვენნაირი მკვლევარები“. მკვლევარად

რამდენად კომიკურადაც გამოიყურებოდნენ 25 ნოემბრის ქუჩის პერფორმანსის ავტორები რუსთაველის გამზირზე, იმდენად კომიკურია 25 ნოემბრის საზოგადოებრივი არხის საინფორმაციო გამოშვება.

თავს ვერ გავასაღებ, მაგრამ თავი ვალდებულად ვიგრძენი 25 ნოემბრის „მოამბე“ გამეშიფრა. მაშ ასე:

პირველი ბლოკი

1. „ქართული სოფელი ობილენი“ – რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ააშენა მოლდოვაში წყალდიდობით დაზარალებულთა ოჯახებისათვის. 3 წუთი და 30 წამი.

2. „თავისუფლების აღკვეთა უკანონოდ“ – გაფუჭებული თხილი, ბულგარეთის მოქალაქეს, ჩხოროწყუდან გერმანიაში მიჰქონდა. 4 წუთი 10 წამი

3. „ტოტალიზატორების დაჯარიმება“ – ე.წ. „პოსლეზე“ გამაზვის შემთხვევები გამოვლინდა. ტოტალიზატორები გადასახადებს მალავდნენ. 3 წუთი და 6 წამი

მეორე ბლოკი

4. „პიაცას საოპერო სასწაული“ – მიხეილ სააკაშვილმა მიწვევა თავად პლასიდო დომინგოსაგან მიიღო. 5 წუთი და 4 წამი

5. „პლასიდო დომინგო ბათუმში“ – სააკაშვილისა და დომინგოს დიალოგი. მთლიანად ნათარგმნი, როგორ დადიოდნენ მეტროპოლიტენ ოპერაში. შემდეგ გასეირნება ბათუმში. 6 წუთი და 25 წამი

6. „ეკოლოგიური აგრესია“ – სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემების მიმოხილვა და საფრთხეები.

7. „ოკუპირებული ტერიტორიები ბუკლეტებზე“ – ახალი საკანონმდებლო ინიციატივა. ბოლო ორი სიუჟეტი, სავარაუდოდ, ორზე გავყოთ.

ინტერნეტ პორტალმა myvideo-მ გაჭედა და სათითაოდ მათი გაზომვა ვერ მოვახერხე, მაგრამ ორივე ერთად 10 წუთი და 25 წამი იყო. ასე დასრულდა მეორე ბლოკიც.

მესამე ბლოკი

8. „სახალხო კრების აქცია“. 3 წუთი და 15 წამი.

შემდეგ მას მოსდევს 9. „ვირუსის პრევენცია“ – ღორის გრიპი 26 წლის ქალბატონს აღმოაჩნდა. 10. „მგლები სამეგრელოში“. 11. „სტუდენტური გაფიცვა ბრიტანეთში“. 12. „მადლიერების დღე აშშ-ში“. 13. „ბრიტანეთის დედოფალი ემირატებში“ 14. სპორტი. კულტურა. ამინდი და ეგ არის.

რა შეიძლება, ითქვას ამაზე?! მხოლოდ ერთი, რამდენად კომიკურადაც გამოიყურებოდნენ 25 ნოემბრის ქუჩის პერფორმანსის ავტორები რუსთაველის გამზირზე, იმდენად კომიკურია 25 ნოემბრის საზოგადოებრივი არხის საინფორმაციო გამოშვება. ტრაგედია მხოლოდ ის არის, რომ ორივე მხარეს ერთნაირი სიბეცე მძვინვარებს.

P.S. ნეტავ რას ფიქრობდა ხათუნა ბერძენიშვილი (საზოგადოებრივი არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსი), როდესაც „მოამბის“ ბადეს ადგენდა?

და კიდევ ერთი თემა, რომელიც არ შეიძლება, უყურადღებოდ დარჩეს. მისი სავარაუდო სახელწოდება იქნება „არველაძის ჰორორები გრძელდება“.

უკანასკნელ შაბათს, საღამოს 8 საათზე „იმედის“ ეთერში კარგად ნაცნობი „სპეციალური რეპორტაჟი“ გადის. უკანასკნელი სიუჟეტი ექსპერიმენტული ხასიათის იყო. თუმცა გაუგებარია, ან რა დასკვნა გამოიტანეს? ან რისთვის ჩაატარეს ეს ექსპერიმენტი? იდეა რა იყო? მოკლედ მოგახსენებთ „სპეციალური რეპორტაჟის“ გადამღებმა ჯგუფმა ბავშვი ვაგზლის მეტროს ტერიტორიაზე დატოვა – მაშ ასე, ვნახოთ, როგორ ვიქცევით ჩვენ მიტოვებული ჩვილის დანახვაზე!“ – მოგვახსენა გადაცემის წამყვანმა და წარმოგვიდგინა ფარული კამერით გადაღებული მასალა. აქცენტი გამვლელთა რეაქციებზე იყო. სიუჟეტის ავტორმა მოგვახსენა, რომ ბავშვის სახლში წაყვანის მსურველები იყვნენ არა უშვილო დედები, არამედ ქალბატონები რომელთაც უკვე ჰყავთ შვილები. ზოგი ბავშვის დედას ლანძღავდა და ზოგიც – პატრულს ურეკავდა.

მაინც არ მესმის, სიუჟეტის მიზანი რა არის. ფსიქოლოგი მაია ცირამუა ამბობს: „გადაცემა გადის პრაიმ-ტაიმში, ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ ავტორებმა მის ადრესატად ყველა ასაკისა და ტიპის მაყურებელი წარმოიდგინეს. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს მორიგი ექსპერიმენტია საზოგადოებაზე ან შესაძლოა, გამიზნული პროვოკაციაც. ასეთი სახის ნეკროფილურ სიუჟეტზე ადამიანს შეიძლება, ჰქონდეს ნებისმიერი რეაქცია, რისი წარმოდგენაც ჩვენს ფანტაზიას შეუძლია. ფაქტი ერთია – ის საზოგადოების მასობრივ ტრავმატიზაციას ახდენს, ტრავმულ მოვლენაზე კი რეაქციები ძალიან ინდივიდუალურია, მაგრამ ერთი, რითაც შეიძლება გაერთიანდეს ყველა, არის ფიქრი – „ყველაფრის ღირსია, ჩასაქოლია!“ და ასე, ნებით თუ უნებლიეთ, საზოგადოებაში ჩნდება ადამიანთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომლის მიმართაც სიძულვილი დეკლარირებული და აღიარებულია, სავარაუდოდ, „ერისა და ბერის“ მიერ.

მე მინდა, გადაცემის ავტორებს წარმოსახვის ერთი სავარჯიშო შევთავაზო – აბა, სულ ერთი წამით დაფიქრდით და წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაშია ადამიანი ფიზიკური, ფსიქიკური თუ სოციალური თვალსაზრისით, როდესაც ამ გადაწყვეტილებამდე მიდის?“

ეჭვი მეპარება, ამ გადაცემის ავტორებს ამ სავარჯიშოს გაკეთების უნარი ჰქონდეთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შეიძლება, კიდევ ერთხელ (და სავარაუდოდ, კიდევ მრავალჯერ მოგვიწევს) არ აღვნიშნოთ, რომ მოდელირებული „ქრონიკის“ ავტორები კვლავ განაგრძობენ მაყურებლის უფლებების შელახვას და საკუთარი მოუწესრიგებელი ფსიქიკის ხარჯზე, სხვა ადამიანების ფსიქიკის დასახიჩრებას.

ამ სიუჟეტის ყურებისას, ჩემი უკმაყოფილება ბავშვის ნამდვილი მშობლის და გადამღები ჯგუფის მიმართ იყო, რომელნიც ჩვილ ბავშვს (სიუჟეტის მთავარი როლის განმასახიერებელი) საკუთარი პათოლოგიის გამოვლენის იარაღად აქცევენ. მიტოვებული ბავშვების მაგალითზე კი მხოლოდ ერთი კითხვა მიჩნდება – რა ჯობს? უპატრონოდ (საზოგადოებრივი ინტერესისა და კარგი ხელმძღვანელის გარეშე) დარჩენილი „პირველი არხი“, თუ მდიდარი, შეძლებული, „შემოქმედებითი“ ფანტაზიით სავსე მშობლის (გიორგი არველაძე) ხელში არსებული „იმედი“?! მე რომ ბავშვი ვიყო, ობლად გაზრდას ვარჩევდი!

სამა ვალსი - უფრო მეტი, ვიდრე ვალსი

ფესტივალი „შპიელზეტეუროპა“ პირველხარისხოვანი ქორეოგრაფიითა და მკაფიო სახელებით გამოირჩევა.

დავით ბუხრიკიძე, ბერლინი

სცენა სპექტაკლიდან **Continu**

მას შემდეგ, რაც ბერლინის თეატრალურ ფესტივალზე, ტენესი უილიამსის მითოლოგიური ტექსტის მიხედვით შეთხზული „ტრამვაი“ პოლონელმა ვატმანმა-რეჟისორმა, კშიშტოფ ვარლიკოვსკიმ ხიფათიანად, მაგრამ დამაჯერებლად ატარა, ჯერი თანამედროვე ქორეოგრაფიაზე მიდგა.

ზოგადად, თეატრის ადეპტები, ფესტივალის ორგანიზატორები თუ პროდიუსერები სულ უფრო ემსგავსებიან კორპორატიულ წვეულებებზე დაპატიჟებულ სანიმუშო სტუმრებს, ხელოვნებაში გარკვეულ პოლიტიკოსებს, ლირიკულ და ირონიულ ბანკირებს, ან საკუთარი ახალი ტექნოლოგიებით მოხიბლულ ინჟინრებს. მაგრამ თანამედროვე ქორეოგრაფებს ეს არ ეხება. ისინი ჯერ კიდევ მოურჯულებელ ხელოვანთა „ჯიშს“ განეკუთვნებიან. რაღაცნაირად, ჩუმად, თავისთვისაც და ხელოვნებისთვისაც ერთნაირად იტანჯებიან და თითქმის არასოდეს მოსწონთ, რასაც აკეთებენ. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანს.

„ფესტივალჰაუზის“ სცენაზე ქორეოგრაფთა ინტერნაციონალური ოთხეული ერთმანეთის მიყოლებით წარმოადგენს სპექტაკლებს. პირველ რიგში, გამოჩენილი გერმანელი ქორეოგრაფი-ქალბატონი საშა ვალცი უნდა აღვნიშნოთ, რომლის სპექტაკლი „ჩონტინუ“ ნამდვილად მოვლენაა. ასევე, საინტერესოა ალბანური წარმოშობის ფრანგი ქორეოგრაფის, ანჟელენ პრელჟოკაჟის „ათასი წლის შემდეგ, ანუ აპოკალიპსისი“, რომელიც მოსკოვის დიდი თეატრისა და საკუთრივ, პრელჟიკაჟის დასის ერთობლივი პროექტია და ეძღვნება რუსეთის კულტურის წელს საფრანგეთში.

პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მაროკოელი წარმოშობის ბელგიელი ქორეოგრაფის, სიდი ლარბი შერკაუის ახალ ოპუსს „ბიბლია“ (სიტყვები), რომლის პროდიუსერებს ლამის დაბეგებული აქვთ მომავალ წელს თითქმის ყველა ცნობილი თეატრალური ფესტივალი. ნიუ-იორკში მცხოვრები, ტაივანელი ქორეოგრაფი შენ წიე კი იგორ სტრავინსკის მრავალტანჯულ და

ქორეოგრაფებისთვის საყვარელ „კურთხეულ გაზაფხულს“ ასკეტიზმით და განსაკუთრებული გამომსახველობითი ფორმით წარმოდგენს.

ფესტივალს კი დაასრულებს გერმანული თეატრის სახელოვანი რეჟისორი, კლასიკოსად აღიარებული პეტერ შტაინი. ის „ევგენი ონეგინს“ მსახიობების „დახმარებით“ წაიკითხავს! დიახ, წაიკითხავს, რადგან ეს ჟანრი გერმანიაში უაღრესად პოპულარულია. კარგად მახსოვს, როგორ კითხულობდნენ გერმანული თეატრის სახელოვანი მსახიობები – მარტინ ვუდკე და მარტინა გედეკი თომას მანის რომანს ერთ-ერთ ასეთ ფესტივალზე. და მაინც, რატომ პეტერ შტაინი და რატომ „ონეგინი“, ეს ფესტივალის ორგანიზატორების მისამართით გამოთქმული ყველაზე ხშირი და პასუხგაუცემელი შეკითხვაა.

„ლეგენდარული პინა ბაუშის შემდეგ ყველაფერი სადღაც გაქრა, ახალი სახელები კი მისმა აჩრდილმა დაფარა.“ — წერს „ფრანკფურტერ ალგემაინეს“ მიმომხილველი. მისი სიკვდილის შემდეგ დაცარიელებული ტახტის „კანონიერ მემკვიდრედ“ სწორედ საშა ვალცს მიიჩნევენ, რომლის სპექტაკლი „ჩონტინუ“ გვაბრუნებს ექსპრესიონისტული ცეკვის ტრადიციებთან. კერძოდ, ბაუშის ადრეულ ოპუსებთან. ის განსაკუთრებით ჰგავს 70-იან წლებში დადგმულ „კურთხეულ გაზაფხულს“, რომლის სკულპტურული გამომსახველობა, ჯგუფური პორტრეტები, მოძრაობის ელემენტები და დრამატული რიტმი უდავოდ შთააგონებდა საშა ვალცს ახალ იდეებსაც. კრიტიკოსები უფრო შორსაც მიდიან და მარი ვიგმანს, 30-იანი წლების ექსპრესიონისტული ცეკვის ტრადიციას და ლეგენდარულ მართა გრეჰემსაც კი იხსენებენ. თუმცა, ეს უკვე მეტისმეტად გვეჩვენება.

„ჩონტინუ“ პროფესიონალურად შესანიშნავად „ნაკეთი“ და თითქმის გრანდიოზული სანახაობაა, რომელშიც 24 მოცეკვავე ცდილობს, დავიწყებული ქორეოდრამის ჟანრი გაახსენოს მაყურებელს. სპექტაკლში არის ანტრაქტიც, რაც თანამედროვე ცეკვის თეატრში იშვიათობაა. ის უკვე შეაფასა ავინიონის საფესტივალო პუბლიკამ და ციურიჰის „შაუშპილჰაიზის“ პრეტენზიულმა მაყურებელმა. ქორეოგრაფიულ მონახაზსა და კომპოზიციაშიც იკითხება საშა ვალცის მთავარი ამოცანა – ადამიანის სხეულს რაღაც კოლექტიურად მღელვარე „ფილტვები“ და სულიერება ჩაუდგას. სწორედ ამით გაძლიერებული თუ გახალისებული ადამიანები ჯგუფებად გროვდებიან და ერთმანეთს აწყდებიან, ეჯახებიან, უპირისპირდებიან. დაახლოებით ისე, როგორც მართა გრეჰემის კლასიკურ წარმოდგენებში...

კარგად ნაწრთობი სხეულებისგან შედგენილი ჯგუფი, ანუ „კოლექტიური სხეული“, დროდადრო, წონასწორობას კარგავს. მერე გამოფხიზლდება, სიჩქარეს და ენერგიას იკრებს და განდგომილ თუ კოლექტივს მოწყვეტილ სხეულს ქარიშხალივით ატყდება თავს. ცხადია, რომ არა მოცეკვავეთა შესანიშნავი ტექნიკა, ან საშა ვალცის ირონია მასისა და ინდივიდის ყბადაღებული, რევოლუციური დაპირისპირების მიმართ, ეს პათეტიკური და ოდნავ ძველმოდური იქნებოდა. ცეკვის ისტორიასთან ამგვარი დიალოგითა თუ დისტანციით ქორეოგრაფი ახერხებს დრამატული სიმძიმის შენარჩუნებას (რაც, გარკვეულწილად, იანის ქსენაკისის და ედგარ ვარეზეს მუსიკის დამსახურებაა), ხოლო გარკვეული ირონიული დამოკიდებულებით სხეულების-მოცეკვავეების მიმართ, ინარჩუნებს სიმსუბუქესაც. და ეს კონტრასტი საოცრად ზუსტი და გამოზომილია.

რასაკვირველია, ციტატები პინა ბაუშიდან, ან მართა გრეჰემის რიტუალური წარმოდგენებიდან არც უბრალო კოპირებაა და არც აშკარა ირონია წარსულისადმი. ეს ტიპური პოსტმოდერნული მიდგომაა, როცა ისტორიული წარმოდგენები, ხატები ან პოზები უნდა დაშალო და დაანაწევრო, რათა მერე ახალი ააწყო. საშა ვალცი ამის გაკეთებას სხვადასხვა დროს განსხვავებული გზებით ცდილობდა. მაგალითად, ოდნავ მკაცრი ესთეტიკით დადგმულ „ცვაილანდში“, ან ბრუტალურ-ეროტიკულ სპექტაკლში „სხეული“. მაგრამ ყოველთვის იყო რაღაც, რაც გაგრძელების შანსს, ანუ დაუსრულებლობას გულისხმობდა. ამჯერად ამ წესს იცავს სპექტაკლში „ჩინტინუ“, რომელიც საშა ვალცმა მკაცრი და რიტუალური „მედეასა“ და ოდნავ ბრუტალური „ზაილანდის“ შემდეგ დადგა. ამჯერად მღელვარე, პათეტიკური სხეულების ამბოხს და კონფლიქტს იკვლევს. და ეს ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე სხეულთა სავარჯიშოები ან წარმოუდგენელი მალაყები.

როგორც ერთი კრიტიკოსი წერს, „საშა ვალცი, ყოველთვის მეტია, ვიდრე უბრალოდ ვალსი“.

ქორეოგრაფი საშა ვალცი

ჯანორ

გიო ახვლედიანი, ლონდონი

ინგლისი ისე დაითოვლა, რომ მთლად ფეხბურთები არ გადადებულა, მაგრამ არც არაფერი დაკლებია.

წინა კვირას ნიუკასლში მოხალისეთა ჯგუფებმა გამოაცხადეს, სენტ ჯეიმსის პარკზე ჩვენ-ჩვენი ნიჩბებით მოვალთ და მოედნის გაწმენდაში მოგეხმარებითო. დიუნკერკის სულის ეს უბრალო გამოვლინება ინგლისელთაგან საკვირველი სრულიად არ არის, მით უმეტეს, ჯორდებისაგან, რომლებიც ყინვის მიუხედავად, მაინც ახერხებენ და საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად შუა თამაშში წელსზევით გაშიშვლდებიან ხოლმე.

ამასობაში კი, პრემიერ-ლიგის სათავეს სეზონში პირველად მოექცა „მანჩესტერ იუნაიტედი“, რაც ამინდის გაფუჭებასთან ერთად ლამის ტრადიციული ამბავია ინგლისში.

გასული დღეების მთავარი ამბავი კი მაინც 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის მოპოვებისთვის ბრძოლა იყო. მთავარ მეტოქედ ინგლისს რუსეთი ჰყავდა და თავიდან ჩაფლავებული და სკანდალური კამპანიის ამოსაქაჩავად საქმეში თვით პრემიერ-მინისტრი კამერონი და საქორწილოდ გამზადებული პრინცი უილიამიც კი ჩაერთვნენ.

ამ საქმეში ერთი რამ მართალი იყო: ეგებ ინგლისის ნაკრები ვერ ვარგოდეს, მაგრამ ფეხბურთის მასპინძლობას რაც ეხება და საერთოდ, ფეხბურთთან დამოკიდებულებას, მის შეგრძნებას და მისით ცხოვრებას რაც სჭირდება, იმაში ინგლისელებს ძნელად რომ ვინმე გაეჯიბროს.

შეიძლება ითქვას, რომ ინგლისს არც რამე აქვს ასაშენებელი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად და არც რაიმე – დასანგრევი.

რომ უთხრა მსოფლიო ჩემპიონატი ამ ახალ წელს უნდა ჩაატაროო, თავისუფლად მიიღებენ ოცდათორმეტივე გუნდს. საფიქრალიც ეს იყო, რომ ფიფას პრეზიდენტი ბლატერი ამბოდა, რუსეთის უპირატესობა ის არის, რომ იქ ამ რვა წელიწადში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა მთლიანდ შეიცვლება და ქვეყანასაც სამუდამო ნიშანს დაასვამს, რისთვისაც ძლიერ მოწადინებულები ვართო.

ჩვენთვის საინტერესო კი ის გამოდგა, რომ „მანჩესტერ სიტიმ“ მოსკოვის „სპარტაკთან“ გააბა ამბები, ჯანო ანანიძე მოგვყიდეთო.

სალაპარაკო ფასი 6 მილიონი ევროა. თუ ეს საქმე გამოვიდა, „სიტიში“ კიდევ ერთი ქართველი გაჩნდება.

ძველ, „სიტისათვის“ მძიმე დროს იქ ოთხ ქართველს უთამაშია, იმათში კი უპირველესად და დღემდე „სიტის“ ლეგენდად და საყვარელ მოთამაშედ დარჩენილა გიო ქინქლაძე, რომელსაც იქაური ფანები არასდროს დაივიწყებენ.



ჯანო ანანიძე

აი, ხომ ასე გამდიდრდა „სიტი“, ხომ აივსო ტევესებით და ბალოტელებით, ანდა ვისით აღარ, მაგრამ აბა, ჰკითხეთ იქაურ გულშემატკივარს თუ „ფოქეთ ჯინიოსად“ წოდებული ქინქის ფასად უღირს რომელიმე. ეს ძველი და ცნობილი ამბავია, სევდით სავსე ამბავი და მის მოყოლას აღარ გავაგრძელებ.

ჰოდა, ახლა ჯანო ანანიძის საქმე თუ გამოვიდა, საუცხოო მოსახვევი იქნება. იმას არ ვიტყვი, 17 წლის ჯანო „სიტის“ ხალხს ეგრევე ქინქის დაავიწყებს-თქო, მაგრამ რაღაც ეგრე ჩანს, რომ დაგვიძველდა ქართველებს პურ-მარილი პრემიერ-ლიგაში და ეს ბიჭი ზუსტად რომ მისწრება იქნება.

დღევანდელი „სიტი“ ხომ სხვაა, სავსეა ვარსკვლავებით, ოღონდ კი კარგი ფეხბურთის თამაში მაინც უჭირს, ადგილ-ადგილ გამოუკრთება ხოლმე. მის ძირითადში მოხვედრაც გვარიანად ძნელია, მაგრამ რასაც ჯანო აკეთებს ხოლმე მოედანზე, ის „სიტის“ არცერთ ფეხბურთელს არ გაუკეთებია. სხვანაირი თამაში აქვთ მოკლედ.

ჰოდა, მაგარი ამბავია, ოღონდ კი გამოვიდეს.

თოვლი და ყინვა კი ჩაივლის. აბა, რას იზამს!

სრულ-ბოეირო

კახა თოლორდავა

РСФСР
НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКИЙ ОТДЕЛ
Высшего Сов. Нар. Хозяйства

План электрификации Р. С. Ф. С. Р.

Доклад 8-му С'езду Советов

Государственной Комиссии по Электрификации России

ГОСУДАРСТВЕННОЕ ТЕХНИЧЕСКОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО

იმ საღამოს, ჩვენ პ ლ ა შ ჩ ა დ კ ა ზ ე გასაკეთებელ ლ ა მ პ ო ჩ კ ა ს რომ ვყიდულობდი, დავტანჯე გამყიდველი. ხან ვოლტაჟზე ვკითხე, ხან ამაზე, ხან იმაზე. მოკლედ, არჩევანი რომ გავაკეთე და აი, ამას ვიღებ-მეთქი, რომ ვუთხარი, ამოისუნთქა კაცმა. უკვე ბნელოდა, სახლში რომ დავბრუნდი. პ ა დ ი ე ზ დ შ ი ისეთი უკუნეთი იდგა, ლიფტის კ ნ ო პ კ ა ძლივს ვიპოვე. როგორც ყოველთვის, ლიფტიდანვე დავურეკე ცოლს, ამოვდივარ-მეთქი. ჩავრთავო, დამპირდა და მართლაც, გაიგო თუ არა ლიფტის კარის ხმა, ამინთო სინათლე პადიეზდში. სასწრაფოდ გამოვედი ლიფტიდან და მბჟუტავი ლამპოჩკის (ამიტომაც ვიყიდე ახალი) შუქზე დავეშვი კიბეებზე. უკვე კარებთან ვიყავი მისული, როდესაც პირდაპირ მცხოვრები მეზობელი ფაცი-ფუცით გამოვარდა თავისი ბინიდან და გამარჯობაც კი არ უთქვამს, ისე გაიქცა ლიფტისკენ. სინათლეში უნდოდა იმ მონაკვეთის გავლა, მაგრამ თავისი ლამპოჩკა კი არ აინთო, მელოდებოდა და ჩემს ხარჯზე უნდოდა ლიფტამდე მიღწევა. ვერ მივართვი! ელვასავით შევვარდი ბინაში და ცოლმაც იმავე წამს გათიშა სინათლე პადიეზდში. ისე ვართ ამაში შეთამაშებული, რომ პადიეზდებში სინათლის გათიშვის სისწრაფეში ჩემპიონატი რომ ჩაატარონ, ჩემპიონობა ზედ გვაქვს. წავაფორთხიალე! მგონი, შეგვიკურთხა კიდეც, მაგრამ თვითონაც სულ იგივეს გვიკეთებს ხოლმე მთელ ჩვენს ოჯახს და მაგას მე თვალში ხომ არ ვეპატარავები?! ის კი არა, დარწმუნებული ვიყავი, მაგის ცოლიც გ ლ ა ზ ო კ ს იყო აკრული იმ იმედით, იქნებ, მეც გავასწროო. ვიცი, საღამოობით სასეირნოდ ერთად დადიან ხოლმე. ცოლმა ჩამჩურჩულა, ბარემ ის გომბიოც წავაფორთხიალოთო. მომიტანე სკამი-მეთქი. მომიტანა, ამოვიღე ახალი ლამპოჩკა, ჩავაქრობინე კორიდორში სინათლე, გამოვაღე კარი, გავდგი სკამი სიბნელეში, შევდექი ზედ და დავიწყე ლამპოჩკის ჩახრახნვა. თუ გინდათ, დავიფიცებ, რომ მოპირდაპირე კარს მიღმა იმ ჩემი მეზობლის ცოლს სუნთქვაც კი აუჩქარდა. ჩავხრახნე და, რაც შეიძლება ომახიანად, ვუთხარი ცოლს: – აბა, ერთი აანთე-მეთქი! რა გაჩახჩახდა ჩვენი პლაშჩადკა, რომ იცოდეთ! როგორც მოველოდი, აინთო თუ არა სინათლე, გაიღო მოპირდაპირე კარი, გამოენთო ის ქალბატონი გარეთ და გავარდა ლიფტისკენ. ეს რაა, ერთოთახიანის კარიც გამოგლიჯა იმ ჩემმა ა ჩ კ ა რ ი კ მ ა მეზობელმაც და ისიც სირბილით გავარდა ლიფტისკენ. ჩემი ლამპოჩკის ხარჯზე უნდოდათ თავიანთი ლამპოჩკების ეკონომია. გათიშე-მეთქი! – დავჭყივლე ცოლს და ჩამოწვა უკუნეთი სადარბაზოში. თავებით შეასკდნენ, მგონი, ერთმანეთს. არ ვიცი, „ბოდიში, ბოდიშიო“ კი იძახდნენ, სანამ ლიფტის კარი გაიღებოდა და კაბინაში შევიდოდნენ. ჩამოვედი სკამიდან, შევედი სახლში და ჩაარტყი-მეთქი, ჩასარტყმელად გავუწოდე ცოლს ორივე ხელი. ჩაარტყა, მომეხვია და წამო, გაჭმევ რამესო, მითხრა. ჩემი ბიჭიც სახლში იყო. ეს გამიხარდა, რადგანაც ვახშმის შემდეგ მე და ჩემს ცოლსაც გვინდოდა სეირნობა და ვინმეს ხომ უნდა აეთხო და გაეთიშა სინათლე პლაშჩადკაზე?! შორს არ მივდივართ ხოლმე, ოდნავ მოვცილდებით ჩვენ თექვსმეტსართულიან კორპუსს, იქვე სადმე ჩამოვსხდებით და სანამ არ მოგვბეზრდება, თვალყურს ვადევნებთ ჩვენივე კორპუსის პადიეზდში სინათლის ქაოტურ ანთება-ჩაქრობას. აინთება მეცხრეზე და წამსვე გაითიშება; ამასობაში, მესამეზეც სულ ერთი წამი გაანათებს და ჩამოწვება უკუნეთი, თუმცა იმავე წამს აინთება სინათლეები ერთდროულად მეთორმეტეზე, მეშვიდეზე და მეოთხეზე... და იმავწამს გაითიშება, მაგრამ ეგ არაფერი, რადგანაც ამ დროისათვის უკვე სხვა სართულებზე ანთებენ და თიშავენ. ჩვენი მოციმციმე კორპუსი, საღამოობით, შორიდან ისეთი საყურებელია, რომ თვალს ვერ მოწყვეტ. მარტო პანაშვიდების დროს ხდება ხოლმე შეუხედავი. აანთებენ ხოლმე და არის ასე გაჩახჩახებული რომელიმე პლაშჩადკა მთელი ღამე! ერთი კრეტინი მეზობელი სულ გვეუბნება, დავდოთ ფული და გავანათოთ სადარბაზოო, მაგრამ ვინაა მაგის ფრაერი? ვინ ჭკუათმყოფელი იტყვის უარს ასეთ გართობაზე და სილამაზეზე?



WWW.LIBERALI.GE